პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 17 ივნისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 136 (1881)

დღიური

- ირლანდიის პარლამენტის არჩევნებში მთავრობის პარტიამ ვერ მიიღო უმრავლესობა.
- უხანში ეროვნული არმიის გამარჯვების გამო გაიმართა დიდი მიტინგები.
- ჩან-კაი-ში განაგრძობს კომუნისტების დევნას.
- ვენაში გაიმართა მთლიანი ფრონტის კონფერენცია.
- რუმინეთის ახალ მთავრობამ არ მიიღო ყოფილ მთავრობის ანგარიშები.
- საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში კონფერენციამ შეკითხვა შეიტანა დაპატიმრებულ ანარქისტების შესახებ.

ვარშავის სასამართლოს განაჩენი

ამრიგად საერთაშორისო იმპერიალიზმმა ვარშავის სასამართლოს პირით სთქვა თავისი სიტყვა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის პოლონეთში—ამხ. ვოიკოვის ვერაგული მკვლელობის შესახებ. ფიზიკურ მკვლელს სასამართლომ მიუსაჯა სამუდამო ციხე და ამავე დროს იმდენი „გულჩვილობაც“ გამოიჩინა, რომ შუამდგომლობა აღძრა პრეზიდენტის წინაშე სამუდამო ციხის 15 წლამდე შემცირების შესახებ.

ამ განაჩენში მოულოდნელი ჩვენთვის არაფერია. პოლონეთის ოფიციალური და ოფიციოზური პრესის უკანასკნელ კილოს მიხედვით აშკარა იყო, რომ პილსუდსკის მთავრობამ სულ რაღაც ათიოდე დღის მანძილზე არაჩვეულებრივი ცვალებადობა განიცადა 7 ივნისის ამბებისადმი დამოკიდებულების საკითხში. ჩვენ ვიცით, რამდენად გამწვავებულია პოლონეთის საშინაო მდგომარეობა. შლიახტის დღევანდელი რესპუბლიკა, რომელიც სხვათა შორის უნდა ითქვას არაფრით განსხვავდება ტიპიურ თვითმპყრობელ სახელმწიფოსაგან, დანაღმულია მუშათა მოძრაობის, ეროვნულ უმცირესობათა ბრძოლის და ქრონიკულ სამეურნეო კრიზისის ასაფეთქებელ მასალით.

ამიტომაა, რომ პოლონეთის მთავრობა იძულებულია ფხიზლად ადევნოს ყური საზოგადოებრივ სულისკვეთების განწყობილებას საკუთარ ქვეყნის შიგნით, და ერიდოს შეძლებისდაგვარად დიდ კონფლიქტს საზოგადოებრივ ძალებთან. სწორეთ ამაში უნდა ვეძებოთ იმ ერთი შეხედვით მოულოდნელ ფაქტის ახსნა, რომ ამხ. ვოიკოვის მკვლელობის პირველ დღეებში პოლონეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებია საბჭოთა კავშირის მთავრობა თავის გულწრფელ აღშფოთებაში ვერაგულ მკვლელობის გამო.

მაგრამ, საკმარისი შეიქნა სულ რამდენიმე დღე, რომ პოლონეთის მთავრობა „დაშოშმინებულიყო“ და სხვა კილოზე დაეწყო მღერა. ცხადია ეს ცვალებადობა არ შეიძლება აიხსნას პილსუდსკის კაბინეტის წევრთა პირად უხასიათობით. ჩვენ სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პოლონეთის მთავრობის ამგვარი „აბრუნდი“, მისი ასეთი უეცარი დაწყნარება ლონდონის დიპლომატიურ სამზარეულოში შეთითხნილ აზების ბრალია.

ჯერ ერთი სასამართლომ ყოველი ღონე იხმარა იმისათვის, რომ როგორმე დაეფარა მოსყიდულ მკვლელის ზურგს უკან მდგომნი. გამომძიებელი ორგანოები შეგნებულად არ გაჰყვნენ იმ გზებს, რომელნიც მიდიოდენ საზიზღარ მკვლელობის ნამდვილ ავტორებისაკენ და იდეურ-ფინანსიურ ორგანიზატორებისაკენ. გარდა ამისა პოლონეთის საგანგებო სასამართლო, რომელსაც საეჭვო ბრალდებებზე დაყრდნობით არაერთხელ გამოუტანია წარბთ შეუხრელად სასიკვდილო განაჩენი რევოლიუციის მებრძოლთათვის, სიცოცხლეს უნარჩუნებს სოციალისტურ რესპუბლიკის წარმომადგენლის მკვლელს და იმდენ მზრუნველობასაც იჩენს მისდამი, რომ შუამდგომლობს კიდეც სასჯელის შემსუბუქების შესახებ.

ამრიგად ვარშავის განაჩენი მორიგი პროვოკაციაა იმისათვის, რომ მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს ხელი აალებინონ მტკიცე მშვიდობიანობის პოლიტიკაზე და სამეურნეო აღმშენებლობაზე. მაგრამ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები ამ ანკესზე არ წამოეგებიან. დაქირავებულ ბანდიტის, კავერდას ასეთი კომედიური გასამართლებით პოლონეთის მთავრობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, ვისი ხელი მოქმედებდა ამხ. ვოიკოვის მკვლელობაში და რას ისახავდა მიზნათ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის აღმაშფოთებელი მკვლელობა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ჩვენი და პოლონეთის შემდეგი ურთიერთობა განისაზღვრება არა მარტო ამხანაგ ვოიკოვის ფიზიკური მკვლელის გასამართლებით: არამედ იმ გულწრფელ და ენერგიულ ღონისძიებებით, რომელიც უნდა მიიღოს პოლონეთის მთავრობამ ემიგრანტულ კონტრ-რევოლიუციონურ ქვეწარმავალების წინააღმდეგ. თუ ფიცი მშვიდობიანობის ერთგულობის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით გვესმოდა ამ უკანასკნელ დღეებში პოლონეთის მთავრობის განცხადებიდან და პრესის გამოძახილიდან გულწრფელია, თუ პილსუდსკის მთავრობას აქვს კიდევ რაიმე უნარი დამოუკიდებელ საერთაშორისო პოლიტიკის წარმოების, მან უნდა გადასდგას ამის დამამტკიცებელი ნაბიჯებიც, მან უნდა მოუღოს ბოლო ემიგრაციის პოლიტიკურ მეძავობას, რომლითაც ასე მოურიდებლად სარგებლობს ლონდონის ჯენტლემენები. ახლო მომავალი გვიჩვენებს, რამდენად შეასრულებს პოლონეთის ეხლანდელი მთავრობა ამ პირობას.

ფინანსიური თავდაცვისათვის

საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების გენერალური ხაზი განსაზღვრულ იქნა პარტიის მიერ როგორც ინდუსტრიალიზაცია. მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის აღდგენითი პროცესის დასრულებით, ჩვენ შევუდექით ძირითად კაპიტალის გაფართოებას, მძიმე და მსუბუქ ინდუსტრიის რეკონსტრუქციას. პარტიის, ხელისუფლების და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ხანგრძლივ და ცენტრალურ ამოცანად ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია იქცა. ამ დიად და მეტად რთულ ამოცანათა გადაჭრა მოითხოვს უამრავ ფინანსიურ საშუალებებს, რომელთა გამონახვა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ბრძოლებში გამოვლილ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნისათვის ძნელია. მაგრამ ეკონომიურ ბლოკადის მძაფრ პირობებში, ჩვენ მცირე ფინანსიურ ბაზაზედ დაყრდნობით, მაინც შევსძელით არამც თუ დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენა, არამედ მეურნეობის უმაღლეს ტექნიკის საფუძველზედ მოწყობასაც შევუდექით. ამ მხრივ ჩვენ საგრძნობი მიღწევები გვაქვს.

არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს თავისი ეკონომიკა არ აუგია ისეთ პირობებში, როგორც ჩვენ.

დიდი ბრიტანეთის, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობა შედეგია კოლონიალურ ხალხთა ექსპლოატაციის, კონტრიბუციების და საგარეო მოზიდულ სესხების. პირველი ორი გზა ჩვენთვის, როგორც სოციალისტურ სახელმწიფოსათვის, აბსოლიუტურად მიუღებელია, მხოლოდ უკანასკნელი კი ჩვენთვის დახშულია. შინა-მრეწველობის დაგროვება, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, გადასახადები და სახელმწიფო სესხები არის ის მთავარი წყაროები, რომელიც ასაზრდოებს ჩვენს მეურნეობას; ასეთ პირობებში ცხადია ჩვენი მეურნეობის განვითარების ტემპი ისეთი სწრაფი ვერ იქნება, როგორც ეს იქნებოდა მაშინ, თუ კაპიტალისტური სამყარო სესხს მოგვცემდა.

დიდი აღმშენებლობის ხანა, რომელშიც ჩვენ შევიჭერით, და ჩვენი სახელმწიფოს კლასიური ბუნება გარდაუვალად გვიკარნახებს უაღრეს მშვიდობიანობის პოლიტიკის წარმოებას; და მართლაც მთელი ჩვენი პოლიტიკა სწორედ აქეთკენ იქმნა წარმართული.

მაგრამ ის ისტორიული ბრძოლა, რომელიც სოციალისტურსა და კაპიტალისტურ სისტემებს შორის სწარმოებს, მშვიდობიანობის წონასწორობას მერყევად ხდის.

ბურჟუაზიული სახელმწიფოების სამოქმედო პოლიტიკა თავიდანვე სოციალისტური ეკონომიკის განადგურებისაკენ იყო მიმართული: კაპიტალისტურ გარდაუვალ წინააღმდეგობათა ხლართში გახლართული ბურჟუაზია ლამობს ჩვენს დასუსტებას ფინანსიური ბლოკადით, რომ ხელსაყრელ პირობებში წასახრჩობათ ყელში სწვდეს საბჭოთა კავშირს.

ინგლისის მიერ ჩვენთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, ცხადი ილიუსტრაციაა საერთაშორისო ომის გაჟღენთილ და დამძიმებულ იმპერიალისტური ატმოსფერის. ეს პოლიტიკური მახინაცია სოციალისტურ ეკონომიკის გასანადგურებლად არის მოჩმახული. ფინანსიური ბლოკადით სცდილობს ბოლდუინის მთავრობა ჩვენთვის საფლავის გათხრას, მაგრამ ვერავითარი შემცირება ან და სავსებით საზღვარ-გარეთული კრედიტების მოსპობა ვერ შეაჩერებს საბჭოთა კავშირის სვლას სოციალიზმის გზით.

ფინანსიურ ფრონტზე ჩვენი საქმეები საკმაოდ დამაკმაყოფილებელია.

ჩვენი მიმდინარე წლის ბიუჯეტმა 5.000 მილიონ მანეთს გადააჭარბა. წინასწარ ცნობებით მომავალი წლის ბიუჯეტი ამ ციფრის რამოდენიმე ასეული მილიონით გაუსწრებს. სახელმწიფო გადასახადების და შემოსავლის მიღება განვლილ პერიოდში ნორმალურად მიმდინარეობს. ასევეა სახელმწიფო სესხების რეალიზაციის ფრონტზე. ყველა ეს მშვენივრათ ახასიათებს უახლოესი პერიოდის ფინანსიურ შესაძლებლობას. ჩვენს კავშირში ბლომად მოიპოვება ჯერ კიდევ გამოუყენებელი საშუალებანი. 1925—26 წლის ბიუჯეტში შემოსავალი სესხებიდან შეადგენდა 120 მილიონ მანეთს; 1926—27 წლის ბიუჯეტით განზრახულია 220 მილ. შემოსვლა. მაგრამ ეს ციფრები ოდნავათაც ვერ ამოსწურავენ ჩვენ ქვეყანაში არსებულ ნამდვილ დაზოგვილ თანხებს. იმ 2 მილიონ პირთა შორის, რომელთა ჩვენი სესხების ობლიგაცია უჭირავთ, სამ მეოთხ. მშრომელები შეადგენენ. მოქნილ და საზრიან მანევრების მოხდენით შინაგან სესხის ოპერაციების ამ რაოდენობის გაზრდა ადვილად შესაძლებელია.

იმპერიალისტური ქვეყნების მიერ შექმნილ პოლიტიკურ სირთულეს ჩვენ ვუპასუხებთ ძლევამოსილი წითელი არმიის მიერ საზღვრების გამაგრებით, თავდაცვის მიზნით, მხოლოდ ეკონომიურ სირთულეს ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ჩვენი შინა საფინანსო და კერძოთ კი სახელმწიფო საკრედიტო ბაზის განმტკიცება-გაფართოებით. საშინაო სესხი ხელს შეუწყობს ჩვენი ეკონომიკის დამოუკიდებლობას, დღევანდელს პირობებში სახელმწიფო შინაური სესხი საზღვარია ჩვენი ფინანსიური და პოლიტიკური სიმტკიცისა და სიძლიერის, სესხში მოქცეული თვითეული კაპეიკი ჯავშანი და ფარია შუბლმაგარ ლორდთა ბოროტ-განზრახვათა წინააღმდეგ. სოციალიზმის მშენებელ ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკო-ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს ყველა მშრომელებისა და პატიოსან მოქალაქეთაგან რეალურ თანაგრძნობას. უნდა გავიღოთ მაქსიმუმი ენერგიისა, რათა ხელისუფლებამ შესძლოს მეურნეობისათვის საჭირო თანხების დაგროვება სახელმწიფო სალაროში. ამ უკანასკნელ ამოცანის შესრულება შესაძლებელია მაშინ, თუ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, გლეხობა და საერთოდ მოსახლეობის ფართე მასები თავის ნაოფლარს და დაზოგილ თანხებს მოამწყვდევს სახელმწიფო სესხში. ყოველ მოქალაქემ დაუზარებლად თავისი წვლილით უნდა შეიძინოს იმ საშინაო სესხების ობლიგაციები, რომელიც გამოშვებულია და რომელთა [illegible] გამოშვების განზრახვა აქვს სახელმწიფოს. კაპიტალის ცდას, რომ საბჭოთა კავშირი ფინანსიურ ბლოკადის რკალში მოაქციოს, ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ჩვენი შინა ფინანსიური რესურსების მობილიზაციით. ფინანსიური თავდაცვა ჩვენი უდიდესი და აქტუალური ამოცანაა და [illegible] დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელები შესძლებენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაუხმარებლად დაბრკოლებათა გადალახვას და ჩვენ სოციალისტური სახელმწიფოს განვი[illegible]ობას.

გ. დოლიძე.

ჩემბერლენის განცხადება ერთა ლიგის სესიაზე

გერმანია იცავს ნეიტრალიტეტს ინგლის-საბჭოთა კონფლიქტში

ამხ. ვოიკოვის მკვლელს სამუდამო დაპატიმრება მიუსაჯეს

მუშათა ერთიანი ფრონტის კონფერენცია ვენაში

ინგლისის საგარეო. საქმეთა მინისტრის ამხანაგმა განაცხადა პარლამენტში, რომ საბჭოთა მთავრობამ უნდა აიღოს ინიციატივა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის აღსადგენად

ერთა ლიგის საბჭოს სესია

საბჭოთა კავშირი ყურადღების ცენტრში

ბერლინი, 15 ივნისი. ჟენევის მოლაპარაკების ცენტრში, როგორც წინად, ეხლაც სდგას საკითხი საბჭოთა კავშირის შესახებ. მოლაპარაკების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მომენტად მიაჩნიათ ის, რომ საფრანგეთი ქმნის განწყობილებას იმის სასარგებლოდ, რომ საერთაშორისო კონფერენცია იქნას მოწვეული „საბჭოთა საკითხის“ შესახებ; ხოლო ეს კონფერენცია, მისი აზრით, უნდა შესდგეს საბჭოთა კავშირის მონაწილეობით ერთა ლიგის სექტემბრის სესიამდე.

„დოიტშე ალგემეინე ცეიტუნგი“ გარეშე საქმეთა მინისტრების მოლაპარაკების გამო იუწყება, რომ პირველ რიგში დასმულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯები სურს გადადგას ინგლისს საბჭოთა კავშირთან კონფლიქტის გამო. ჩემბერლენმა გააკეთა განცხადება, რომელშიაც კატეგორიულად განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს ომზე ან რაიმე ფრონტის შექმნაზე მოსკოვის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ თათბირი შეუდგა იმ საკითხის განხილვას, აქვს თუ არა საბჭოთა კავშირს განზრახვა რაიმე ნაბიჯები გადასდგას თავის მხრივ. წამოყენებულ იქნა წინადადება, რომ სახელმწიფოები გამოვიდენ საერთო წინადადებით მშვიდობიანობის დაცვის შესახებ. შტრეზემანი კამათში ალბად კვლავ ენერგიულად გაილაშქრებს ყოველგვარი ინტერვენციის პოლიტიკის წინააღმდეგ (ადს).

გერმანიის პოზიცია

პარიზი, 15 ივნისი. პარიზის გაზეთების ჟენეველი კორესპონდენტები აღნიშნავენ რა, რომ შტრეზემანის დეკლარაციამ ჟენევაში დიდი მღელვარება გამოიწვია, საჭიროდ სთვლიან ამ დეკლარაციის შინაარსის სისწორით გარკვევას.

ზაუერვეინი „მატენ“-ს ატყობინებს, რომ ჩემბერლენი ჟენევაში ჩავიდა მტკიცე გადაწყვეტილებით ლოიალურად გაატაროს თავისი მთავრობის ანტიბოლშევიკური პოლიტიკა. შემდეგ ზაუერვეინს მოჰყავს შტრეზემანის დეკლარაციის ტექსტი, რომელშიაც ნათქვამია: **„ბევრ ქვეყნებში ერთგვარი კონფლიქტი არსებობს შინ. და გარეშე საქმეთა მინისტრებს შორის იმ ნიადაგზე რომ პირველნი ცდილობენ მოსპონ რევოლიუციონური პროპაგანდა, ხოლო მეორენი იძულებული არიან იქონიონ ურთიერთობა დიად ქვეყანასთან, რომელიც პირველხარისხოვან როლს თამაშობს მსოფლიო წონასწორობაში.** ასეთი მდგომარეობა გერმანიას ჯერ-ჯერობით არ განუცდია. არავითარი დაპირებები ჩიჩერინისათვის მე ჯერ-ჯერობით არ მიმიცია. მე არაფერში არ მითქვამს უარი, ვინაიდან მას არავითარი სურვილები არ გამოუთქვამს შესაძლოა რომ ოდესმე მიღწეულ იქნება სახელმწიფოების შეთანხმება ბოლშევიკური პროპაგანდის გაკიცხვის შესახებ.(ადს)

გერმანია უარს ამბობს ანტი-საბჭოთა ინტრიგებში მონაწილეობაზე

ბერლინი, 15 ივნისი. „დოიტშე ალგემეინე ცეიტუნგი“ დაწვრილებით ეხება გერმანიის მდგომარეობას ჟენევაში. გაზეთი აღნიშნავს, რომ დასავლეთის დიდი სახელმწიფოები თანდათან უფრო ენერგიულ ზეგავლენას ახდენენ გერმანიის მთავრობაზე იმ მიზნით, რომ ჩაბან ის კონფლიქტში ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

„ეჭვს გარეშეა, სწერს გაზეთი, რომ გერმანიის მთავრობა და გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლები მუდამ იბრძვიან კომინტერნის წინააღდეგ. ამ მხრივ გერმანია სავსებით ეთანხმება სხვა სახელმწიფოების ღონისძიებებს.. **მაგრამ ამ ფაქტიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი მანძილია გერმანიის პოლიტიკური გეზის შეცვლამდე და ნეიტრალიტეტის უარყოფამდე.** (ადს)

მინისტრთა თათბირი

ბერლინი, 15 ივნისი, მინისტრთა თათბირში **ჩემბერლენის, ბრიანის, შტრეზემანის, ვანდერველდეს** და **შალოიას** გარდა მონაწილეობას იღებდა აგრეთვე იაპონიის წარმომადგენელი.

თათბირის შესახებ გამოქვეყნებულია შემდეგი შინაარსის ცნობა: „ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, იტალიის და ბელგიის წარმომადგენლები შეიკრიბენ იმ მიზნით, რომ გაეზიარებიათ ერთი მეორისათვის აზრი ამ ქვეყნებისათვის საინტერესო პოლიტიკურ საკითხების შესახებ.. შემდგომი მოლაპარაკება გაგრძელდება. (ადს).

პოზიცია უცვლელად რჩება

ბერლინი, 15 ივნისი. გერმანიის საზოგადოებრივი აზრი დიდ ყურადღებას აქცევს გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირს ჟენევაში. **გერმანიის საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობის პოზიცია მოწმობს, რომ გერმანიის პოზიცია ნეიტრალიტეტის შენარჩუნების საკითხში უცვლელი რჩება.** (ადს).

„კომინტერნის პროპაგანდა“

ბერლინი, 15 ივნისი. იუწყებიან, რომ **გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირზე განხილულ იქნა ევროპის საერთო მდგომარეობა, უმთავრესად, მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ინგლისს-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შემდეგ.** თათბირის მსვლელობის შესახებ არაფერს აქვეყნებენ, მაგრამ ზოგიერთ ცნობების მიხედვით შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ თათბირზე აშკარათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ლოზუნგის მაგიერ ირჩეოდა საკითხი მთლიანი ფრონტის შესახებ კომინტერნის პროპაგანდის წინააღმდეგ.(ადს).

სხვა და სხვა საკითხები

ბერლინი, 15 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს სესიის სხდომაზე განხილულ იქნა უმუშევრობის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, მათ რიცხვში მოხსენება ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ მშვიდობიან დროს, კერძოდ საზღვაო ბლოკადის გამოყენების საკითხი და აგრეთვე საფრანგეთისა და ფინეთის წინადადება საგარანტიო ხელშეკრულებისა და ფინანსიური დახმარების შესახებ იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც თავს დაესხმიან. მოხსენებები ერთა ლიგის საბჭომ ლიგის სამდივნოს გადასცა შესასწავლად.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება განიარაღების მოსამზადებელი კონფერენციის შედეგების შესახებ. შტრეზემანმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა, რომ ეს შედეგები ვერ არის დამაკმაყოფილებელი და მოითხოვა ამ საკითხზე მოლაპარაკების მეთოდების შეცვლა.

შტრეზემანის განცხადების შემდეგ ლიტვის პრემიერმა ვოლდემარასმა წაიკითხა დეკლარაცია იმის შესახებ, რომ ლიტვის მთავრობას განზრახვა აქვს სისწორით დაიცვას მემელის ოლქის ყველა პოლიტიკური და სხვა უფლებანი. ამის საპასუხოდ ჩემბერლენმა უარი განაცხადა იმაზე, რომ მემელის საკითხი განხილულ იქნას ერთა ლიგის საბჭოს მიმდინარე სესიაზე.

პრესის წარმომადგენელნი

ბერლინი, 15 ივნისი. გუშინ ჟენევაში **შტრეზემანის** თავმჯდომარეობით ყველა ქვეყნის პრესის წარმომადგენელთათვის გაიმართა სადილი. (ადს).

ყალბი დოკუმენტების გარშემო

პარიზი, 15 ივნისი. ზოგიერთი გაზეთები ათავსებენ დაწვრილებითი ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ კეთდებოდა პარიზში ყალბი საბჭოთა დოკუმენტები, აგრეთვე კომინტერნის დოკუმენტები, რომელთაც ვითომ ხელს აწერენ ბუხარინი და კომინტერნის მითიური მოღვაწეები ზალცმანი, დავტიანი და ფირუმოვი. ამ ყალბ დოკუმენტებს, რომელთაც ამზადებენ თეთრგვარდიელები სალვიკი, მიხეევი და მატინიანი, სთავაზობდენ სამხრეთ-ამერიკის ერთ-ერთ მისიას, მაგრამ უკანასკნელმა ისინი არ შეისყიდა; შემდეგ **ეს ყალბი დოკუმენტები 100,000 ფრანკად შეიძინა ევროპის ერთ-ერთ სახელმწიფოს საელჩომ.**

ამ ცნობის გამო „იუმანიტე“ აღნიშნავს, რომ დადგენილება მატინიანის გაძევების შესახებ ჯერ კიდევ არ არის მოყვანილი სისრულეში (ადს).

ცხრა წლის თავზე

(დუშეთის აჯანყების გამო)

დღეს 17 ივნისს შესრულდა ცხრა წელიწადი მას შემდეგ, რაც მენშევიკურ ბატონობიდან სულშეხუთულმა დუშეთის რევოლიუციონურმა გლეხობამ პირველად აღიმაღლა ხმა და აქტიურად შეებრძოლა „სოციალისტურ“ მოძალადეებს. ეს იყო ოქტომბრის გამოძახილი ჩვენში და მენშევიკებისა და წვრილი ბურჟუაზიულ პარტიების პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა. აღნიშნული პოლიტიკა გამოიხატებოდა იმაში, რომ მენშევიკური მთავრობა არ ატარებდა მიწის რეფორმას მშრომელთა ინტერესების სასარგებლოთ და სთესდა ნაციონალურ შუღლსა და ახტაგონიზმს საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებულ ერების წინააღმდეგ.

პირველ ხანებში მოძრაობამ დადებითი შედეგი მოუტანა მებრძოლთ, დუშეთის მაზრაში დამყარებული იქნა საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ, რა თქმა უნდა, მენშევიკურ მთავრობას არ მოეწონებოდა მუშათა და გლეხთა ასეთი მედგრად გადადგმული ნაბიჯი. ის ყოველ ღონისძიებას მოიხმარდა რევოლიუციონურ მოძრაობის დასაცხრობად. ეს ასეც მოხდა. მენშევიკურ მთავრობამ შეუსია საქართველოს ტერიტორიაზე პირველად მოვლინებულ მუშურ გლეხურ სახელმწიფოს პიონერს, დუშეთის საბჭოთა ხელისუფლებას, თავისი კონტრ-რევოლიუციონური გენერლები, როგორც იყვნენ ფურცელაძე, წერეთელი და ვ. ჯუღელი. ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს გლეხკაცობის მიერ წლობით შეძენილი ქონება და სისხლში ჩაახრჩვეს რევოლიუციონური აჯანყება.

მენშევიკურმა მთავრობამ წუთი სოფილს გამოასალმა საუკეთესო მოწინავე მებრძოლი ამხანაგები, როგორიც იყვნენ: **თომა ჩუბინიძე, პაპიაშვილი, ქერციაშვილი** და სხვები. ვინც დახვრეტას გადარჩა, ისინი ასობით ჩაყარეს თბილისის საგუბერნიო და მეტეხის ციხეებში.

დღეს ჩვენ ვიგონებთ 1918 წელს 17 ივნისს მომხდარ დუშეთის რევოლიუციონური გლეხების თავგამოდებულ ბრძოლას და უკანასკნელში დაღუპულ ამხანაგების სახეებს.

დღეს, დუშეთის სახელოვან აჯანყების 9 წლის თავზე სურათი დიდათ შეცვლილია, საბჭოთა ხელისუფლების ერთი მამოძრავებელთაგანია მენშევიკების მთავრობის მიერ დევნილი და დაჩაგრული მშრომელი მასები. მენშევიკები კი დაეხეტებიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და სთხოვენ მათ დახმარებას როგორც ფულით, აგრეთვე ცოცხალი ძალებითაც. მაგრამ ფხიზელია მუშურ-გლეხ. ხელისუფლებაც და იგი სათანადო პასუხს გასცემს მშრომელთა მტრებს. მუშურ-გლეხური ხელისუფლება არ შეუშინდება კონტრ-რევოლიუციის ასეთ ცდებს და იგი შეურყევლად გეგმიანათ განაგრძობს თავის მშვიდობიან მუშაობას სოციალისტურ მშენებლობის დარგში.

ასეთია დუშეთის გლეხობის წვლილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში. 9 წლის თავზე დიდის მოწიწებით მოვიგონებთ ჩვენ დაღუპულ ამხანაგებს, რომელთა ხსოვნაც საუკუნო იქნება საქართველოს მშრომელთა ხალხში; თვით დუშეთის პირველი რევოლიუციონური ბრძოლის მაგალითი კი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იქნება ჩვენთვის მომავალ ბრძოლებში.

ლადო სუხიშვილი.

ამხ. ვოიკოვის მკვლელის გასამართლება

სასამართლოს დარბაზში

ვარშავა, 15 ივნისი. 15 ივნისს დილის 10 საათზე გაიხსნა იმ საგანგებო სასამართლოს სხდომა, რომელიც არჩევს კავერდას საქმეს.

სხდომის დასაწყისში დამცველებს არ შემოუტანიათ წინადადება საქმის ჩვეულებრივ სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ.

თავმჯდომარეობს **მუმინსკი**, ბრალს სდებს **რუდნიცკი**, იცავს 4 ვექილი. დარბაზში არიან პოლონეთის და უცხოეთის პრესის მრავალი კორესპონდენტები.

მოწმეების სახით გამოწვეული არიან **როზენგოლცი**, რომელიც უნდა ჩამოვიდეს საღამოს, საელჩოს თანამშრომელი **გრიგორევიჩი**, მკვლელის და, მამა და დედა, მისი დაახლოებული ამხანაგები, ბელორუსელი მოღვაწე **პავლუკევიჩი**, ვილნოს პოლიციის უფროსი და პოლიციელები, რომლებიც სადგურზე იყვნენ.

საქმე ირჩევა მხოლოდ ინდივიდუალური აქტის ხაზით და ხელის შემწყობთა შესახებ შეკითხვებს თითქმის სრულებით არ ძლევიან.

ვილნოს პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ ვილნოს პოლიტიკურ პოლიციას არ მოეპოება არავითარი ცნობები მკვლელობის ხელისშემწყობთა შესახებ.

მოწმეთა უმრავლესობის ჩვენება შეეხება მკვლელის დახასიათებას. დამცველები იძლევიან კითხვებს იმ მიზნით, რომ გამოარკვიონ, თუ როგორი გავლენა მოახდინა მოზარდზე იმან, რასაც ის ხედავდა საბჭოთა რუსეთში ყოფნის დროს (კავერდა საზღვარგარეთ წავიდა 1920 წელს, როცა ის 12 წლის იყო).

კავერდა აცხადებს, რომ მან მოჰკლა ვოიკოვი, მაგრამ თავის თავს დამნაშავეთ არ სცნობს.

კითხვაზე, თუ რატომ მოჰკლა მან ვოიკოვი, ბრალდებული უპასუხებს, რომ ის პირადათ ვოიკოვს არ იცნობდა, მაგრამ მისი სახით „შური იძია ბოლშევიკებზე“.

კითხვაზე ქვეშევრდომობის შესახებ კავერდას უძნელდება პასუხის გაცემა. მას ეხმარება თავმჯდომარე: „ბრალდებულმა არ იცის ვისი ქვეშევრდომია ის.“, მან არ იცის აგრეთვე ვის ქვეშევრდომათ თვლება მისი მამა“.

ბრალდებულის მამა ადასტურებს, რომ ის პოლონეთის ქვეშევრდომია, კავერდას მამა იყო საბჭოთა რუსეთში და აქტიურად გამოდიოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ.. ვარშავაში მას კავშირი ჰქონდა სავინკოვთან.

მოწმე **იადიცკი**, იმ სტამბის ასოთამწყობი, რომელშიაც მუშაობდა კავერდა, უარყოფს განცხადებას იმის შესახებ, რომ კავერდამ მისგან იყიდა რევოლვერი.

ვილნოს პოლიციის უფროსი ნოვაკოვსკი აცხადებს, რომ ვილნოს მონარქისტები, რომელთა რიცხვი 100 კაცამდე აღწევს, კავერდას პირადათ არ იცნობენ..

გაჩხრეკის დროს კავერდას ბინაზე იპოვეს ხელწერილი ერთი დოლარის მიღებაზე, რომელიც კავერდას შეუწირავს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სალაროსთვის.

ქალი, რომლის ბინაზე კავერდა სცხოვრობდა მკვლელობამდე და რომელიც გამოწვეულ იქნა მოწმეთ, აცხადებს, რომ კავერდამ ბინა დაიქირავა პირადად. აღსანიშნავია, რომ პირველად ბინის მეპატრონე ქალმა გაზეთის თანამშრომელს განუცხადა, რომ კავერდას ბინა დაიქირავა ერთ-ერთმა მისმა ნაცნობმა. მაგრამ ამ წინააღმდეგობას სასამართლომ არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

სასამართლოს მეორე სხდომა დაიწყება საღამოს. (ადს)

განაჩენი კავერდას საქმეზე

ვარშავა, 15 ივნისი. საგანგებო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი კავერდას საქმეზე. **კავერდას მიესაჯა უვადო ციხე ყველა უფლებების ალკვეთით.**

სასამართლომ დაადგინა სთხოვოს რესპუბლიკის პრეზიდენტს უვადო ციხე შეუცვალოს მსჯავრდადებულს 15 წლის ციხეთ. (ადს).

იტალიის პროლეტარიატის ხმა

რომი, 15 ივნისი. **საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას რომში აუარებელი წერილები მოსდის მუშების. მოსამსახურეებისა და სტუდენტებისაგან, რომლებიც აღშფოთებას გამოსთქვამენ ვოიკოვის მოკვლის გამო.**

ლიგორნის ქარხნის მუშებმა გამოგზავნეს წერილი, რომელშიაც ნათქვამია: **„ჩვენ თვითეულ დანაკლისს, რომელსაც საბჭოთა კავშირი განიცდის, ვსთვლით ჩვენს დანაკლისად, რადგან საბჭოთა კავშირის არსებობა—ერთად-ერთი იმედია იმისი, რომ თავს დავაღწევთ ფაშისტების უღელს.** ჩვენ, მოწყვეტილნი საერთაშორისო პროლეტარიატისაგან, გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი შეგვიძლია, რომ საბჭოთა კავშირს თავიდან ავაცილოთ ახალი საფრთხე“. (ადს).

ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ

შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 15 ივნისი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრი ტეილორი გარეშე საქმეთა მინისტრს შეეკითხა, იყო თუ არა თემთა პალატის არდადეგებზე დათხოვნის მომენტიდან გადადგმული რაიმე ნაბიჯები., ინგლის-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

ჩემბერლენის მაგიერ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკერ ლემპსონმა უპასუხა, რომ ინგლის-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესების ინიციატივა უნდა გამომდინარეობდეს საბჭოებისაგან, რომელთა მტრულმა მოქმედებამ აიძულა ინგლისის მთავრობა შეეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა.

150 საბჭ. მოქალაქემ დასტოვა ინგლისი

ლონდონი, 15 ივნისი. „დეილი მეილ“ იუწყება: „ინგლის-რუსეთის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ უკვე 150 რუსმა დასტოვა ინგლისი. ინგლისის ხელისუფლება დიდის სიფრთხილით ხილავს დარჩენილ საბჭოთა მოქალაქეების განცხადებებს“. (ადს).

ხოუტონის მოხსენება

ვაშინგტონი, 15 ივნისი. ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა მინისტრ კელოგს საუბარი ქონდა ვაშინგტონში ჩასულ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების ლონდონელ ელჩთან, ხოუტონთან. თათბირის საგანი იყო ინგლის-საბჭოთა კონფლიქტი. კელოგმა უარი განაცხადა რამე ცნობის მიწოდებაზე ხოუტონის მოხსენების ხასიათის შესახებ (ადს).

ურკვარტის გამოსვლა

ლონდონი, 15 ივნისი. რუსეთ-აზიის კომპანიის აქციონერთა საერთო კრებაზე განხილულ იქნა საკითხი კომპანიის ფინანსიური რეორგანიზაციის შესახებ.

მოხსენება წაკითხა კომპანიის დირექტორმა ურკვარტმა, რომელმაც დიდი ყურადღება მიაქცია კომპანიის პრეტენზიებს საბჭოთა მთავრობის მიმართ. ურკვარტმა გააკრიტიკა მაკდონალდის მთავრობა, რომელმაც საბჭოთა მთავრობა იურიდიულად იცნო. ურკვარტმა, გაიხსენა რა როზენგოლცის და ხინჩუკის მიერ წარსული წლის დეკემბერში გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ დაადგინა არ დაუბრუნოს კონფისკაციაქმნილი ქონება ყოფ. პატრონებს და არ გადაიხადოს კომპენსაცია,—განაცხადა: „ვესალმები დიპლომატიური სავაჭრო პრივილეგიების გაუქმებას, ვინაიდან ამან, ბოლოს და ბოლოს შექმნა გარკვეული მდგომარეობა და ბრიტანელი კრედიტორები დააბრუნა თავის სამართლიან პოზიციაზე, რომელიც ეხლა მეტ შანსებს იძლევა ჩვენი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, ვიდრე ოდესმე, 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულობის დადების დღიდან. თუ საბჭოთა მთავრობას სურს დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნილებანი, ამისათვის გზა გახსნილია და მეთოდები, რომლებითაც რუსეთს შეუძლია სწრაფად აღადგინოს თავისი კრედიტი დანდინისსიტში, ძალიან კარგად არის ცნობილი. (ადს).

მონარქისტები ამოძრავდენ

რეველი, 15 ივნისი. „რახვა სენა“ იტყობინება რომ მონარქისტების აქტივობის გაძლიერების შესახებ რეველში და ხსნის ამას ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლით. გაზეთი აუცილებლად სთვლის მონარქისტების ბუდის მოსპობას ესტონეთში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მონარქისტები თავის გაზეთში მოუწოდებდენ ტერორისტულ აქტებისაკენ. გაზეთი იტყობინება, რომ რეველის მონარქისტებს შორის ირჩეოდა საბჭოთა წარმომადგენლის წინააღმდეგ გამოსვლის შესაძლებლობის საკითხი. უკანასკნელ დღეებში სრულუფლებიან წარმომადგენლობას პოლიციის გაძლიერებული რაზმები იცავენ. (ადს).

დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 15 ივნისი. დეპუტატთა პალატაში ირჩეოდა კომუნისტ ფურნიეს შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია დაპატიმრებულ ანარქისტებს, რომლებმაც სიმშილობა გამოაცხადეს. იუსტიციის მინისტრმა ბარტუმ განაცხადა, რომ შეკითხვას პასუხს გასცემს 17 ივნისს. ბარტუმ დასძინა, რომ სიმშილობასთან დაკავშირებით „უცხოეთის ერთ-ერთი სახელმწიფო აყენებს მოთხოვნილებას, რომელიც შეურაცხყოფს საფრანგეთს“ და რომ ის ამას დაამტკიცებს დოკუმენტებით. კომუნისტმა ლაფონმა მოითხოვა განმარტება. ბარტუმ განაცხადა, რომ ლაპარაკია რემედასის სამ დეპეშაზე (ადს).

ახალი არჩევნები

სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 15 ივნისი. რადიკალურ პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში უთანხმოების გამწვავების გამო, რამაც სიძნელეების წინაშე დააყენა მთავრობა, **სამხრეთ-სლავიის მეფემ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით პარლამენტი დათხოვნილია და ახალი არჩევნები დანიშნულია სექტემბრისათვის.**

იტალიის ინტრიგები

ვენა, 15 ივნისი. სამხრეთ-სლავიის პრესის სიტყვით, სამხრეთ-სლავიის კომპეტენტურ წრეებს ხელთ აქვთ იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ალ**ბანეთი სამხრეთ-სლავიასთან კონფლიქტში მოქმედობდა იტალიის მითითებით.** სამხრეთ-სლავიის პრესა ამტკიცებს, თითქოს ახმედ-ზოგუს სურს მოაგვაროს კონფლიქტი, მაგრამ მასზე გავლენას ახდენს იტალია, რომელიც არ ანებებს მას შეასრულოს სამხრეთ-სლავიის მოთხოვნილებები. (ადს).

ქურდი მთავრობა

ვენა, 15 ივნისი. ავერესკუს მთავრობის მიერ ხაზინის გატაცების შემდეგ, რუმინეთის ახალმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება რევიზიის მოხდენის შესახებ ყველა სამინისტროებში. **გადამდგარი მთავრობის ანგარიშები არ იქნება განაღდებული.** (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

ჩინეთის კომპარტიის მოთხოვნილებები

ხანკოუ, 15 ივნისი. ჩინეთის კომპარტიის ცეკამ წერილით მიმართა გომინდანის ცეკას ხუნანის პროვინციაში შექმნილ მდგომარეობის გამო.

წერილში ნათქვამია: „პარტიის ცეკას საჭიროდ მიაჩნია შემდეგი ღონისძიებები კონტრრევოლიუციის ჩასაქრობად: **ნაციონალურმა მთავრობამ უნდა გამოსცეს დეკრეტი, რომლითაც აჯანყებულთა კომიტეტი ჩან-შაში უნდა გამოცხადდეს კონტრ-რევოლიუციონურად, უნდა მოუწოდოთ ჯარისკაცებს ამ კომიტეტის ჩამოგდებისაკენ; დაითხოვოს კომიტეტი, დანიშნოს კანონიერი ნაციონალური მთავრობა, დაუყოვნებლივ დანიშნოს დამსჯელი ექსპედიცია აჯანყების ჩასაქრობად, გაირეკოს გომინდანის უზურპატორული ადგილობრივი კომიტეტი და დანიშნოს ახალი,** აგრეთვე გამოსცეს დეკრეტი, რომლითაც თავისუფლად დაშვებული უნდა იქნეს მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების და კომპარტიის არსებობა ხუნანის პროვინციაში და იარაღი დაუბრუნეს მუშურ-გლეხურ გვარდიას გლეხობის შესაიარაღებლად, რათა შემდეგში თავიდან იქნეს აცდენილი რეაქციონური გამოსვლები.

გომინდანის ცეკას პასუხი დღემდე არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ არსებული ცნობების თანახმად შესაძლებლად სთვლიან, რომ მან მიიღო კომპარტიის მიერ წამოყენებული წინადადებები. (ადს)

გომინდანის ცეკას ახალი დირექტივები

ხანკოუ, 15 ივნისი. გომინდანის ცეკამ გამოაქვეყნა ახალი დირექტივები თავის ორგანიზაციებისადმი. ცეკა აუცილებლად სთვლის მკაცრი პარტიული დისციპლინის დაცვას. ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლულოვანებებს, რომელთა გამოსწორება აუცილებელია.

„საჭიროა,—ნათქვამია ინსტრუქციაში,—მეტი სიფრთხილე პარტიაში ახალი წევრების მიღების დროს, რათა პარტიაში არ შემოიჭრენ უვარგისი ელემენტები, რომლებიც პირად სარგებლობას ისახავენ მიზნად. ასეთი ელემენტები გამორიცხული უნდა იქნენ პარტიიდან.“

გომინდანის ყველა ორგანიზაციებს ევალებათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პარტიის წევრების აღზრდას პარტიულ პრინციპების მიხედვით. პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ გომინდანის პრინციპები ჩაუნერგონ ფართო მასებს არა იძულების, არამედ დარწმუნების მეთოდებით.

„გარდა ამისა, ნათქვამია ინსტრუქციაში, გლეხთა კავშირები, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ კულაკების და ჯენტრების გასანადგურებლად, ზოგჯერ თავის წრეში უშვებენ მეტად არასასურველ ელემენტებს, რომელთა მონაწილეობა გლეხთა მოძრაობაში საყოველთაო აღშფოთებას იწვევს. გომინდანის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ გლეხთა მოძრაობას ამ ელემენტებისაგან განთავისუფლებაში.

„აუცილებელია,—ნათქვამია დასასრულ ერთმანეთისაგან გამიჯნულ იქნენ პროლეტარები და უმუშევარი ხულიგნები. თუ უკანასკნელთ მუშათა მოძრაობაში მიღების უფლება მიეცათ, ეს საფრთხეში ჩააგდებს თვით მუშათა მოძრაობის არსებობას“. (ადს).

გომინდანის გადაწყვეტილება ხუნანის პროვინციის შესახებ

ხანკოუ, 15 ივნისი. სანამ გომინდანის ბელადები გაემგზავრებოდენ კონფერენციაზე ჩენ-ჩჟოუში, გომინდანის ცეკამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ცეკამ ხუნანში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება. დატოვებულ იქნეს ხუნანის ეხლანდელი მთავრობა საქმის შემდგომი გამოძიების მოხდენამდე, მოხდეს გომინდანის და სხვა მუშურ-გლეხურ ორგანიზაციების რეორგანიზაცია ხუნანის პროვინციაში.. ხუნანის პროვინციის ყველა ჯარები ემორჩილებიან გენერალ ჩოუ-ლიანს, სპეციალურ დელეგატს, რომელსაც გზავნის ხუნანის პროვინციაში გომინდანის ცეკა.

ბოლო უნდა მოეღოს ყველა შეიარაღებულ კონფლიქტებს მუშურ-გლეხურ კავშირებსა და სამხედრო ორგანიზაციებს შორის. ინიშნება სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი ხუნანის მდგომარეობის შესახებ. (ადს)..

კომუნისტების დევნა

ხარბინი, 15 ივნისი. ნაციონალურ სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ შანხაის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს ნანკინის მთავარ შტაბისაგან ბრძანება „დააპატიმრონ ბოროდინი, ჩენ-დუ-სიუ (ჩინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი), ჯორჯ სუჩენი (კომუნისტი—უხანის მთავრობის იუსტიციის მინისტრი) და სხვა გამოჩენილ კომუნისტი ბელადები“.

ბრძანება შანხაის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებს წინადადებას აძლევს შეასრულონ ეს ბრძანება ყოველ მიზეზს გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოელით სასტიკი სასჯელი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირები ამ ჟამად შანხაიში არ იმყოფებიან.

ბრძანება ამტკიცებს, თითქოს აღნიშნულმა კომუნისტებმა ხელი მოაწერეს საიდუმლო ხელშეკრულებას იმპერიალისტებთან შანხაიში ინგლისის ყოფილ კონცესიის დაბრუნების შესახებ.

ნაციონალური სააგენტო ამ ცნობას დასძენს, რომ „ეს უაზრო ზღაპარი ფართოდ ვრცელდება ჩინეთის მცხოვრებლებს შორის, როგორც პროპაგანდა უხანის მთავრობის წინაღმდეგ“ (ადს).

სამხედრო თათბირი პეკინში

პეკინი, 15 ივნისი. „ტოხო“-ს სააგენტო იტყობინება, რომ სუნ-ჩუან-ფანი და ჩან-ცზუნ-ჩენი სასწრაფოდ გაემგზავრენ პეკინში სამხედრო თათბირზე დასასწრებლად (ადს).

მუკდენელების წინააღმდეგ

შანხაი, 15 ივნისი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ენ-სი-შანმა **საბოლოოდ გადასწყვიტა გასწყვიტოს ურთიერთობა მუკდენთან და გასცა ბრძანება მუკდენელების წინააღმდეგ შეტევის შესახებ.** მან მიიღო ჩრდილოეთის ნაციონალურ არმიის სარდლის თანამდებობა.

სამხედრო წრეების ცნობით, მარშალი ფინ-იუ-სიანი აპირებს იკისროს შუამავლის როლი ხანკოუსა და ნანკინს შორის.

იუწყებიან, რომ ჩან-კაი-შიმ ფინ-იუ-სიანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც სთხოვს არ გაუწიოს დახმარება უხანელებს. (ადს).

გლეხთა რაზმები

შანხაი, 15 ივნისი. ჩან-შას სამხრეთით თავს იყრიან გლეხთა რაზმები შანშაში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ საბრძოლველად. (ადს).

კონფერენცია ჩენ-ჩჟოუში

ხანკოუ, 15 ივნისი. ყველა მეთვალყურეთა ყურადღებას ჩინეთში ამ ჟამად იქცევს ჩენ-ჩჟოუ, სადაც ნაციონალური ჩინეთის სამხედრო და პოლიტიკურ წინამძღოლთა კონფერენციაზე უნდა გამოირკვეს ნაციონალური მთავრობის უახლოესი ტაქტიკა.

თითქმის არავის საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ **ახლო მომავალში ნაციონალური მთავრობის დროშა აფრიალდება პეკინში, სადაც, ალბად, გადატანილ იქნება ნაციონალური მთავრობის რეზიდენცია.**

გამარჯვებამ ხენანში, ჩენ-ჩჟოუს და კაიფინის დაკავებამ, ლუნ-ხაის რკინის გზის მთავარი ნაწილის ხელში ჩაგდებამ და მუკდენელებზე ბრწყინვალე გამარჯვებების მიღწევამ საგრძნობლად განამტკიცეს ნაციონალური მთავრობის მდგომარეობა.

ფინ-იუსიანთან შეერთება და ყვითელ მდინარეზე გასვლა წარმოადგენენ დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტებს, რომელიც უშუალო ამოცანად აყენებენ ჩინეთის საბოლოოდ გაწმენდას ჩრდილოეთ მილიტარისტებისაგან და ბრძოლის გაგრძელებას ქვეყნის გაერთიანებისათვის ნაციონალური მთავრობის დროშის ქვეშ. (ადს)

დაირენის კონფერენცია

შანხაი, 15 ივნისი. „ნორთ ჩაინა დეილი ნიუზ“, ეყრდნობა რა იაპონიის ცნობებს, იუწყება, რომ ჩან-კაი-შისა და იან-იუ ტინის შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგათ დაირენში მოწვეულ იქნა კონფერენცია ჩრდილოეთელებისა და ჩან-კაი-შის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

იმავე გაზეთის ცნობით, შანხაის იაპონურ და ჩინურ წრეებში სთვლიან, რომ ჩან-ძო-ლინი იძულებული იქნება გადადგეს. იან-იუ-ტინი დაინიშნება აღმოსავლეთ სამი პროვინციის გუბერნატორათ, ხოლო ჩან-ძო-ლინის შვილი სუე-ლიანი იკისრებს არმიის ხელმძღვანელობას. (ადს)

ჩან-კაი-შის წინააღმდეგ

შანხაი, 15 ივნისი. ჩინეთის გაზეთმა „ჯორნალ ოფ კომეს“-მა გამოაქვეყნა ცნობა, **ჩენ-ჩჟოუში სამხედრო ბელადების თათბირის შემდეგ, ფინ-იუ-სიანმა თავისი თავი გამოაცხადა უხანის მთავრობის მომხრეთ და დახმარება აღუთქვა მას ჩან-კაი-შის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

ჩან-კაი-შის მადა

პეკინი, 15 ივნისი. უცხოეთის კერძოდ ინგლისის და იაპონიის პრესას მოჰყავს ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები ფინ-იუსიანის და ჩან-კაი-შის ურთიერთობის შესახებ.

„ნიპონ დემპო“-ს ნანკინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩან-კაი-შის შეხედულებით ფინ-იუი-სიანი ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ბოლშევიკია. **ჩან-კაი-შის აუცილებლად მიაჩნია ყოველივე ძალ-ღონით ხელი შეუშალოს ფინ-იუი-სიანის შესვლას პეკინში.** (ადს).

მუკდენელთა განადგურების შემდეგ

ხანკოუ, 15 ივნისი. ხენანში მუკდენელთა განადგურების შემდეგ ხდება ჯარების გადაჯგუფება. ბრძოლებს მეტად დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ხანკოუში ჰოსპიტალები სავსეა დაჭრილებით. საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა წითელი ჯვარის დახმარებას მოელის.

ნაციონალურ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ენერგიულად ებრძოლოს ნანკინს. ამ თვალსაზრისს იზიარებენ გომინდანის ბელადები და აგრეთვე გენერალი ტან-შენ-ჩი.

ჯარები და მოსახლეობა

ხანკოუ, 15 ივნისი. გომინდანის ცეკამ არმიის პოლიტიკურ განყოფილებებს მიმართა ბრძანებით, რომელშიაც განმარტებულია, თუ როგორ უნდა იმუშაონ პოლიტიკურმა განყოფილებებმა ჯარისკაცებს შორის იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულ იქნეს ურთიერთობა ჯარებსა და მოსახლეობას შორის.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ პოლიტიკური განყოფილებები არ უნდა ჩაერიონ გომინდანის და მუშურ. გლეხურ და ქალთა კავშირების მუშაობაში (ადს).

მუშები ნანკინის წინააღმდეგ

შანხაი, 15 ივნისი. ნანკინის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მუშათა მოძრაობის გასაერთიანებლად დანიშნულმა კომიტეტმა დაითხოვა ჩინელების მაღაზიების მოსამსახურეთა კავშირი იმის მომიზეზებით, რომ პროფკავშირის მუშაობა მიმართულია ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ (ადს).

უხანის შრომის მინისტრის მიმართვა

ხანკოუ, 15 ივნისი. უხანის მთავრობის შრომის მინისტრმა დაგზავნა დეპეშა, რომელშიაც იტყობინება, რომ ის შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და აცხადებს: „მე, როგორც თვითონვე მუშა, პირობას ვსდებ ვიბრძოლო იმ მშრომელი მასების . განთავისუფლებისათვის, რომელსაც მე ვეკუთვნი და განვახორციელო საყოველთაო კეთილდღეობა. თუ მუშები, გლეხები და ვაჭრები გამოვლენ ერთიანი ფრონტით, გამარჯვება უზრუნველყოფილია, ვინაიდან მუშების და გლეხების გამარჯვება ამავე დროს არის ჩინეთის მრეწველობის და ნაციონალური რევოლიუციის გამარჯვება. (ადს).

მუკდენის ჯარების მთავარი შტაბი

პეკინი, 15 ივნისი. დაირენის პრესა იტყობინება, რომ ჩან-სუე-ლიანი ჩავიდა პეკინში, სადაც მოხსენება გააკეთა ფრონტის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების გამო გამართულმა თათბირმა დაადგინა მუკდენელების ჯარების მთავარი შტაბი გადატანილ იქნეს პეკინში (ადს).

გამარჯვებულთა ზეიმი

ხანკოუ, 15 ივნისი. უკანასკნელ დღეებში უხანში გაიმართა გრანდიოზული მიტინგები ნაციონალური ჯარების მიერ ხენანის პროვინციაში მიღებულ გამარჯვებების გამო.

მიღებულ რეზოლიუციებში წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნილებები: **გაგრძელდეს შეტევა პეკინზე, ნანკინზე, რათა ქვეყანა გაერთიანდეს რეაქციონერების გასანადგურებლად, გაიგზავნოს ექსპედიცია ჩან-კაი-შის წინააღმდეგ და სასტიკი პროტესტი გამოეცხადოს იაპონიას ჩინეთში თავისი ჯარების გამოგზავნის გამო.**

იაპონიის ჯარი ხაი-ჯოუში

პეკინი, 15 ივნისი. მას შემდეგ, რაც სუნ-ჩუან-ფანის არმიის ნაწილებმა დასტოვეს ქალაქი ხაი-ჯოუ, ნავთსადგურ ხაი-ჯოუში ჩამოვიდა ტრანსპორტი იაპონიის საზღვაო ქვეითი რაზმით და ერთი ნაღმოსანი. (ადს).

გომინდანის არმია

ხანკოუ, 15 ივნისი. ნაციონალური სააგენტო აქვეყნებს ცნობას, რომელიც ფინ-იუ-სიანმა გადასცა სააგენტოს წარმომადგენელს. ცნობაში ნათქვამია:

„ჯარები, რომელნიც წინედ ცნობილი იყო გომ-მინ-ძიუნის (სახალხო არმია) სახელით, ეხლა გადაიქცა გომინდანის არმიად; ეს არმია ერთგულია სუნ-იატ-სენის პრინციპებისა, ანდერძისა. ყველა ჯარები, რომელნიც იმყოფებიან ფინ-იუი-სიანის სარდლობის ქვეშ ემორჩილებიან გომინდანის ცეკას და ეროვნულ მთავრობას, ეს ჯარები ეროვნული მთავრობის ბრძანების თანახმად, ბოლომდე იბრძოლებენ მუკდენელთა წინააღმდეგ. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ჩან-კაი-შის ჯარების ძალადობა

ნიუ-იორკი, 15 ივნისი. „ასოშეიტედ პრეს“-ის შანხაელი კორესპონდენტი აქვეყნებს იაპონურ წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, რომლის თანახმად ხაი-ჩუოუში შესვლის დროს ჩან-კაი-შის ჯარები ეწეოდენ ძარცვა-გლეჯას, ახდენდენ ძალადობას; ჯარებმა სროლა აუტეხეს იაპონიის გემს, რომელზედაც იმყოფებოდენ ხაი-ჩუოუდან გაქცეული ლტოლვილები. იაპონიის კონსულმა შანხაიში ამის გამო პროტესტი გადასცა ნანკინის მთავრობას. (ადს).

იაპონია მანჯურიაში და მონგოლეთში

პეკინი, 16 ივნისი. დაირენში შესდგა იაპონიის რეზიდენტების (მანჯურიაში) მასიური ყრილობის მომწვევი საორგანიზაც. კომიტეტის სხდომა. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც აცხადებს, რომ მანჯურია და მონღოლეთი შეადგენენ იაპონიის ინტერესთა სპეციალურ ზონას და ამიტომ ისინი დაცულ უნდა იქნან ჩინეთის სამოქალაქო ომისაგან. მანჯურიის და მონღოლეთის მიწები, რკინის გზები, ტყეები რკინის გზები და სხვა რესურსები სავსებით მისაწვდომი უნდა იქნეს ექსპლოატაციისათვის. ამ პოლიტიკის განსახორციელებლად აუცილებელია კოლონიათა სამინისტროს დაარსება. (ადს).

ამხ. ჩიჩერინი და კანცლერი მარქსი

ბერლინი, 16 ივნისი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„კანცლერმა მარქსმა მიიღო ჩიჩერინი, რომელიც საბჭოთა კავშირში გამგზავრების წინ გამოსამშვიდობებლად ეწვია მას“. (ადს).

პოლონელ ჯაშუშთა საქმე

მინსკი, 16 ივნისი. საოლქო სასამართლომ განიხილა პოლონელ ჯაშუშთა საქმე, რომელნიც პოლონეთის სანაპირო ოფიცრების დავალებით გადმოდიოდენ საბჭოთა კავშირის საზღვარზე და საბჭოთა ტერიტორიაზე აგროვებდენ ჯაშუშურ ცნობებს. სასამართლომ ჯაშუშ ცვირბუტას მიუსაჯა 8 წლით დაპატიმრება, დანარჩენებს—დაპატიმრების სხვადასხვა ვადა. (ადს).

მისალმება მთლიანობის კონფერენციისადმი

მოსკოვი, 16 ივნისი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ ავსტრიიდან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„მთლიანობის კონფერენცია, რომელსაც 12 ივნისს სხდომები ჰქონდა ვენაში, საბჭოთა პროლეტარიატს უძღვნის სოლიდარობის ძმურ სალამს. მთელი ქვეყნის მუშათა კლასის მთლიანი ფრონტი უდიდესი დასაყრდენი იქნება იმპერიალისტების წინაღმდეგ, რომელნიც ომს ამზადებენ. (ადს).

უკრაინელ მწერალთა პროტესტი

კიევი, 16 ივნისი. კიევ'ის საბჭოთა მწერლების, სრ. უკრაინის პროლეტარულ მწერალთა კავშირის, დასავლეთ უკრაინის რევოლიუციონურ მწერალთა კავშირის საერთო საქალაქო კრებამ და სხ. ლიტერატურულმა ორგანიზაციებმა მიიღეს საპროტესტო რეზოლიუცია იმპერიალისტების უკანასკნელი გამოსვლების წინაალმდეგ.

კრებამ დაადგინა, შეაგროვოს შემოწირულება ესკადრილია „ურთიერთობის შეწყვეტის“ ასაგებად. (ადს).

ხენანი გაწმენდილია ჩრდილოელთაგან

ხანკოუ, 15 ივნისი. უხანის ჯარების ჯგუფმა დაიჭირა გუიდე, ლუნხაის რკინის გზაზე; შანდუნის ჯარებმა შანდუნისაკენ დაიხიეს. ხენანის პროვინცია საბოლოოდ გაწმენდილია მუკდენელთა და შანდუნელთა ჯარებისაგან. (ადს).

ამერიკის მუშების პროტესტი

ნიუ-იორკი, 15 ივნისი. უორკერს პარტიის მიერ მოწყობილმა ნიუ-იორკის მუშათა მასიურმა მიტინგმა მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ვოიკოვის მკვლელობის წინაალმდეგ (ადს).

ლონდონის წინასწარმეტყველება

ლონდონი, 16 ივნისი. „დეილი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტის ცნობით, ლონდონის საქმესთან ახლო მდგომ წრეებში გამოსთქვამენ რწმენას, რომ კავერდას არავითარ შემთხვევაში არ დახვრეტავენ. (ადს).

მთლიანი ფრონტის კონფერენცია

ავსტრიელი მუშები ინგლისის პროვოკაციის წინააღმდეგ.—საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ავსტრიის მუშათა მეორე დელეგაცია

ვენა, 15 ივნისი. 12 ივნისს ვენაში შესდგა მთლიანობის კომიტეტის მიერ მოწვეული მთლიანი ფრონტის კონფერენცია.

კონფერენციის მონაწილეთა და ვენის და პროვინციის წარმოებათა დელეგატებს შორის ნახევარს შეადგენდენ სოციალ-დემოკრატები, ნახევარს—კომუნისტები.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირში გაგზავნილი ავსტრიის მუშათა დელეგაციის წევრებმა.

პირველ მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ ფარკაშმა ენერგიულად მოუწოდა დამსწრეთ მთლიანი ფრონტის შექმნისა და პროფმოძრაობის მთლიანი ფრონტის განხორციელებისაკენ საერთაშორისო მასშტაბით. შემდეგ ფარკაშმა აღნიშნა ომის საფრთხე, რომელსაც ქმნის ინგლისის პოლიტიკა ,და განაცხადა, რომ სწარმოებს სამარი მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, „რომლის დაცვა საერთაშორისო პროლეტარიატის მოვალეობას შეადგენს“. მხოლოდ გაერთიანებულ პროფესიონალურ მოძრაობას შეუძლია ხელი შეუშალოს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ხაზს უსვამს პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობის აუცილებლობას იმპერიალისტების პროვოკაციის და ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კონფერენციამ გადასწყვიტა გაგზავნოს საბჭოთა კავშირში მეორე მუშათა დელეგაცია, რომელშიაც შევლენ მხოლოდ და მხოლოდ სოც. დემოკრატები.

კონფერენციამ დაადგინა გამოსცეს ახალი ბეჭდვითი ორგანო სახელწოდებით „მთლიანი ფრონტი“ (ადს).

პარლამენტის არჩევნები ირლანდიაში

ლონდონი, 15 ივნისი. ირლანდიის პარლამენტის არჩევნების დროს მიცემულ ხმების დათვლა დამთავრდა. არჩევნების შედეგები ასეთია: მმართველმა პარტიამ მიიღო 45 მანდატი. დე-ვალერას რესპუბლიკანურმა პარტიამ 44, მუშათა პარტიამ 22 დამოუკიდებელმა 12.

მმართველმა პარტიამ ვერ შეკრიბა უმრავლესობა. მმართველი პარტიის მანდატების რიცხვი ნაკლებია იმ მანდატების რაოდენობაზე, რომლებიც ეკუთვნით მუშათა პარტიას, დამოუკიდებელ ფერმების და ნაციონალურ ლიგას.

ინგლისის ჯაშუშის დახვრეტა

ლენინგრადი, 16 ივნისი. სამხედრო-საზღვაო ტრიბუნალმა კრონშტანდტში გამოიტანა განაჩენი ინგლისის ჯაშუშის კლეპიკოვის და მისი ცოლის საქმეზე. კლეპიკოვს დაუმტკიცდა სამხედრო ჯაშუშობა და მიესაჯა დახვრეტა. მისი ცოლი ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ მან იცოდა და არ შეატყობინა ხელისუფლებას თავისი ქმრის კონტრ-რევოლიუციონური მუშაობის შესახებ. კლეპიკოვის ცოლს მიესაჯა სამი წლის ციხე.

კლეპიკოვს კავშირი ჰქონდა ინგლისის მზვერავ პოლიციის წარმომადგენელთან, რომელსაც დავალებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის შესახებ ცნობების შეკრება და რომელიც ფინეთში ცხოვრობდა. კლეპიკოვს მისთვის უნდა მიეწოდებია ცნობები საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების და უმთავრესად ფლოტის მდგომარეობის შესახებ, კლეპიკოვმა, რომელიც გამოტყდა ჯაშუშობაში, განაცხადა, რომ ამ ცნობებს აგროვებდა გემების მოსამსახურეებთან საუბარის საშუალებით. კლეპიკოვის თანამოსამსახურეებმა არ იცოდენ, რომ ის ჯაშუში იყო და ფიქრობდენ, რომ მას, როგორც ერთ-ერთ გემის უფროსს, აინტერესებდა სამხედრო-საზღვაო საქმეები. კლეპიკოვმა მოასწრო ფინეთში ორი პაკეტის გადაგზავნა საიდუმლო ცნობებით.

ჯაშუშების დახვრეტის გამოძახილი

ბერლინი, 15 ივნისი. ბერლინის მსხვილი გაზეთები სულ მცირე ნაწილის გამოკლებით თავს იკავებენ ყოველგვარ მყვირალა და პათეტიურ სიტყვებისაგან მოსკოვში მონარქისტ ჯაშუშების დახვრეტის პოლიტიკური შეფასების დროს. ამ დახვრეტას გერმანიაში უცქერიან, როგორც საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეს და ამავე დროს როგორც სამწუხარო შედეგს ინგლისელ შუბლმაგართა სახიფათო პოლიტიკისა, რომლის მიზანია ახალი ომის გამოწვევა.

„ბრაუნშვაიგიშე ლანდესცეიტუნგ“ მოწინავე წერილს უძღვნის ჯაშუშების დახვრეტას და სწერს:

„როტმისტრი ელვენგრენი, რომელსაც რუსულ კომიუნიკეში სამართლიანად მეორე ადგილი აქვს მიჩენილი,—წინააღმდეგ ინგლისელების ცდებისა უარჰყონ ეს,—წლობით ემსახურებოდა ინგლისს, როგორც ანტი-ბოლშევიკური აგენტი“.

შემდეგ წერილის ავტორი სწერს, რომ ის ელვენგრენს გაეცნო 1922 წელს ბერლინში, სადაც უკანასკნელი ჩავიდა პარიზიდან საიდუმლო დავალებებით. ავტორი სწერს, რომ ჯერ კიდევ მაშინ ის დარწმუნდა, რომ ეს უსამშობლო ავანტიურისტი სავსებით შეეფერებოდა მეფის იმ ოფიცერთა კატეგორიას, რომლებიც იმ დღეებში დაეხეტებოდენ ინგლისის და საფრანგეთის საელჩოებში ბერლინში.

„დოლგორუკოვი კი—ნათქვამია შემდეგ წერილში— რუსეთში საიდუმლოდ მოგზაურობის დროს თავგამოდებით ემსახურებოდა ინგლისის ინტერესებს და ცდილობდა ინგლისის ფულით მოეწყო აჯანყებები და თავდასხმები საბჭოთა სისტემაზე, როგორც საზღვარ-გარეთ, ისე რუსეთში.

როცა ასე გაეცნობით გარემოებას, მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ საბოლოო მსჯელობა მასიურ დახვრეტებზე უნდა გადაიდოს“. (ადს).

ჩვენი ვაჭრობა უცხოეთთან

მოსკოვი, 15 ივნისი. საზღვარ-გარეთთან ჩვენი საქონლის ბრუნვის საერთო რაოდენობა პირველ ნახევარ წელში უდრის 704 მილ. მან., აქედან ექსპორტზე მოდის 412,9 მილ. მან. და იმპორტზე 291,1 მილ. მან.

ექსპორტის ღირებულება წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა 23,6 პროცენტით, ხოლო 1924—25 წ. შედარებით 60,6 პროცენტით.

იმპორტი კი, პირიქით, მიმდინარე წელში შემცირდა 30 პროცენტით წინა წელთან შედარებით.

იმპორტის შემცირების გამო წლის პირველ ნახევარში აქტივში გვაქვს 121,8 მილ. მან.

მიმდინარე წელში პირველად სწარმოებს შაქრის გაზიდვა საზღვარ-გარეთ. შაქრის იმპორტის რაოდენობა 1 ნახევარჯერ აღემატება 1912—13 წლის იმპორტის რაოდენობას.

ნავთის პროდუქტების გატანა ორჯერ აღემატება ომამდე არსებულ დონეს.

იმპორტის შემადგენლობა ომამდე არსებულ შემადგენლობასთან შედარებით შეიცვალა იმ მხრივ, რომ საწარმოო იმპორტი აჭარბებს სამომხმარებლო იმპორტს. (ადს).

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება საქართველოს ცაკის მეორე სესიაზე

ამხანაგებო! საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის და თბილისის საბჭოს გაერთიანებულ სხდომას გახსნილად ვაცხადებ (ტაში, მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალის ჰიმნს).

ამხანაგებო! თქვენ უკვე იცით, რომ ამ რამდენიმე დღის წინად პოლონეთის დედა ქალაქში ვერაგულად მოკლულ იქნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. ვოიკოვი. იმავე დღეს ისევე ვერაგულად თეთრ გვარდიელების ხელით დაიღუპა ამხ. ოპანსკი, ბელორუსიის ოლქში სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილე; გარდა ამისა ამ დღეებში გარდაიცვალა რევოლიუციონური მოვალეობის ასრულების დროს საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ივანოვი. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ იმათ ხსოვნას. (მუსიკა ასრულებს მარშს).

ინგლისის კონსერვატორების პროვოკაცია

ამხანაგებო! ამ უკანასკნელ დროს განვიცდით მეტად გამწვავებულ და გართულებულ ხანას. თქვენ მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებზე უცხოეთის სახელმწიფოებში ხდება თავდასხმა, ათასგვარი შეურაცხყოფა და ამ ბოლო დროს საქმე მივიდა მკვლელობამდე. გარდა ამისა შიგნით საბჭოთა რესპუბლიკებში ჩვენ ვხედავთ სხვადასხვაგვარ ბოროტმოქმედებათ, თუ ცეცხლის წაკიდებით ფაბრიკა ქარხნებზე, თუ რკინისგზის გაფუჭებით, და სხვა და სხვაგვარ ცდებს ტერორისტულ აქტების მოსახდენათ. ასეთ ტერორისტულ აქტებს ჰქონდა ადგილი უკვე.

რას მოასწავებს ყველაფერი ეს? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ არის შემთხვევითი მოვლენები, ჩვეულებრივი ბანდიტური თავდასხმები, უგეგმო, უსისტემო მოქმედება. არა, აქ მოქმედობს ორგანიზაციული ხელი, მწყობრად მოქმედობს, რომ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები კვლავ გამოიწვიონ პროვოკაციის საშუალებით სხვადასხვაგვარ გამოსვლებისათვის, გამოიწვიონ საშინელი ომის გასაჩაღებლად. ამხანაგებო, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყველა ამ მოქმედებათა სათავეში სდგას ინგლისის კონსერვატორთა მთავრობა, ცნობილი თავის რეაქციონერობით მთელი ისტორიის განმავლობაში. მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისი ითვლება თავისუფლების აკვნის ქვეყანათ, ჩვენ ვიცით ისიც, რომ ინგლისის კონსერვატორული პარტია მუდამ ჟამ ისტორიაში ცნობილი არის როგორც უკიდურესად რეაქციონური, რომელიც ჯერ კიდევ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს აწყობდა კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლებს საფრანგეთის ხალხის წინააღმდეგ. აგრეთვე ეს კონსერვატორული პარტია მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში თამაშობდა ევროპაში სხვადასხვა რევოლუციების დროს ასეთსავე როლს. მაგრამ ჩვენთვის დაუვიწყარია ის როლი, რომელიც მან ითამაშა ოქტომბრის რევოლუციის ჩასახრჩობად, როდესაც მათ მოაწყვეს მთელი ქვეყნის ბრბოების შეკავშირება და იმათი წასისინება საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ამისათვის ისინი არ ზოგავდნენ არავითარ საშუალებას, არ ზოგავდენ ფულებს და ჩვენ კარგად ვიცით, რამდენი მილიარდი მანეთი გადასცა მათ ამ მიზნით შავრაზმელ გენერლებს — დენიკინს, კოლჩაკს და სხვებს, რომ ბოლო მოეღოთ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. ეხლაც, დასვენების შემდეგ, ისინი კიდევ აღსდგენ და კვლავ აწყობენ სხვადასხვა მახინაციებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ეს, რა თქმა უნდა, გასაკვირალი არ არის. აქაც მოქმედებს ისტორიული ლოღიკა. ჩვენ ვიცით, რომ დღეს მთელ ქვეყნიერებაზე ორგვარი პოლიტიკა წარმოებს: პირველი არის პოლიტიკა იმპერიალიზმისა, მეორე პოლიტიკა სოციალიზმისა, რომელიც ერთ უდიდეს ქვეყანაში უკვე ხორციელდება. იმპერიალიზმის პოლიტიკა—ეს არის სისხლის პოლიტიკა, ომის პოლიტიკა,— სოციალიზმის პოლიტიკა კი არის — მშვიდობიანობის პოლიტიკა, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ მარტო მშვიდობიანობის გზით შევსძლებთ ჩვენ სოციალიზმის აშენებას. იმპერიალიზმს არ შეუძლია იცოცხლოს ბრძოლის გარეშე, სისხლის დაუღვრელად. იმპერიალიზმის პოლიტიკა მიმდინარეობს დღეს ორი გზით: ერთი გზაა— თავდასხმის მზადება საბჭოთა კავშირზე, მეორე გზაა—მზადება ქვეყნების ხელახლა გაყოფისა, ე. ი. ახალი იმპერიალისტური ომის გაჩაღებისათვის.

რა ახელებს ინგლისის ბურჟუაზიას

ჩვენ კარგად გვესმის, რისთვის ამზადებენ ჩვენზე თავდასხმას იმპერიალისტური სახელმწიფოები. მათ აქვთ რამდენიმე მიზეზი: უწინარეს ყოვლისა იმპერიალისტური სახელმწიფოები ხედავენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკები იზრდებიან, რომ ისინი აწარმოებენ სოციალისტურ აღმშენებლობას, რომელიც იმპერიალისტებისათვის არის მომაკვდინებელი. მართალია, ბევრი ვერ ხედავს ამ აღმშენებლობას, მაგალითად, მენშევიკები, რომლებიც ამას ვერ ხედავენ, ან არ სურთ რომ დაინახონ, მაგრამ ბურჟუაზიის ფხიზელი წარმომადგენლები კარგად აფასებენ ამ მათთვის დამღუპველ აღმშენებლობას. მეორე მიზეზი არის ის, რომ ჩინეთის რევოლუცია ვითარდება, იმარჯვებს, რაც მათ უმზადებს დასამარებას. იმპერიალისტური სახელმწიფოები ხედავენ აგრეთვე, რომ მუშათა კლასი სულ უფრო და უფრო ყველა ქვეყნებში და განსაკუთრებით თვით ინგლისში, კონსერვატორების საბუდარში, ადგება რევოლუციონურ გზას. ამხანაგებო, ყველა ეს ფაქტორები აჩქარებენ საერთაშორისო რევოლუციას, რაც იქნება დასასრული ბურჟუაზიულ წესწყობილებისა. მთელ დედამიწაზე, აშკარაა, ბურჟუაზიული მთავრობები და პარტიები ამ გარემოებას ვერ შეურიგდებიან.

გადავხედოთ ახლა იმას, თუ რა ხდება თვით ბურჟუაზიულ ქვეყნებში, თუ როგორ ღრმავდება და მწვავდება მათ შორის დამოკიდებულება. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ამ წინააღმდეგობათა თავიდან მოსაშორებლად საჭიროა ახალი იმპერიალისტური ომი, თვით ბურჟუაზიულ სახელმწიფოების შორის. მაგრამ როგორ გნებავთ, განა ბურჟუაზიული ქვეყნები აუტეხენ ერთმანეთს დღეს ომს, იმ დროს, როცა მთელი ბურჟუაზიის პირის-პირ არსებობს ახალი სახელმწიფო, — სახელმწიფო მუშებისა და გლეხებისა, — პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც საერთოდ ძირს უთხრის ბურჟუაზიულ წესწყობილებას ყველგან. როგორ ფიქრობთ, ასეთ პირობებში ისინი გამოუცხადებენ ერთი-მეორეს ომს? რა თქმა უნდა, რომ ისინი ომს ვერ შესძლებენ, სანამ არსებობს საბჭოთა კავშირი, ამისათვის ისინი ემზადებიან ჯერ-ჯერობით მხოლოდ საბჭოთა კავშირის დასამხობლად, ისინი ასე მსჯელობენ, რომ სანამ არსებობენ საბჭოთა რესპუბლიკები, ჩვენს შორის ომის გაჩაღება ეს ჩვენ—ვის სახარალო იქნებაო. ამიტომ მათ გადაწყვეტილი აქვთ, რომ თავი შეიკავონ ომისაგან ჯერ-ჯერობით, რომ უპირველეს ყოვლისა, შეუტიონ საბჭოთა კავშირს, ბოლო მოუღონ საბჭოთა ხელისუფლებას, და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგენ ურთიერთ შორის ომის წარმოებას. აი ის მიზეზები, რომლებიც არ აძლევენ საშუალებას იმპერიალისტურ ქვეყნებს ერთმანეთს ჩასცენ მახვილი თავში, თორემ მოგეხსენებათ, რომ მათ შორის უკვე არსებობს საკმარისი მიზეზები ომის გამოსაცხადებლად.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირი თამაშობს მშვიდობიანობის შენარჩუნების როლს, იჭერს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ხელში, არ აძლევს მათ საშუალებას სისხლისმღვრელ ომის გასაჩაღებლად.

ჩვენ ვიცით, რომ ინგლისს და საფრანგეთს შორის, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი თითქო ეამბორებიან ერთმანეთს, არსებობს ღრმა წინააღმდეგობა, რომლის გადაჭრა იმათ არ ძალუძს გარეშე ომისა. ინგლისი ეწევა ყოველგვარ მუშაობას საფრანგეთის დასამარცხებლად, უთხრის მას ორმოს, აცლის თანდათან იმ სახელმწიფოებს, რომელნიც წინათ საფრანგეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. ინგლისმა გადაკიდა იტალია საფრანგეთს, ამ ბოლო დროს ჩამოაცილა მას სამხრეთ სლავია. მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მან გადაიბირა პოლონეთი, რუმინეთი და სხვა სახელმწიფოები. ინგლისს სურს განამარტოვოს საფრანგეთი. ამნაირ პოლიტიკას ეწევა თავის მხრივ საფრანგეთიც. მაგრამ ყველა ეს სახელმწიფოები დღეს გაჩერებული არიან, ითმენენ იმიტომ, რომ იმათ წინაშე სდგას ბუმბერაზი სახელმწიფო, ახალი სახელმწიფო, მუშებისა და გლეხების სახელმწიფო, რომელიც მათ თავზარს სცემს.

ჩვენ მტკიცეთ ვივლით სოციალისტურ მშენებლობის გზით

და აი, ჩვენ ვართ დღეს მოწმენი იმისა, რომ ხელახალი კამპანია იწყება საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ეს კამპანია დიდი ხანია დაიწყო. ჩვენ ვიცით, რომ ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ ჩვენში ჩამოვარდა მშვიდობიანობა, იმ მხრივ, რომ გათავდა სამოქალაქო ომი, ე. ი. იმპერიალისტური სახელმწიფოების თავდასხმა საბჭოთა რესპუბლიკებზე. ეს იყო ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ. ისინი დამარცხდენ, საბჭოთა კავშირი გამოვიდა გამარჯვებული. ეს დასვენება იყო ახალი ფაქტორი ჩვენ ცხოვრებაში იმ მხრივ, რომ ეს დასვენება ჩვენ უნდა გამოგვეყენებინა ზედმიწევნით. თქვენ გახსოვთ ალბათ, თუ როგორ აფასებდა ამ დასვენებას და რას გვირჩევდა ამ მხრივ ამხანაგი ლენინი; იგი გვირჩევდა, რომ ეს დასვენება დროებითია და ამიტომ ის სავსებით იქნეს გამოყენებულიო, ვინაიდან ამ დასვენების შემდეგ ხელახლა დაიწყება თავდასხმა მსოფლიო იმპერიალისტების მხრითო.

თქვენ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტურ პარტიის მეთაურებით, დღიდან სამოქალაქო ომის შეწყვეტისა, მედგრად შეუდგა აღმშენებლობის საქმეს, ქვეყნის აღორძინებას. ეს იყო უდიდესი მუშაობა ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი საკუთარი ძალებით გაგვეჭირდებოდა მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენა. საჭირო იყო მთელი სახალხო მეურნეობის ახალ საფუძველზე დაყენება. ეს კი თხოულობდა ერთნაირ ზომებს, მიმართულს იქითკენ, რომ ჩვენ საშუალება გვქონებოდა ბურჟუაზიულ ქვეყნებიდან სხვადასხვა იარაღების და საწარმოო მანქანების შემოსატანად. ჩვენ ვიცით, რომ დღიდან სამოქალაქო ომის შეწყვეტისა ჩვენ დავადექით იმ გზას, რომ აღგვედგინა ურთიერთობა სხვადასხვა ევროპიულ სახელმწიფოებთან სავაჭრო მიზნით. ლენინი კარგად ხედავდა ამ საჭიროებას და ამბობდა, რომ ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა წვრილმანებში დაუთმოთ იმპერიალიტურ ქვეყნებს, იმ მიზნით, რომ საშუალება მოგვეცეს აქიდან შემოვიტანოთ ჩვენთვის საჭირო საგნები.ამხანაგებო, იმ ხანებში ჩვენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში გვიყურებდენ, როგორც ველურებს, როგორც კაცისმჭამელებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი მეცადინეობა უნაყოფოდ არ დარჩენილა. 1921 წელში ჩვენ აღვადგინეთ ურთიერთობა სავაჭრო ნიადაგზე სწორედ ინგლისთან პირველ რიგში. იქიდან წამოწყებული, ამ პოლიტიკამ გამოიღო საკმარისი ნაყოფი, თანდათან ჩვენ შევსძლით აღვედგინა სავაჭრო და საალებ-მიმცემო ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოების დიდ ნაწილთან, როგორიც არის გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, პოლონეთი, იტალია და სხვა წვრილი სახელმწიფოები. მართალია, აქ ჩვენ გვხვდება დიდი გასაჭირი, ინგლისთან და განსაკუთრებით საფრანგეთის ბურჟუაზიასთან. ჩვენგან თხოულობდენ ისეთ მსხვერპლს, რომლის გაღება ჩვენ არ შეგვიძლია: ისინი თხოულობენ, რომ ჩვენ გვეცნო მეფის დროს აღებული ვალები, გარდა ამისა ისინი თხოულობენ, რომ ჩვენ გაგვეძევებია საბჭოთა ტერიტორიიდან მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი; ისინი თხოულობენ ჩვენგან, რომ ჩვენ საერთოდ შეგვეწყვიტა იდეური პროპაგანდა. ერთი სიტყვით მათ უნდოდათ ჩვენი ჩაყლაპვა. მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენ ასეთ მოთხოვნებზე კატეგორიული უარი უნდა გვეთქვა. ჩვენი ურთიერთობა ბურჟუაზიულ ქვეყნებთან ამ ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და დღესაც გრძელდება, თუმცა ზოგიერთ ქვეყნებთან, როგორც არის ამერიკის შეერთებული შტატები, ჩეხო-სლოვაკია და სხვ. ჩვენ არ გვაქვს ოფიციალური ხელშეკრულება, მაგრამ მიუხედავად ამისა მათთანაც ჩვენ გვაქვს სავაჭრო ურთიერთობა. ჩვენი საქონელი მიდის იქ, მათი საქონელი მოდის ჩვენში.

ინგლისის დიპლომატიური ფანდები

უკანასკნელ ხანებში, ჩვენ ვხედავთ ამ ურთიერთობის გამწვავებას და ამ გამწვავების მოთავედ გამოდის ინგლისის მთავრობა. ეს მთავრობა ყოველთვის ცდილობს რაიმე საკონფლიქტო საბაბი იპოვოს ჩვენთან ურთიერთობის გამწვავების მიზნით.

ასე იყო, მაგალითად, 28 წელს. ასე იყო გასულ წელს, როცა ინგლისში იფეთქა დიდმა გაფიცვამ მემაღაროეთა შორის, ინგლისის კონსერვატორების მთავრობა დადგა ყალყზე და უნდოდა გამოეწვია ჩვენთან ახალი კონფლიქტი ომის გასაჩაღებლად. მაგრამ ეს მაშინ ვერ მოახერხა. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის მთავრობა მაინც აწარმოებს ერთხელ აღებულ გეზს. ამა წლის თებერვალში მან ხელახლა სცადა ჩვენთან ურთიერთობის გამწვავება, რასაკვირველია, სრულიად უმიზეზოთ და მოითხოვა ჩვენგან, რომ თუ თქვენ არ შეწყვეტთ თქვენ პროპაგანდას,—კომუნისტურ პროპაგანდას მსოფლიოში, თუ თქვენი მთავრობის წარმომადგენლები ხელს არ აიღებენ ინგლისის მთავრობის კრიტიკაზე, ჩვენ იძულებული ვიქნებით სათანადო ზომებს მივმართოთო. ეს იყო ერთნაირი გაფრთხილების ნოტა. ამაზე ინგლისის მთავრობამ, როგორც იცით, მიიღო შესაფერისი პასუხი, მიიღო ისეთი პასუხი, სადაც აშკარა იყო ყველა ის უსაფუძვლო საყვედური და გაფრთხილება, რომელსაც ინგლისის მთავრობა ჩვენ გვაძლევდა.

რაკი ინგლისის მთავრობა ვერას გახდა ამ გზით, მან აირჩია ახალი გზები, ახალი საშუალებანი და ჩვენ ვიცით, რომ ერთი თუ თვე ნახევრის შემდეგ ინგლისის მთავრობა აწყობს ჩინეთის ლაქიების საშუალებით თავდასხმას ჩვენ წარმომადგენლებზე პეკინში, ახდენს გაჩხრეკას, რასაც მოჰყვა თანამშრომელთა შეურაცხყოფა, დატყვევება და სხვა. ამავე დროს ჩინეთის მეორე ქალაქში, შანხაიში ჩვენი წარმომადგენლობა იმპერიალისტების მიერ შეიქნა ალყა შემორტყმული. ყოველივე ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას უნდოდა, რომ რამენაირად ჩვენ წამოვეგებოდით იმათ მიერ გადმოსროლილ ანკესზე და გამოგვეცხადებია ომი ჩინეთისათვის, რაც ამავე დროს ნიშნავდა ომს თვით ინგლისთან.

უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ ასეთი საქციელით ხშირად იწყება ომი იმპერიალისტურ სახელმწიფოების შორის. ასეთია ეთიკა ბურჟუაზიული დიპლომატიისა, მაგრამ ჩვენ არ ვართ ბურჟუაზიული სახელმწიფო, ჩვენ მეტად ძვირად ვაფასებთ მუშების და გლეხების სისხლს, რომ ჩვენი წარმომადგენლების შეურაცხყოფის, დაჭერის, თუნდაც მოკვლისათვის დავანთოთ ცეცხლი ქვეყნიერებაზე, დავღვაროთ მილიონ მუშა-გლეხების სისხლი.

ჩვენ ამაზე უარი ვსთქვით. მაშასადამე, ინგლისის კონსერვატიულ მთავრობის პროვოკაციამ ვერც აქ გასჭრა. მაგრამ ინგლისის კონსერვატორების მთავრობა არ გაჩერდა, და რაკი ჩინეთში ვერ მიაღწია მიზანს, მან მოინდომა ამავე გეგმის განმეორება თვით ლონდონში. დაუყოვლად უმიზეზოთ, ეს დღეს ყველასათვის აშკარაა, ყოვლად უსაბუთოთ — იგი თავზე დაესხა ჩვენ სავაჭრო წარმომადგენლობას ლონდონში. ეს ისეთი აქტი იყო, რომ პასუხის მოთხოვა აუცილებლად საჭირო იყო და ჩვენი მთავრობაც შეეკითხა ინგლისის მთავრობას, რაშია საქმე, გნებავთ თქვენ თუ არა ვაჭრობის წარმოება ჩვენთანო. ასეთ შეკითხვაზე ინგლისის მთავრობა იძლევა პასუხს მით, რომ მოულოდნელად წყვეტს ჩვენთან დამოკიდებულებას და სავაჭრო ურთიერთობას.

ამხანაგებო, ყველასათვის აშკარა იყო, რომ ინგლისის მთავრობას ეგონა, რომ იმ შეურაცხყოფაზე, რომელიც მან მიაყენა ჩვენ წარმომადგენლობას თავის ტერიტორიაზე, ჩვენ გადავიდოდით შეტევაზე და დავიწყებდით ომს. ჩვენ არ გავამართლეთ ინგლისის კონსერვატორების მოლოდინი, მაგრამ ინგლისის მთავრობას აღარ შეეძლო გაჩერებულიყო ამ ადგილზე და ის თვითონვე წყვეტს ჩვენთან კავშირს. ძველი ნათქვამია, როცა ღმერთი მოინდომებს ვისიმე გაუბედურებას, ჯერ ჭკუა გონებას დაუკარგავსო.

აი, სწორედ ასე მოხდა ამ შემთხვევაში,—თითქოს კონსერვატიური მთავრობამ დაკარგა ჭკუა-გონება. ამას ამბობენ არა კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები, არამედ თვით ნაწილი კონსერვატორებისა და აგრეთვე ლიბერალურ პარტიის წარმომადგენლები და ლიბერალები, როგორიც არის მაგ., ლოიდ-ჯორჯი, რომელიც უწოდებს ინგლისის კონსერვატორების საქციელს—ამ შემთხვევაში, უგუნურობას, ჭკუა-დაკარგულობას, რომ ამას არავითარი გასამართლებელი საბუთი არ აქვსო. აი, ასეთ საქმეს ჩადის ინგლისის მთავრობა. რომ ვთქვათ, რომ მართალია, მათ ჭკუა დაკარგეს, ეს არ იქნება სწორი, არა, მათ აქვთ გონება, მათ აქვთ ლოღიკა. ისინი იქცევიან სწორედ ისე, როგორც მათი ლოღიკა უკარნახებს, როგორც მოლიპულ გზაზე შემდგარი, ლოღიკურად მიექანებიან უფსკრულისაკენ. ურთიერთობის შეწყვეტა ნუ გგონიათ, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა იყო. ეს არის გეგმის შესრულება, იმ გეგმისა, რომელიც აქვს უკვე შემუშავებული კონსერვატიულ მთავრობას.

ვარშავის მკვლელობამ არ გაამართლა ინგლისის იმედები

მაგრამ ამაზე, რა თქმა უნდა, ვერ შეჩერდებიან, ურთიერთობის შეწყვეტა იყო ნიშანი ყველა კონტრ - რევოლუციონურ და თეთრგვარდიელ წინ გამოანგარიშებული ნაბიჯი, ეს იყო სიგნალი, რომ უნდა დაიწყოს საერთო შეტევა. ინგლისის მთავრობა სწორედ ამისათვის ემზადება, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შექმნას ახალი ფრონტი, რომ გამოთიშოს საბჭოთა კავშირი ყველა სახელმწიფოებისაგან, რომ ყველა სახელმწიფოებმა შესწყვიტონ მასთან კავშირი და გამოუცხადონ ერთნაირი ბლოკადა, შემოარტყან ეკონომიური ალყა. ეს ერთი, მეორე ის, რომ რუსეთის თეთრი ემიგრაციის ყველა ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში, უკვე იწყებენ მოქმედებას. ჩვენ ვხედავთ მართლაც მეორე დღეს ამ ურთიერთობის გაწყვეტისა: პოლონეთის დედა ქალაქში—ვარშავაში გავარდა თოფი, თეთრგვარდიელების ხელისაგან მოკლულ იქნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სრულიად უმიზეზოდ. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ურთიერთობის შეწყვეტასა, რომელიც მოახდინა კონსერვატიულმა მთავრობამ და თოფის გასროლის შორის ვარშავაში არსებობს მჭიდრო კავშირი. ამას დღეს ყველა ცნობს. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ აქ კავშირი არ იყოს.

მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე ბანაკი შეცდა ამ შემთხვევაში. ისინი მოელოდენ სულ სხვა ეფექტს ასეთი მკვლელობისაგან. ისინი ფიქრობდენ, რომ თუ ინგლისმა გასწყვიტა ურთიერთობა და მიუხედავათ ამისა, საბჭოთა კავშირი არ გადადის თავდასხმაზე, უნდა იპოვონ რამე ახალი მიზეზი, რომ საბჭოთა კავშირი როგორც არ უნდა იყოს ჩათრეულ ყოფილიყო ომში, რომ საბჭოთა კავშირს აეღო თავის თავზე ინიციატივა ომის გამოცხადებისა პოლონეთისათვის. ეს იყო ერთად ერთი აზრი მთელი ამ მახინაციისა. მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ? ჩვენ ვხედავთ, რომ თეთრგვარდიელების ბანაკი მოსტყუვდა. მკვლელობამ მოახდინა სულ სხვა შთაბეჭდილება, შექმნა სულ სხვა ურთიერთობა და აზრი საზოგადოებაში, ვინემ ისინი მოელოდენ. ჯერ ერთი, თვით პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის აღშფოთებულია ამ მოქმედებით; ის გმობს ამ მკვლელობას და უცხადებს მწუხარებას საბჭოთა მთავრობას. ყველა გაზეთები, ყველა პარტიები, განურჩევლად მიმართულებისა პოლონეთში, გმობენ ამ მკვლელობას. ეს იმის ნიშანია, რომ ეს მკვლელობა ვერ შეიქმნა ომის გამოცხადების მიზეზად, ჯერ-ჯერობით მაინც.—ეს ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრით ამ მკვლელობამ ითამაშა თეთრგვარდიელებისათვის და ჩვენი მოწინააღმდეგე ბანაკისათვის უარყოფითი როლი. ეს, რასაკვირველია, მოხდა თვით ჩვენი მოწინააღმდეგე ბანაკის სურვილის წინააღმდეგ. ისინი ამზადებდენ სულ სხვას დარჩენ კი მოტყუებული.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ომის საშიშროება თავიდან აშორებულია. თქვენ კარგათ იცით, რომ ინგლისი მაინც ეწევა კამპანიას ჩვენ წინააღმდეგ. მას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ჩვენთან კავშირის გაწყვეტით. ამიტომ იგი აწარმოებს მუშაობას, ეწევა კამპანიას, რომ ჩაითრიოს თავის ფერხულში ევროპის სახელმწიფოები, როგორიც არის გერმანია, საფრანგეთი, იტალია და სხვები. ჯერ-ჯერობით ეს ცდა უნაყოფოა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის მთავრობა ვერ შესძლებს ჩაითრიოს თავის ფერხულში ჩვენს წინააღმდეგ ვერც გერმანია, ვერც საფრანგეთი და ან რომელიმე სხვა სახელმწიფო.

მიზეზი იმისა, რომ ამას იგი ვერ შესძლებს, მდგომარეობს იმაში, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს ვერ აქვთ საქმე კარგათ შინ. დღევანდელ პირობებში ომის წარმოება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შინ მაგარი ხარ. თუ მუშათა კლასი გიჭერს მხარს, თუ გვერდში გიდგას, თუ მუშა წინააღმდეგია, ომის წარმოება შეუძლებელია. ამ მხრივ ვერ აქვთ კარგათ საქმე ვერც ინგლისს და ვერც სხვა სახელმწიფოებს. გარდა ამისა, ყველა ეს სახელმწიფოები დაინტერესებული არიან იმაში, რომ კავშირი ქონდეთ საბჭოთა რესპუბლიკებთან, უამისოთ მათი ეკონომიური ცხოვრება გასაჭირში ჩავარდება. აი, მიზეზები, რომლის გამო მათ ეძნელებათ ომის დაწყება. მაგრამ ინგლისის მთავრობა მაინც ვერ გაჩერდება პირველ ნაბიჯზე და მან აუცილებლად უნდა გადადგას მეორე ნაბიჯიც. ამიტომ ჩვენ ეხლა ვდგევართ მეტად სერიოზულ საშიშროების წინაშე. ამ საშიშროებას ასაბუთებენ ის ფაქტები, რომელთაც ადგილი ქონდა ამ ბოლო ხანებში. თქვენ ალბად წაკითხული გექნებათ საკავშირო მთავრობის განცხადება იმის შესახებ, თუ რანაირ მუშაობას აწარმოებდენ ჩვენში კონტრ - რევოლიუციონური ორგანიზაციები, რომელნიც იკვებებიან საზღვარ-გარეთიდან და კერძოდ ინგლისის მიერ. აქ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ სისტემატიურად მოქმედობენ ისინი ჩვენში, რომ გამოიწვიონ ერთნაირი არევ-დარევა. თუ ტერორისტული აქტების საშუალებით, თუ ფაბრიკა - ქარხნებისთვის ცეცხლის გაჩენით, იმ მიზნით, რომ ომის დაწყების პირველ ხანებში შეექმნათ უკეთესი მდგომარეობა და ერთი დაკვრით დაგვამარცხონ. როგორც მოგახსენეთ, აქ არ არის შემთხვევითი მოქმედება. ეს არის მწყობრი გეგმის თანახმად მოქმედება. ეს აშკარაა. ამიტომ ჩვენ საქვეყნოდ, მთელი ქვეყნის წინაშე აშკარათ და თამამად ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ გვსურს ომი. ყოველ საშუალებას ვხმარობთ ავიცილოთ თავიდან ეს ომი, რომ ავაცილოთ მუშათა კლასს ომის საშინელება. ჩვენ არაფერს არ ვფარავთ, ჩვენი განზრახვა არის მტკიცე. მიუხედავათ იმ მდგომარეობისა, რომელშიაც ჩვენ გვაყენებს მთელი ქვეყნის ბურჟუაზია, ჩვენ ვაწარმოებთ იმავე მუშაობას, რასაც აქამდე ვაწარმოებდით, და ერთი წუთითაც არ ვაჩერებთ ამ მუშაობას, არამედ ვაგრძელებთ, კიდევ უფრო მეტი ენერგიით, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ მზათ ვართ, თუ ჩვენზე თავდასხმას მოახდენენ. მთელი ჩვენი ძალღონით, მთელ მშრომელ ხალხთან ერთად გავსცემთ მათ საკადრის პასუხს. (ტაში).

ჩვენი აღმშენებლობა და მენშევიკური სიგიჟე

ამხანაგებო, შეიძლება ჩვენ გვიპასუხონ, რომ ჩვენში, საქართველოში ჯერ-ჯერობით არაფერი საშიშროება არ არის. სხვადასხვა თავდასხმა მოხდა სხვა ადგილას, მაგ. ლენინგრადში, მოსკოვში და სხ. ჩვენში კი ჯერ-ჯერობით არ ყოფილა ასეთი მაგალითი. მიუხედავათ ამისა, ჩვენ გვაქვს საკმარისი დასამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ სწორეთ აქ ჩვენში ცდილობენ ხელახლად გამოიწვიონ გართულება. თქვენ იცით, რომ საზღვარ-გარეთ არსებობს ანტი-საბჭოთა ორგანიზაციები, აქედან 5—6 წლის წინად გაქცეულ მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების სახით. უნდა მოგახსენოთ, რომ კერძოთ მენშევიკებისათვის საქართველოში ამ ხნის განმავლობაში თითქოს არაფერი შეცვლილიყოს, ისინი ფიქრობენ, რომ საქართველო დარჩა ისეთივე, როგორიც იყო იმ დროს, როცა ისინი აქედან გაიქცნენ, ყოველ შემთხვევაში ისინი ფიქრობენ, ან თავს ისე გვიჩვენებენ, რომ საქართველოში ჩაკლულია ყოველივე სიცოცხლე, რომ აქ არ არსებობს არც კულტურა, არც სწავლა - განათლება და ყველაფერი მოსპობილია და თითქოს ხალხი ელოდება, რომ აი, დღეს, აი, ხვალ მოგვევლინებიან საფრანგეთიდან აქედან გაქცეული მენშევიკები—რამიშვილის და ნოე ჟორდანიას სახით. ამ ვაჟბატონებისათვის, როგორც მოგეხსენებათ, ისტორია არ არსებობს, ისინი ფიქრობენ, რომ ისტორია გაჩერდა მათი გაქცევით საფრანგეთში, რომ საქართველოში ჩაკვდა ყველაფერი ,მოისპო ყველაფერი. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ეს ასე არაა. ამ დღეებში, 26 ივნისს, ჩვენ დიდი ზეიმით გავხსნით ზაჰესს. ამავე დღეებში ჩაეყრება საფუძველი მეორე უდიდეს ჰიდრო - ელექტრონულ სადგურს რიონზე ქ. ქუთაისში; ამავე დღეებში ჩაეყრება საფუძველი ქაღალდის ფაბრიკას ზუგდიდის მაზრაში. მე არ ვამბობ, ამხანაგებო, იმ წამოწყებებზე, რომლებიც უკვე არსებობენ და რომლებიც მხოლოდ მენშევიკების აქედან აბარგების შემდეგ წარმოიშვენ და განვითარდენ. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ცხოვრება წინ წავიდა ისეთი ნაბიჯით, როგორიც არ მოსწრებია მას ათასი წლების განმავლობაში. მაგრამ მენშევიკებს ყველაფერი ეს არა სჯერათ. მე ვამბობ იმ მენშევიკებზე, რა თქმა უნდა ,რომლებიც ან განზრახ იბრმავებენ თვალს, ან და შეუგნებლივ უნებლიეთ ეგებიან ჟორდანია - რამიშვილის მიერ წამოსროლილ ანკესზე. რა თქმა უნდა, ეს ჩვენ არ გვიქადის მაინც და მაინც დიდ უბედურებას, ეს არ უქადის უბედურებას ჩვენს ხელისუფლებას, საქართველოს მშრომელ ხალხს. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ყოველგვარი მათი მოქმედება დარჩება უნაყოფოთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ იმ გეგმებთან, რომლების განხორციელებას ჩვენს წინააღმდეგ ცდილობს ინგლისის კონსერვატიული მთავრობა, ჩვენს საზღვარგარეთელ მენშევიკებსაც აქვთ კავშირი. ჩვენ გვაქვს ამის დამამტკიცებელი საბუთები. ერთ-ერთ გამოცემაში, რომელიც გამოდის საზღვარ-გარეთ „პრომეთე“-ს სახელწოდებით, იმ ნომერში, რომელიც გამოვიდა ჩემბერლენის ნოტის შემდეგ, თებერვალში, სხვათაშორის სწერია: „ბრძოლა გრძელდება, მაგრამ ეს ბრძოლა ხდება უფრო მეთოდიური, მოსკოვი ყოველ დღე გზავნის საზღვარ-გარეთ აუარებელ პროპაგანდისტებს ქვეყნიერების გასანადგურებლად. ინგლისმა ბოლოს ვერ მოითმინა. მან მისცა ხმა. ჩემბერლენმა გაუგზავნა მოსკოვს ნოტა გამაფრთხილებელი. ეს მოასწავებს, რომ ევროპაში ხდება გადამწყვეტი გადახრა. ჟენევაში ხალხთა ლიგის საბჭოში იყო მსჯელობა იმ საშიშროების შესახებ, რომელსაც წარმოადგენს საბჭოთა კავშირი. ისეთ შთაბეჭდილებას ვღებულობთ, რომ მზადდება საერთო ანტი-საბჭოთა მოძრაობა. უკვე დრო არის“ და სხვადასხვა.

აშკარაა, რომ თუ ჩვენ გავიხსენებთ მეფის ყოფილ დიპლომატ საბლინის მიწერ-მოწერას, რომელთანაც ეგრედ წოდებულ მენშევიკურ მთავრობას ქონდა კავშირი, თქვენ დარწმუნდებით, რომ მთელ ამ ანტი-საბჭოთა კამპანიასთან მენშევიკები ძლიერ ახლო არიან და ცდილობენ, რომ ხელი შეუწყონ მას. თუ იქნება მიღებული მხედველობაში, რომ ერთი თვის შემდეგ ამისა მენშევიკების ლიდერები—ჟორდანია და რამიშვილი სწერენ თავის წერილებში, რომელიც ჩაგვივარდა ხელში ეხლა ხან, გზავნიან თავის ემისრებს და აცნობებენ თავიანთი გაბრიყვებულ მომხრეებს, რომ მოახლოვებულია გართულება, აი, ამ მდგომარეობის დროს წყალი აირევა და მზათ იყავით, მომზადებული შეხვდითით, ჩვენთვის აშკარა იქნება, რომ ისინი ემზადებიან. ისინი ამზადებენ ახალ ავანტიურას, რომ ქართველ ხალხს თავზე დაატყდეს ახალი უბედურება. ჩვენ ვიცით, რომ მათი გეგმები უნიადაგოდ დარჩებიან. და არც ვეძლევით არავითარ შიშს. ჩვენ განვაგრძობთ იმ მუშაობას, რომელსაც აქამდი ვაწარმოებდით, გულდასმით მეტი მუყაითობით, მეტი ენერგიით. თუ ჩვენ მტრებს შეუძლია ჩვენში სხვადასხვა დივერსიული აქტების მოწყობით არევ-დარევა გამოიწვიოს, ჩვენ უნდა მივიღოთ ამის წინააღმდეგ ყოველგვარი ზომები. ვიყოთ სადარაჯოზე. ფხიზლად, რომ არც ერთ ფაბრიკა - ქარხანაში ასეთ რამეებს არ ექნეს ადგილი. ვაფრთხილებთ ჩვენ გლეხებს, რომ ისინი არ წამოეგონ ანკესზე, რომელიც გამოსროლილია, და მეორე მხრივ არ მიეცენ რაიმე შიშს.

თქვენ იცით, რომ ლენინგრადში გასროლილი იყო ყუმბარა კომპარტიის ერთ-ერთ კლუბში. მტრებს ალბად ეგონათ, რომ ამით ისინი შექმნიდენ არევ-დარევას, გამოიწვევდენ პანიკას. მაგრამ ამას ადგილი არ ქონია. პირიქით, ეს უფრო ამხნევებს პროლეტარიატს, იმ პროლეტარიატს, რომელმაც გამოიარა უდიდესი განსაცდელი, რომელიც მას დაატყდა პირველ ხანებში.

შევამჭიდროვოთ რიგები

ჩვენ მოუწოდებთ ყველა მუშებს და გლეხებს გააძლიერონ მუშაობა და ყოველგვარი თავდაცვის საქმე. ჩვენ ვეყრდნობით ფართო მასებს, ჩვენ გვყავს წითელი ლაშქარი უმაგალითო მთელ მსოფლიოში, როგორც სამხედრო ძალა, ჩვენ გვყავს დარაზმული კომუნისტური პარტია, ჩვენ გვყავს დარაზმული ახალგაზრდათა კომკავშირი, ჩვენ შევიჭერით ფართო მასებში, ჩვენ ავამოძრავეთ ფართო მასები, განსაკუთრებით ჩვენ ავამოძრავეთ და გამოვიყვანეთ საზოგადოებრივ ასპარეზზე კაცობრიობის დაჩაგრული ნაწილი დედაკაცების სახით. არც ერთ ქვეყანაში ადგილი არ ჰქონია ჯერ ასეთ ფართო მოძრაობას. მართალია, ჩვენ არ უარვყოფთ, რომ აქა-იქ გვყავს მოწინააღმდეგენი, მაგრამ ხალხის ფართო მასა დღეს ამოძრავებულია. თუ ჩვენში იქნება განზრახვა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის. ასეთი მოქმედება, მე დარწმუნებული ვარ, ხალხის ფართო მასებში გამოიწვევს არა თუ აღელვებას და აღშფოთებას, არამედ გამოიწვევს უდიდეს წინააღმდეგობას, მთელი ეს მასა აღსდგება, რომ თავიდან აიშოროს მოსალოდნელი ხიფათი. მართალია, ის, რომ ჩვენი წინააღმდეგნი არიან იმპერიალისტები, ლორდები, მემამულეები, მაგრამ იმავე დროს ჩვენთან აქვს მეგობრობა და კავშირი ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ფართო მასებს, მუშებს და გლეხებს (ტაში). ჩვენ არ გვჭირია მეგობრული კავშირი მყვლეფელებთან და მძარცველებთან. ჩვენ ავამოძრავეთ ასეულ და ათასეული მილიონი ხალხი მთელ მსოფლიოში, ჩვენ თანაგვიგრძნობს რევოლიუციონური ჩინეთი, იქ ამოძრავებული ხალხი, რომელიც იბრძვის დღეს იმპერიალისტების უღელისაგან გასანთავისუფლებლად. თვით ევროპაში,, თვით ინგლისში კონსერვატორების სამფლობელოში, ჩვენ მხარეზე არის მუშათა კლასი. იმ დროს, როცა ჩვენ წარმომადგენლებს აძევებდენ იქიდან, ინგლისის მუშები—ახდენდენ კრებებს და გამოქონდათ სრულიად საწინააღმდეგო რეზოლიუციები კონსერვატორების მთავრობის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს მომასწავებელია იმისა, რომ ჩვენ ვდგევართ სწორ გზაზე. ჩვენ ვაწარმოებთ პოლიტიკას, რომელსაც უერთდება მთელ მსოფლიოში მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი. ჩვენ ვეყრდნობით ფართო მასებს. ამიტომ ჩვენი დაძლევა, ჩვენი დამარცხება შეუძლებელია. (ტაში).

ჩვენ შეგვიძლია სრულებით აშკარათ, გულახდილად, მთელი ქვეყნის წინაშე განვაცხადოთ, რომ ჩვენ არავის დაჩაგვრა არ გვინდა, რომ ჩვენ არავის წინააღმდეგ არ ვიბრძვით, რომ ჩვენ არ გადავაქვს ომი სხვა ქვეყნებში, რომ ჩვენ დაინტერესებული ვართ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ქვეყანაში მოგვეცეს საშუალება დამოუკიდებელი მუშაობისა, რათა ჩვენ განვახორციელოთ აქ სოციალიზმი. (ტაში).

შორს ჩვენგან ბუჭყიანი ხელები, შორს ჩვენგან თეთრგვარდიელთა მახინაციები; ვინც არ უნდა იყოს ის, მონარქისტი თუ მენშევიკი, თუ დაშნაკი.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას, გაუმარჯოს სოციალისტურ აღმშენებლობას. (ხანგრძლივი ტაში, მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს“).

ქალთა შორის მუშაობის საკითხები

(ა.-კ. ქალთა შორის მომუშავეთა თათბირის გამო)

ამიერ-კავკასიის ქალთა შორის მომუშავეთა მე-4-ე თათბირი, რომელსაც დღეს იწვევს პარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტი, ჯამს გაუკეთებს პარტიულ ორგანიზაციების მუშაობას ამიერ-კავკასიის მუშა და გლეხ ქალებს შორის.

თათბირზე ცენტრალურ ადგილს დაიჭერს საკითხი სადელეგატო კრებების მუშაობის დაყენების შესახებ.

სადელეგატო კრებები, რომლებიც სულ უფრო ღრმად იჭრებიან მშრომელ ქალთა მასებში (შარშან სადელეგატო კრებები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში აერთიანებდენ 10,971 მუშა და გლეხ ქალს, წელს კი აერთიანებენ 23.351 მუშა და გლეხ ქალს), ჯერ კიდევ უმეტესად წარმოადგენენ სამოსწავლო ერთეულს; პრაქტიკული მუშაობის განვითარების მხრივ მხოლოდ სუსტ ცდებს თუ აქვს ადგილი.

სადელეგატო კრება დელეგატ ქალებს აწვდის მინიმუმს ცნობებისა სამეურნეო და საბჭოთა მშენებლობის საკითხების შესახებ; განუმარტავს მათ პარტიის ხელმძღვანელობას, მუშების და გლეხების კავშირისადმი, მჭიდროთ უკავშირებს ყოველივე ამას ადგილობრივი ცხოვრების პრაქტიკულ საკითხებს, გზავნის სხვადასხვა დაწესებულებებში დელეგატ ქალებს, აძლევს მათ გამოცდილებას საზოგადოებრივ მუშაობისათვის, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კამპანიებში (მაგალითად, საბჭოთა არჩევნები წარმოების რაციონალიზაცია, ფასების დაკლება, ქვეყნის თავდაცვის საქმეში მონაწილეობა და სხვ.). აი, ამიტომ სადელეგატო კრება უნდა გახდეს **საზოგადოებრივ ერთეულად** (ამისათვის მას ბევრი საშუალება აქვს).

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც უნდა შეჩერდეს თათბირი,—ეს არის მასიური მუშაობა. სადელეგატო კრებებს გარეშე ჯერ კიდევ ქალთა მასების დიდი რაოდენობაა დარჩენილი; მათ შორის მუშაობა ზოგჯერ შემთხვევით ხასიათს ატარებს. ეს არის როგორც ჩვენი მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების, ისე სხვა ორგანიზაციების მუშაობის სუსტი მხარე.

სისტემატიურმა მუშაობამ მუშა და გლეხ-ქალთა ფართო მასებს შორის, რაც მიზნად ისახავს მათ შორის კლასიური თვითშეგნების განვითარებას, მათ ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში,—უნდა მიიპყროს ჩვენი პარტუჯრედების, საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციების მთელი ყურადღება. მათ მიერ განვითარებულმა მუშაობამ, რომელიც სისწორით უნდა ითვალისწინებდეს მასების ინტერესებს, მოთხოვნილებებს და განვითარების დონეს, შესაძლოა მიიღოს სხვადასხვაგვარი ხასიათი. მუშა და გლეხქალების საერთო მასიურ მუშაობაში ჩაბმასთან ერთად (სასოფლო კრებები, ღარიბ გლეხთა კრებები, საბჭოების სხდომები, საწარმოო თათბირები და სხვ.). ამ ორგანიზაციებს, ჯერ კიდევ დარჩენილ ყოფა-ცხოვრების ნაშთების და ზოგჯერ ქალების კულტურულ - პოლიტიკურ ჩამორჩენილობის გამო, მათთან განსაკუთრებით უხდებათ მუშაობა.

მუშა და გლეხ-ქალების საერთო კრებებმა, კონფერენციებმა, სხვადასხვა წრეებში, ნებაყოფლობით საზოგადოებებში, სალიკვიდაციო პუნქტებში და სხვ. ჩაბმამ. უნდა წარმართონ მშრომელი ქალის გაძლიერებული თვითმოქმედება საბჭოთა საზოგადოებრივობის კალაპოტით და გამოავლინონ. ის აქტივი, რომელიც იქცევა საიმედო მონაწილეთ სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

მასიურ მუშაობის საკითხებთან მჭიდროთ არის დაკავშირებული მუშაობა ყოფა - ცხოვრების დარგში (სათანადო მატერიალური და მორალური პირობების შექმნა, რაც მუშა და გლეხ ქალს უადვილებს, როგორც საწარმოო, ისე საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობას და მასში გაწვრთნას). უნდა ითქვას, რომ ამ დარგს ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ ჩვენი კოოპერატიული, საბჭოთა, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ნაწილობრივ თვით მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებაც.

გლეხის ქალის შრომის გაერთიანება კოოპერაციაში, საბჭოთა, კოოპერატიულ, სამეურნეო ორგანოების მიერ სხვადასხვა სახის დაწესებულებების მოწყობა ქალთა ყოფა-ცხოვრების განთავისუფლებისათვის (ბავშვთა მოედნები, ბაგები, საექიმო კონსულტაცია და სხვ.), ამ საქმეში საზოგადოებრივი თვითმოქმედების მიზიდვა, სხვადასხვა ფულადი ანარიცხების გადადება ამ საქმისათვის (კოოპერაციის მოგებიდან, მუშების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდიდან და სხვ.), მუშა და გლეხი ქალის ყოფა-ცხოვრების და შრომის შესწავლა; ბრძოლა ცრუმორწმუნეობასთან და ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მავნე ნაშთებთან, რომლებიც აფერხებენ ქალის განთავისუფლების საქმეს, რესპუბლიკების ცაკებთან არსებულ ქალთა შრომის და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიების როლი,—ყველაფერი ეს მეტად აქტუალურ საკითხებს წარმოადგენს მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების ყოველდღიურ მუშაობაში.

თათბირმა უნდა გამოამჟღავნოს ყველა მტკივნეული ადგილები ამ მუშაობაში, უნდა მიაპყროს ამ საკითხებისაკენ სხვადასხვა ორგანიზაციების ყურადღება და გააღრმავოს სახელმძღვანელო მუშაობა მუშა და გლეხ ქალების განყოფილებების მხრივ.

თათბირზე განსაკუთრებულ საკითხად სდგას მუშა და გლეხ-ქალების მონაწილეობა უკანასკნელი მოწვევის საბჭოების არჩევნებში. თათბირი უნდა დაუფიქრდეს საკითხს, თუ რა ფორმებში უნდა ხდებოდეს საბჭოების მუშაობაში იმ ქალთა საკმაო რაოდენობის გამოყენება, რომლებიც არჩეული არიან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში (სასოფლო საბჭოებში, სათემო, სამაზრო, რაიონულ აღმასკომებში და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებში, ა.-კ. რესპუბლიკებში არჩეულია 9.861 ქალი ანუ ყველა არჩეულთა 11,1 პროცენტი).

საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში მუშა და გლეხ ქალების ჩაბმა, მათთვის სისტემატიურად ინსტრუქციების მიწოდება საბჭოთა ორგანოების მხრივ, უკანასკნელების მიერ რეგულიარულ თათბირების გამართვა,—ყოველივე ეს საგრძნობლად ხელს შეუწყობს საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას.

თუ მოვიგონებთ, რომ ადგილებზე მომუშავეთა უკანასკნელი თათბირი სწარმოებდა სამი წლის წინ, ამასთანავე თუ მხედველობაში მივიღებთ საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრების ტემპს, დაბეჯითებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ა.-კ., რომლის თვითეული კუთხე ასე წააგავს და ამავე დროს განსხვავდება ერთი მეორესაგან, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების მუშაკებმა შეიძინეს მდიდარი გამოცდილება, რომლის ერთმანეთისათვის გაზიარება სავსებით დროულია.

ს. შავერდოვა.

პარტიული ცხოვრება

პარტიული კონფერენცია

ქუთაისი, 15 ივნისი. გაიხსნა საერთო-საქალაქო პარტიული კონფერენცია. მოხსენება საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ გააკეთა [illegible] კომიტეტის მდივანმა ამხ. [illegible] (ადს).

პასიურობის ერთი მიზეზი

პარტიის წევრთა პასიურობაში ხშირათ დიდი დანაშაული მიუძღვის უჯრედის ბიუროს. ეს უკანასკნელი არ ცდილობს ისეთ ზომების მიღებას, რომელნიც ხელს შეუწყობენ პარტიის წევრთა აქტივობის ზრდას. ავიღოთ თუნდაც მომხსენებლის შერჩევის საკითხი.

დაკვირვებიდან ვიცით, რომ ბევრ უჯრედში მომხსენებლათ გამოდიან თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე პირები. ამის გამო თანდათან იქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა უჯრედის შიგნით არსდება მომხსენებელთა განსაზღვრული წრე, რომელიც მორიგეობით კისრულობს ამა თუ იმ საკითხების საერთო კრებებზე გაშუქებას.

ასეთი პრაქტიკა არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას. ჯერ ერთი ის ამხანაგები, რომელთაც ყველაზე ხშირათ აკისრებენ მოხსენებებს, თითქმის ყოველთვის იმდენად დატვირთულნი არიან სხვა მუშაობით, რომ ვერ ახერხებენ მოხსენებისათვის სათანადოთ მომზადებას. გარდა ამისა მოხსენების ამგვარი მონოპოლიურობა ადუნებს უჯრედის წევრთა დიდ უმრავლესობის აქტივობას.

აქედან დასკვნა ასეთია—პარტუჯრედების ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ ყოველივე ზომები, რათა სამომხსენებლო მუშაობაში ჩაბმულ იქნას უჯრედის წევრთა უმეტესი ნაწილი. აქ საჭიროა მხოლოდ, რომ ბიურო შესაფერისად ანაწილებდეს მოხსენებებს. ყველას უნდა დაეკისროს მისი ცოდნის და უნარის შესაფერი მოხსენება. რაც შეეხება დიდ საკითხებს, რომელთა გაშუქებას ესაჭიროება ერთგვარი თეორიული მომზადება და ორატორული ოსტატობა, ამ საკითხებზე მოხსენებას უნდა ვავალებდეთ უჯრედის უფრო მომზადებულ წევრებს, სწორეთ იმათ, რომელნიც დღეს გამოდიან მომხსენებლათ ყოველთვის და ყველა საკითხების შესახებ.

პარტიის წევრთა პასიურობის დაძლევის მიზნით ჩვენ ვაწარმოებდით მორიგეობითი თავჯდომარეობას უჯრედის სხდომაზე. ცხოვრებამ არ გაამართლა სავსებით ეს მეთოდი. ამიტომ საჭიროა მივმართოთ სხვა საშუალებას, რომელთა შორის მოხსენებების მიზანშეწონილათ დანაწილებას დიდი ადგილი უნდა დაეთმოს.

დ. ჩ—ა.

ცვლილებები რაიკომის პრეზიდ. შემადგენლობაში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ს. კ. პ. (ბ) თბ. ქალაქის რაიკომის საორგ. განყ. შესდგა მე-4 რაიკომის პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: რაიკომის პრეზიდიუმის ანგარიში და რაიკომის მდივნის და საორგ. გან. გამგის შესახებ.

რადგანაც პლენუმს არ დაესწრო წევრთა სათანადო რიცხვი, პირველი საკითხი გადატანილ იქნა მორიგ პლენუმის სხდომაზე. მეორე საკითხზე ამხ. დარახველიძემ შეიტანა სიტყვიერი განცხადება, მისი სწავლის მიზნით მოსკოვში გამგზავრების გამო რაიკომის პ.-მ. მდივნის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და მის მაგიერ პრეზიდიუმის წევრის ამხ. ლავრენტი მორჩილაძის არჩევის შესახებ.

პლენუმმა გაანთავისუფლა ამხ. ვ. დარახველიძე და რაიკომის მდივნად ერთხმად დამტკიცებულ იქნა ამხ. ლ. მორჩილაძე.

ამხ. **გუდავაძის** მაგიერ მისი 1-ლ რაიკომში საორგ. განყ. გამგედ არჩევის გამო საორგ. გან. გამგედ პლენუმმა დაამტკიცა ამხ. **კუდრიავცევი**. ქალთა განყ. გამგე ამხ. თენეიშვილის განთავისუფლების გამო, მის ადგილას დამტკიცებული იქნა ამხ. **ანდრიაძე**. ამხ. დარახველიძის პრეზიდიუმიდან გამოსვლის გამო პლენუმმა, პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანა პრეზიდიუმის პირველი კანდიდატი ამხ. ადამაძე.

ვა—და.

დაწინაურებულ მუშათა თათბირზე

გუშინ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან შესდგა საპასუხისმგებლო ადგილებზე დაწინაურებულ მუშების თათბირი. თათბირი გახსნა ამხ. **ხაცკევიჩმა**, რომელმაც მოკლე სიტყვაში აღნიშნა, რომ თათბირის მიზანია მოისმინოს დაწინაურებულთა მოხსენებები მათი მუშაობის მდგომარეობის შესახებ და ამ მოხსენებების საფუძველზე დასახოს საჭირო ღონისძიებები მომავალში დაწინაურებულთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

შემდეგ თათბირმა მოისმინა 6 დაწინაურებული ამხანაგის მოხსენება. მომხსენებლები უმთავრესად აღნიშნავდენ, რომ მათ საჭირო დახმარებას უწევსთ ადმინისტრაცია და უჯრედი, რაც შეეხება სპეცებს, მათი დამოკიდებულება დაწინაურებულ მუშებთან ზოგ დაწესებულებაში არ არის ნორმალური.

მომხსენებლებს დაწინაურებულთა კვალიფიკაციის ასაწევად მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭიროდ მიაჩნიათ პოპულიარული ლიტერატურის შექმნა სამეურნეო საკითხებზე, დაწინაურებულთა თათბირების პერიოდული მოწვევა და სხვ.

შემდეგ მოკლე ინსტრუქციულ მოხსენებას დაწინაურებულთა მუშაობის შესახებ აკეთებს ამხ. **კუდრიავცევი**.

თბილისის ორგანიზაცია — ამბობს ის. უკანასკნელი პარტკონფერენციის შემდეგ განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა დაწინაურების საქმეს. დღეს - დღეობით სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში — ჩვენ გვყავს 100-მდე დაწინაურებული მუშა. პარტიული ორგანიზაციის დაუღალავი მუშაობით შესაძლებელი გახდა პროფორგანოების ჩაბმა დაწინაურების საქმეში, აგრეთვე დაძლეულ იქნა ის კონსერვატიზმი და უნდობლობა, რომელსაც პირველ ხანებში იჩენდენ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოთა აპარატები დაწინაურებულ მუშების მიმართ .

გადადის რა დაწინაურებულთა მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე ამხ. კუდრიავცევი აღნიშნავს, რომ პირველ რიგში საჭიროა დაწესებულების ხელმძღვანელმა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს დაწინაურებულს.

პარტიული უჯრედი მოვალეა უშუალოდ ხელმძღვანელობდეს დაწინაურებული მუშის საქმიანობას.

ეხება რა დაწინაურებულთა კვალიფიკაციის აწევის საკითხს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ საქმისათვის ჩვენ არა გვაქვს ისეთი დაწესებულებები, როგორიცაა მაგალითად მოსკოვში და სხვა სამრეწველო ქალაქებში (საქმიანი კლუბები, წითელ დირექტორთა კლუბები), სწორედ ამიტომ საჭიროა გამონახულ იქნას უფრო ხელმისაწვდომი ფორმები დაწინაურებულთა კვალიფიკაციის გასაუმჯობესებელ მუშაობისათვის. საუკეთესო ფორმას ამ საქმეში დაწინაურებულთა სპეციალური წრეების დაარსება და პერიოდული თათბირების მოწვევა წარმოადგენს.

დაწინაურებული უნდა ირიცხებოდეს იმ დაწესებულების უჯრედში, რომელშიაც თვითონ მუშაობს, მაგრამ მან კავშირი არ უნდა გასწყვიტოს თავის ძველ საწარმოო უჯრედთან.

დაწინაურებული თავის მუშაობას უნდა აშუქებდეს პრესაში, რაც საშუალებას მისცემს პარტიულ და პროფორგანოებს აღრიცხონ და განაზოგადონ დაწინაურებულთა მუშაობა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **სარადლიშვილმა, ჟივოვმა, კონოვალოვმა, არეშიძემ, ბედელიძემ** და სხვ.

ქ. სურმუშელი.

მუშათა კონფერენციები

მესამე რაიონის მუშათა კონფერენცია

გუშინ საღამოს ავლაბრის მუშათა კლუბში გაიხსნა ქალაქის მესამე რაიონის მუშათა ფართო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ამხ. **ტერ-ვართანოვმა**, რომელიც თავის მოკლე შესავალ სიტყვაში მიესალმა კონფერენციის მონაწილეთ და აღნიშნა კონფერენციის მოწვევის მიზეზები.

ამხ. ტერ-ვართანოვის წინადადებით არჩეულ იქნა საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმები. საქმიან პრეზიდიუმში აირჩიეს 23 კაცი.

საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. **სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ნაზარეტიანი, აღამალიოღლი, კახიანი და მახარაძე**.

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე, მოხსენება ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობაზე და სარაიონო კომისიის წარმომადგენლის თანამოხსენება ამავე საკითხზე.

ამხ. მ. კახიანის მოხსენება

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **მ. კახიანი**.

მოხსენების დასრულების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ მუშებმა, რომლებიც ერთხმად აცხადებდენ, რომ ისინი მზად არიან ყოველ წუთში იბრძოლონ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა შესასრულებლათ.

მუშებიდან ილაპარაკეს ამხ. **მუცუკატოვმა, თაქთაქიშვილმა, არუთინოვმა, ლომთათიძემ, ბაირამოვმა, აკოპოვმა, თოდაძემ და სხ.**

— ხუთი შვილი მყავს, ხუთივეს წინ გაუშვებ მოწინავე პოზიციისაკენ—განაცხადა მუშა **აკოპოვმა**.

— დამანებონ ჩემი ჩაქუჩით მუშაობა, თორემ თოფის ხმარებაც არ დამვიწყებია—ამბობს ამხ. **ირემაშვილი**—გაუმარჯოს თავდაცვას, ძირს საბჭოთა კავშირის მტრები—ასე ათავებდა ყოველი ორატორი თავის სიტყვას.

დასასრულ კონფერენციამ მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

მესამე რაიონის გაფართოებულმა მუშათა კონფერენციამ მოისმინა რა ამხ. **კახიანის** მოხსენება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ თავის ღრმა აღშფოთებას და სიძულვილს გამოსთქვამს ინგლისის იმპერიალისტების ბოროტ-მახინაციების წინააღმდეგ.

შუბლმაგართა კაბინეტს, რომელიც შეშინებულია ჩვენი საალმშენებლო მუშაობის წარმატებით, რომელიც სიძულვილით არის აღსავსე საბჭოთა კავშირის მიმართ, სურს ჩვენი ქვეყანა გადააქციოს კაპიტალისტური ქვეყნების მაჩანჩალათ, მოსპოს საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც პროლეტარული რევოლიუციის და დაჩაგრულ კოლონიალურ ხალხების განმანთავისუფლებელ ომების დასაყრდენია. მეორეს მხრივ რევოლიუციის განვითარება კოლონიებში, ინგლისის მუშათა კლასის გარევოლიუციონერება და კაპიტალიზმის და პირველ რიგში ბრიტანეთის კაპიტალიზმის გაძლიერებული კრიზისი სიკვდილს უმზადებს ინგლისის ბურჟუაზიას.

ამიტომ არის, რომ ისინი აძლიერებენ ავანტიურის და ჯავშნიანი მუშტის პოლიტიკას. ამიტომ არის, რომ ცოფმორეული შუბლმაგართა კაბინეტი სწყვეტს სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, ამზადებს ტერორისტულ აქტებს საბჭოთა და საერთაშორისო პროლეტარიატის მოღვაწეთა წინააღმდეგ, აწყობს თეთრგვარდიელ ბანდიტების გამოსვლას, ცეცხლის წაკიდებას და ფაბრიკა-ქარხნების აფეთქებას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. აქეზებს და ხელს უწყობს ყაჩაღურ თავდასხმებს ჩვენს საელჩოებზე და სავაჭრო წარმომადგენლობებზე და თავისი ბინძური ხელით ხვრეტს მუშებს და გლეხებს ჩინეთში, ინდოეთში და ეგვიპტეში.

თავი წამოყვეს ინგლისის ბოროტი პოლიტიკით წაქეზებულმა მენშევიკურმა ჟულიკებმაც. ისინი პარიზში სხედან და ოცნებობენ ახალ ავანტიურაზე და საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე საქართველოში. საქართველოს მშრომელები, რომლებიც აქტიურად ჩაბმული არიან სოციალიზმის აღმშენებლობაში და, რომლებიც კარგად იცნობენ მენშევიკებს, როგორც იმპერიალიზმის აგენტებს და მუშათა კლასის მტრებს, არ დაუშვებენ მენშევიკურ ავანტიურას.

ამ ავანტიურისტული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ინტერვენციის მომზადება, საბჭოთა სახელმწიფოს მტრული რგოლით გარშემორტყმა. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ მივისწრაფვით მშვიდობიანობისა და სხვა სახელმწიფოებთან კეთილმეზობლურ ცხოვრებისაკენ. მიუხედავად ინგლისის ბინძური და ბოროტი პოლიტიკისა, საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა უდიდესი სიმშვიდე და მოთმინება და არ წამოეგო შუბლმაგართა პროვოკაციულ ანკესზე.

ომის გაძლიერებულ საშიშროებაზე ჩვენ ვუპასუხებთ აღმშენებლობის კიდევ უფრო გაფართოებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით, ქალაქის და სოფლის მრეწველობის განვითარებით და თანდათან უფრო მჭიდროდ გავერთიანდებით კომპარტიის მშრომელი მასების ერთადერთ ხელმძღვანელის გარშემო. თუმცა ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობიანობა, მაგრამ მაინც შეიძლება ჩვენ ომი თავზე მოგვახვიონ. ამიტომ კიდევ უფრო გულმოდგინეთ ვემზადოთ ომისათვის, მზათ ვიქნეთ ყველანი, როგორც ერთი კაცი გამოვიდეთ ოქტომბრის მონაპოვართა და საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, და საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად იმპერიალისტური ომი გადავაქციოთ სამოქალაქო ომათ.

გათავხედებულ იმპერიალისტებს, მათ ლაქიებს მენშევიკებს, მუსავატელებს და დაშნაკებს ჩვენ ღირსეულ პასუხს გავცემთ.

ძირს პროვოკაციული ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ!

ძირს ცეცხლის წამკიდებლები და მკვლელები!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას და კომინტერნს!

არსრაიონის მუშათა კონფერენცია

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის ტრამვაელთა კლუბში გაიხსნა არსენალის რაიონის მუშათა გაფართოვებული კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია ორი საკითხი: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და მოხსენება ფასების დაკლების შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ლუკაშინი**.

მომხსენებელმა დაახასიათა ინგლისთან ურთიერთობის ჩაშლის გამო შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ინგლისის ბურჟუაზიას უნდა ჩვენთან ომი, მაგრამ ეშინია ამ ომის, რადგან მას ზურგი არ აქვს მაგარი.

ინგლისის მუშათა კლასი—ამბობს მომხსენებელი—საკმაოდ ძლიერია, რომ არ დაუშვას ახალი საერთაშორისო სისხლისღვრა.

რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა თანდათან ჰკარგავს მოსახლეობის ნდობას, ეს სჩანს იქიდანაც, რომ ინგლისის პარლამენტის უკანასკნელი დამატებითი არჩევნების დროს კონსერვატორებმა ხუთ ოლქში დაჰკარგეს ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა ჩინეთის რევოლუციაზე და აღნიშნა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლა, სხვათა შორის, დააჩქარა რევოლიუციის განვითარებამ ჩინეთში. ინგლისის ბურჟუაზია გრძნობს, რომ გამოღვიძებული ჩინეთი საფრთხეს წარმოადგენს მისი ბატონობისათვის. ამიტომ იგი ყოველ ღონეს ხმარობს, ჩაახშოს ჩინეთის რევოლიუცია.

ჩვენი ვალია მტკიცეთ ვიდგეთ სადარაჯოზე და ამავე დროს ერთი წუთითაც არ შევასუსტოთ ის აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც სწარმოებს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში.

ამხ. ლუკაშინის მოხსენებით დამთავრდა კონფერენციის პირველი სხდომა.

მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების გამგეთა ამიერ-კავკასიის თათბირი

გაიხსნება 17 ივნისს საღამოს 6 საათზე, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შენობაში.

დღის წესრიგი: 1) საერთაშორ. მდგომარეობა. 2) 1926—27 წ. სადელეგატო კრებები (მუშაობის შედეგები და უახლოესი ამოცანები). 3) მუშა და გლეხ-ქალების მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში. 4) მასიური მუშაობა მუშა და გლეხ-ქალებს შორის. 5) მუშაობა ყოფა-ცხოვრების დარგში. 6) ადგილობრივი ბიუჯეტი. 7) მიმდინარე საკითხები.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საპროტესტო მიტინგი

ცაგერი, 16 ივნისი. ცაგერში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო. ამხ. ვოიკოვის მოკვლამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ლეჩხუმის მაზრის მშრომელ მოსახლეობაში. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა, მაგრამ, თუ იმპერიალისტები დაარღვევენ პროლეტარიატის მშვიდობიანობას, ჩვენ თავს დავიცავთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“. (ადს)

კურორტებზე

ახალ-სენაკი, 15 ივნისი. წელს ახალსენაკის მაზრაში დათმობილი აქვს 80 ადგილი კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში. (ადს)

კალია

სიღნაღი, 16 ივნისი. კალია, რომელსაც ეჭირა დღემდე მილარის მიდამოები, გადავიდა შირაქის ველზე და გამოჩნდა აგრეთვე კაკრეთის რაიონშიაც. კალიასთან ბრძოლაში ჩაბმულია გლეხობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ხუთი ინსტრუქტორი. ბრძოლა წარმატებით სწარმოებს. (ადს)

ნათესების მდგომარეობა

სიღნაღი, 16 ივნისი. მშრალი ზამთრისა და შემოდგომის გამო საზამთრო ნათესები, ალაზნის იქითა რაიონის გამოკლებით, ყველგან დაზარალდენ. ზოგიერთ ადგილას ნათესები დაზარალებულია მთელი 100 პროცენტით. გაზაფხულის ხშირმა წვიმებმა ხელი შეუწყვეს ბალახის გაზრდას, რაც პურის ზრდას აფერხებს. ადგილებზე გამოყოფილია სპეციალური კომისიები, რომლებიც არკვევენ ზარალის რაოდენობას. (ადს)

ვაზების დამყნა

სიღნაღი, 16 ივნისი. მიმდინარე სეზონში მაზრაში მუშაობდა ექვსი სათბილებელი ამერიკულ ვაზების დასამყნელად რიხტერის წესის მიხედვით. უკვე დამზადებულ იქნა 3 ნახ. მილ. ცალი დამყნილი ვაზი. (ადს)

ჭლექის სამდღიური

სიღნაღი, 16 ივნისი. 17, 18 და 19 ივნისს მაზრაში ჩატარებულ იქნება ჭლექის სამდღიური. სამაზრო ცენტრში და ადგილებზე მოწყობილია სამდღიურის ჩამტარებელი კომისიები. (ადს)

წვრილები

ლეჩხუმის მაზრის მასწავლებელთა კონფერენცია

29 მაისს განათლების განყოფილების მიერ მოწვეულ იქნა ოთხწლედების, შვიდწლედების და ცხრაწლედების გამგეების სამაზრო კონფერენცია, რომელზედაც დასმულ იქნა შემდეგი საკითხები: 1) განათლების განყოფ. გამგის საანგარიშო მოხსენება; 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) საზაფხულო მუშაობის ჩატარება და კოლონიუმები, 4) ექსკურსიის მოწყობა—მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა განათლების განყ. გამგე. მან ჯამი გაუკეთა ხელისუფლების მიერ გამოყოფილ კომისიის მუშაობას, რომელსაც დავალებული ჰქონდა განათლების საქმის გამოკვლევა მაზრაში. მომხსენებელი პირველ ყოვლისა ეხება სკოლის ტექნიკურ მხარეებს და აღნიშნავს, რომ სკოლების შენობების დიდი უმრავლესობა არ შეეფერება თავის დანიშნულებას, არ არის საკმაო რაოდენობით მერხები, დაფები, რუკები, გლობუსები, ფიზ-ბუნების კაბინეტები, ბიბლიოთეკები საბავშო ლიტერატურით, სავარჯიშო იარაღები და სხვა. ხშირათ სკოლები მოთავსებულია ეკლესიებში ან მის ეზოებში. ეხება რა სამოსწავლო ნაწილს, მომხსენებელი ამბობს, რომ მცირე გამონაკლისს გარდა ახალი სისტემით არსად სწარმოებს მუშაობა, არ არის პროგრამები, წინასწარ გამომუშავებული გეგმები და სხვა.

ცოტა ყურადღება ექცევა თვალსაჩინოებას, არ სწავლება მოთხოვნილების მიხედვით საზოგადოებათ მეცნიერება, რუსული ენა, ბუნება, გეოგრაფია, მათემატიკური საგნები და სხვ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიდაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმა. აღსანიშნავია პ. მგ. მდივნის ამხ. სიმაიშვილის გამოსვლა, რომელიც აღნიშნავს, რომ უტყუარი ფაქტების მიხედვით მასწავლებლობა ვერ სდგას თავის დონეზე, ვერ არის დაკავშირებული გლეხობასთან, საგნების სწავლება სუსტადაა დაყენებული და სხვ.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო მომხსენებლის მიერ წაყენებული პრაქტიკული ღონისძიებანი.

შემდეგ საზაფხულო მუშაობის და კოლოქვიუმების ჩატარების შესახებ მოხსენება გააკეთა სამაზრო ინსტრუქტორმა.

მრავალ შეკითხვებზე მომხსენებელი აძლევს სრულ ამომწურავ პასუხს.

ექსკურსიის საქმის მოსაწესრიგებლად არჩეულ იქნა ბიურო, რომელსაც დაევალა ამ საკითხის მოგვარება.

კონფერენციის მუშაობა გაგრძელდა 2 დღეს. უნდა ითქვას, რომ კონფერენცია ატარებდა მეტად საქმიან ხასიათს, მასწავლებლობაც დიდი ინტერესით შეხვდა ყველა დასმულ საკითხებს და მიიღო მის გარჩევაში მხურვალე მონაწილეობა.

სასურველია ასეთი კონფერენციები ხშირად იწვეოდეს და ხდებოდეს შეფასება-შემოწმება მთელ განვლილ მუშაობის.

ცხენისწყლისპირელი.

დაუდევრობის ნაყოფი

(გურია)

ოზურგეთ-ნაგომრის გზატკეცილის შესახებ არა ერთხელ დაწერილა გაზეთებში, მაგრამ დღემდის მისი პატრონი არავინ აღმოჩნდა. ტექნიკ ჩიქოვანის იმედით (რომელზედაც ამხ. ფ. მახარაძემ შესაფერი წერილი მოათავსა ამას წინად გაზ. კომუნისტში). ამ გზის შეკეთება შეუძლებელია და ესაჭიროება შესაფერი პატრონი. ნაგომრის ახლოს მდებარე სუფსამ სრულიად გაანადგურა 3 ვერსი გზატკეცილი და აუცილებელია სხვა ადგილზე ახალი გზის გაყვანა ვარიანტის შეცვლით, რაც დაჯდება 34—40,000 მანეთი; თუ ამას მიუმატებთ იმ ზარალს, რომელიც ამ წყალმა მიაყენა აქვე მოსახლეობას, 200 დესეტინამდე სახნავ-სათესი მიწების წართმევით და განადგურებით, რომლის ღირებულება აღემატება 80.000 მანეთს, მაშინ გამოვა, რომ საქმის უპატრონობით სახელმწიფომ იზარალა 150—120,000 მანეთი.

თავის დროზე რამდენით შეიძლებოდა ამ წყლის სათავის გაკეთება?!

საკმარისი იყო 4—5000 მანეთი, მაგრამ ვინ რას დაეძებდა...

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა თავის დროზე მოიშორა ამის პასუხისმგებლობა, რადგან აღნიშნული გზატკეცილი გადააბარა რესპუბლიკის გზატკეცილთა მთავარ სამმართველოს; უკანასკნელმა კი ჩიქოვანს ჩააბარა მისი მოვლა-პატრონობა.

გზატკეცილი და ამოდენა სახნავ-სათესი მიწები დაიღუპა. გზა აღარ არის... გავლა შეუძლებელია, რადგან ამ გზატკეცილს აქვს საზხედრო და რესპუბლიკის მნიშვნელობა, ამიტომ დაჩქარებით უნდა მიექცეს ყურადღება ამ გზის შეკეთებას.

ქ. უჯმაჯურიძე.

წერილებიდან

— დროა, აწი მაინც მოგვარდეს. (ხეთის თ., ზუგდ. მ.). სოფ. თარსაში 220 კომლი ცხოვრობს. აწჯილა სოფელი უსკოლოთ არის დარჩენილი. 1925 წლამდე აქ იყო სკოლა, მაგრამ შემდეგ მცხოვრებთა შორის სკოლის ადგილის არჩევის ნიადაგზე თავი იჩინა უთანხმოებამ. [illegible] ყოველი ღონე იხმარა, მაგრამ ვერ შეათანხმა მცხოვრებლები ერთმანეთში. სასკოლო შენობა აგებულია, მაგრამ სწავლა არ დაწყებულა. დღეს სოფელი უსკოლოთ არის დარჩენილი. ახალგაზრდობა უსწავლელი რჩება. სამაზრო ხელისუფლებამ ზომები უნდა მიიღოს, რომ სექტემბრიდან მაინც იქნეს გახსნილი სკოლა.

აკ. ივლიანაშვილი.

ვაი ყოლას, ვაი უყოლობას. (ქორეთი, შორაპ. მ.). გასული წლის ოქტომბრიდან ეღირსა ჩვენს თემს ფოსტალიონი. გვეგონა წერილებს და გაზეთებს თავის დროზე მივიღებდით, მაგრამ ეს ასე არაა. ფოსტალიონს სამი თემი ჩააბარეს, რომელიც კვირაში ორჯერ უნდა შემოიაროს. მაგრამ ყველას რომ სახლში მიუტანოს წერილები, ორ კვირაში ერთხელაც ვერ შემოიარს ამ სამ თემს. ამიტომ საჭიროა კიდევ ერთი ფოსტალიონის დანიშვნა.

ხაირხელი.

ხელმძღვანელობაა საჭირო. (ს. კაკაბეთი, სიღ. მ.). ამ სოფლის ზოგიერთ უბანში 1913 წ. გამოვიყვანეთ წყალი. მაგრამ დარჩა ხშირად დასახლებული უბნები, რომლებიც დიდ გაჭირვებას განიცდიან უწყლობით, სვამენ მღვრიე ტალახით წყალს. სოფ. ვერხნი და ჩილაური შეწუხებული არიან. შეიძლება ახლო წყაროების გამოყვანა, გლეხებიც არაფერს არ დაიშურებენ, ოღონდ წყალი გამოიყვანონ, მხოლოდ არ არის მეთაური. ითავე აღმასკომმა, ეს საქმე და ჩვენც დაგეხმარებით.

ს. ქიზიყურაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **ახკორთა წრე.** ზუგდიდის აგრო-ტექნიკუმთან დაარსდა ახკორთა წრე.

— **სამაგალითო სკოლა.** სოფ. კარდანახის შვიდწლედის მოწაფეებმა მასწავლებელთა ხელმძღვანელობით დაამუშავა ორი დესეტინა მიწა, რომელზედაც გაშენებული იქნა სხვადასხვა კულტურული მცენარეები და ბოსტანი.

— **ხიდი.** სოფ. სინდაბუთის (ხიდის თავი) მცხოვრებლებმა თავის ხარჯით ააგეს ხიდი მდ. ქოროშაზე.

— **დიღომის** აღმასკომმა გადასწყვიტა გამოყოს თავის წრიდან სპეციალური კომისია თემში სისუფთავის დასაცავად.

— **ხმა - მაღლა მოლაპარაკე.** აფხაზეთში დასახლებულ სვანების სოფელ აჭარაში დაიდგა ხმა - მაღლა მოლაპარაკე აპარატი.

— **კალია.** სიღნაღის მაზრაში ამჟამად მოდებულია კალია, რომლის წინააღმდეგ სწარმოებს ბრძოლა.

— **სკოლა.** შუა-სურების (ოზურგეთი) თემაღმასკომის თაოსნობით გლეხები შეუდგენ სკოლის შენობის აგებას.

— **უბედური შემთხვევა.** ივნისის პირველ რიცხვებში ილია ლეშკაშვილს სოფ. ლაჯანიდან (ლეჩხუმი) მიყავდა ცაგერში ავადმყოფი ცოლი ექიმის საჩვენებლად. გზაზე, სოფ. ჩხუტლაში, ვიღაცას გაუვარდა თოფი და იქვე მოკლა ავადმყოფი ქალი. სწარმოებს კვლევა - ძიება.

— **სეტყვა.** გასულ კვირაში ლეჩხუმის მაზრის რამდენიმე სოფელში მოვიდა არაჩვეულებრივი სეტყვა, რომელმაც განსაკუთრებით დააზარალა ორი სოფელი,—ლუხვანო და ცხემლარი. ზარალი უდრის ათას მანეთს. ზარალის დაწვრილებით გამოსარკვევად გამოყოფილია კომისია.

— **საქონლის გაცოფება.** ქ. ცაგერში (ლეჩხუმი) და ახლო მდებარე სოფლებში საქონლის გაცოფების ხშირი შემთხვევაა, რაც შიშს იწვევს მაცხოვრებლებში. სამაზრო აღმასკომი ზომებს იღებს საქონლის გაცოფების წინააღმდეგ.

მუშათა ცხოვრება

ხან ერთია, ხან მეორე

(ნაამბობი)

ლენინის ქუჩაზე არის „მუშკოოპი“-ს ხორცის დუქანი, სადაც ხორცის გარდა იყიდება აგრეთვე ხაჭო, კარტოფილი, სტაფილო და სხვა. შევედი ხორცისა და მასთან საჭირო მასალის საყიდლად. ჯერ ხომ ხორცი არის.

— კარტოფილი გაქვთ?—ვეკითხები.

— არ არის.

ხახვი?

— არ არის

სტაფილო?

არ არის.

— მწვანე ლობიო?

— არ არის..

მაშ, რაღა გაქვთ, ადამიანო?!

— ნახევარ საათის შემდეგ ყველაფერი იქნება, — მეუბნება ნოქარი.

მოვედივარ ნახევარ საათის შემდეგ. მართლაც, ყველაფერი მოუტანიათ, ყველაფერი ბლომად არის, მაგრამ დახეთ უბედურებას?! ხორცი აღარ არის, სულ გაუყიდიათ!

რატომ არ იზრუნებენ, რომ დუქანში ერთსა და იმავე დროს ყველაფერი იყოს? მყიდველისათვის მოუხერხებელია „მუშკოოპში“ ხორცი იყიდოს, კერძო ვაჭართან კარტოფილი, ან კარტოფილი იყიდოს მუშკოოპში, ხოლო ხორცი კერძო ვაჭართან.

მყიდველისათვის სასურველია ხორცი და მისთვის საჭირო მასალა ერთს ალაგას იყიდოს, —„მუშკოოპში“, კერძო ვაჭართან არ იაროს და ზედმეტი გროშები არ იხადოს ვიღაცას დაუდევრობით!

მუშა ნიკო ას—ლი.

როგორ ტარდება კამპანია შეფებულებაში მიმავალთა შორის

(ა.-კრკ. გზ. სამმართველოში)

ა.-კ. რკ. გზების სამმართველოში 15 მაისიდან, სოფლისა და ქალაქის დაახლოების დამხმარე საზოგადოებამ საშეფო საზოგადოების ბიუროს და აგიტპროპკომისიისაგან გამოყოფილ კომისიასთან ერთად დაიწყო კამპანია შვებულებაში მიმავალთა შორის, კრებები ტარდებოდა განყოფილებებში, შვებულებაში მიმავალ ამხანაგებს უხსნიდნენ მიზანს, ამოცანებს და მოვალეობებს სოფლად მუშაობისა და ამავე დროს ირჩევდნენ საშეფო სამეულებს, რომლის მოვალეობასაც შეადგენს საშეფო საზოგადოების მუშაობის წარმოება. ეს სამეულები დარჩება მუდმივ, როგორც დამხმარე ორგანოები ადგილობრივი შეფბიუროსი, ხსენებულ საზოგადოების შორის მუშაობის გასაცხოველებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შვებულებაში მიმავალთა შორის სოფლად მუშაობის მსურველნი ბლომად აღმოჩნდნენ და განყოფილებათაგან უკვე შემოდის სიები. 15 ივლისიდან საშეფო საზოგადოების ბიურო იწვევს ყველა შვებულებაში მიმავალთა საერთო კრებას, ლიტერატურის დასარიგებლად, განზრახულია აგრეთვე ექსკურსიის მოწყობა თბილისის ცენტრალურ გლეხთა სახლში, სადაც შვებულებაში მიმავალთა შეეძლებათ გაეცნონ სოფლად აძრულ და საჭირბოროტო საკითხებს, რაც მათ მისცემს საშუალებას, სწორი მიდგომისა, გლეხობასთან მუშაობის პირობებში.

რ. არზუმანოვი.

რათ წყდება კაჯანცევის მუხრუჭებით აღჭურვილი მატარებლები?

კაჯანცევის მუხრუჭებით აღჭურვილი მატარებლები რამოდენიმეჯერ გაწყდა. ამის გამო მემანქანეს და სამატარებლო ბრიგადას გამოეცხადა საყვედური. ისინი კი არაფერ შუაში არიან. ყველაფერი უბილეთო მგზავრების ბრალია.

აი მაგალითიც: 12 ივნისს, დილით ნავთლუღ - თბილისის გადასარბენზე გაწყდა მატარებელი № 204. გაწყვეტა გამოწვეულ იყო შემადგენლობის ბოლო ნაწილის დამუხრუჭებით. რონოდაზე იყო მოტეხილი ჰაერის გამოსაშვები ონკანი, ეს აღმოჩენილი იქნა თბილისის ზეინკლების მიერ. ამ გარემოებას გამოუწვევია დამუხრუჭება შემადგენლობის ბოლო ნაწილისა, რასაც მოჰყვა შემადგენლობის გაწყვეტა.

სასტიკი ზომებია საჭირო უბილეთო მგზავრების წინააღმდეგ. თუ გვინდა, რომ მატარებლები გადავარჩინოთ დამსხვრევისაგან.

ახალციხის ხე-ტყის ქარხანა

3 ვერსის დაშორებით ახალციხიდან მდინარე პოცხოვ - ჩაის ნაპირებზე მოთავსებულია ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც იმყოფება საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის განმგებლობაში.

2 ჩარჩოიანი დაზგები და 9 წრიადი ყოველთვიურათ ხერხავენ დაახლოებით 30.000 ოთხკუთხ. ხოჯა ხე-ტყის მასალას. სპეციალური ბურბუშელის დაზგა აკეთებს ყოველდღიურათ 40 ფუთამდე ბურბუშელას, რომელიც ბარდება ბორჯომის კომბინატს ბორჯომის წყლით სავსე ბოთლების ჩაფუთვისათვის. ახლო მომავალში ბურბუშელის განყოფილების დღიური პროდუქცია დაყვანილი იქნება 50 ფუთამდე. უმთავრესად აღნიშნულ ქარხნიდან გამოდის ფიცრები და სხვა საამშენებლო მასალეულობა, რომელზედაც კარგი ღირსების გამო დიდია მოთხოვნილება.

ქარხნის ნაყოფიერებას ძლიერ უშლის ხელს ძალის სადგურის ქვაბების შეუკეთებლობა, რის გამოც დაზგებს და წრიადებს უხდებათ რიგრიგობით მუშაობა რაც, რა თქმა უნდა ამცირებს ქარხნის ნაყოფიერებას. არა ერთხელ აღუძრია ქარხანას შუამდგომლობა ქვაბის შესაკეთებლად, მაგრამ ტრესტი დღემდე არ აქცევს ყურადღებას.

ქარხნის ტერიტორიაზე 1925 წ. აწყვია 925 ცალი გადასაყვანი ძელები დაკვეთილი ა.-კ. რკ. გზის მიერ თავის საჭიროებისათვის, მაგრამ დღემდე იგი არ ღებულობს და არ გააქვს საწყობიდან. 50 პროც. აღნიშნულ ძელების რაოდენობიდან უკვე დაზიანდა და დაჰკარგა თვისი ღირსება. თითო ძელი ღირს 58 მანეთი. ასე რომ 2.500 მანეთი დაიღუპა უყურადღებობის გამო. დანარჩენი 50 პროც. ასევე დალპება, თუ დროზე არ მიიღეს ზომები. მიუხედავათ იმისა, რომ ქარხანა მოითხოვს ძელების ფიცრებათ დახერხვის ნებართვას, ტრესტი სდუმს და არ აძლევს რჩევას. ქარხანაზე მუშაობს სულ — 46 მუშა, მათი საშუალო ხელფასი უდრის 35—40 მანეთს. ხელფას მუშები ღებულობენ თავის დროზე მოწესრიგებულია აგრეთვე სპეც-ტანსაცმელის მიღების საკითხი. ქარხანასთან მოწყობილია სასადილო და დასასვენებელი კუთხე სამკითხველოთი. სამუშაო დღეების გაცდენას არ ჰქონია ადგილი.

იქაური.

კულტურული მუშაობა

(კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი“)

დიდი ხანი არ არის, რაც კოლოფების ქარხანაში არჩეული იქნა ახალი კულტკომისია ხუთი კაცის შემადგენლობით, რომელმაც თავის პირველივე სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა სამი თვის სამუშაო გეგმა. კულტკომისია უმთავრესად, თავის მუშაობას ატარებს ამავე ქარხნის წითელ კუთხეში, სადაც გამართულია ბიბლიოთეკა - სამკითხველო.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული წითელ კუთხე წარმოადგენს მუშებისათვის დასასვენებელ და გასართობ კერას, სადაც დასვენების დროს და მუშაობის შემდეგაც იკრიბებიან. სამკითხველოსათვის გამოწერილია ყოველგვარი ჟურნალ - გაზეთები. ბიბლიოთეკაშიც წიგნების საკმაო რიცხვი მოიპოვება. წითელ კუთხეში მოწყობილია სხვადასხვა კუთხეები, როგორიცაა: საწარმოო, პროფესიონალური, ქალთა, სამხედრო და „რემედასი“-ს, რომელიც განსაკუთრებით ლამაზად არის მოწყობილი. გაკეთებულია კარდონისაგან ციხე, საიდანაც გადმოიყურებიან დაპატიმრებული რევოლიუციონერები. იქვე მოიპოვება „სარემედასო“ ლიტერატურა და დაღუპულთა, ლიდერების სურათები.

წითელ კუთხეში მოიპოვება აგრეთვე სათამაშო ნარდი და „ჭადრაკი“, იქვე სდგას როიალი.

წითელ კუთხეს ჰყავს დაქირავებული ტექნიკური მომუშავე, მაგრამ საერთო ხელმძღვანელია კულტკომისია.

ახალმა კულტკომისიის მუშაობამ თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო, მან მოაწყო მასიური ექსკურსიები, როგორც ბროდსკის — 26 ბაქოელ კომისრის სურათის გამოფენაზე. აგრეთვე ზაჰესში, რომელმაც მუშებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

კულტკომისია ამ დღეებში მართავს ქარხნის მუშა - კორესპონდენტების საერთო კრებას, რომელზედაც მოხდება კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის არჩევა.

ვანო.

საყურადღებო წვრილმანი

— რა გააკეთა ჩვენმა ჯგუფკომმა. სურსათ-ვემოვნების კავშირის მეოთხე ჯგუფკომი აერთიანებს 74 სახელოსნოს, სადაც მუშაობს 192 მუშა - მოსამსახურე. ყველანი პროფკავშირის წევრები არიან. ჯგუფკომთან არსებობს შემდეგი კომისიები: შრომის დაცვის, შემფასებელი საკონფლიქტო, კულტკომისია და ურთიერთ დამხმარე სალარო, რომელთა მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

კულტკომისიამ დაარსა შემდეგი წრეები: პროფწრე, მუშკორთა და ჭადრაკის წრე, რომელნიც სისტემატიურად მუშაობას აწარმოებს. თვეში ერთხელ იმართება ლექციები და კინოები. საწევრო გადასახადი გროვდება წესიერად. ხელფასი მუშებს ურიგდებათ თავის დროზე.

დ. ჯ. ზ.

— უპირატესობა უნდა მიეცეს. თბილისის საყუდის მემანქანეთა ის თანამშრომლები, რომელნიც დღიურად მუშაობენ ვერ ეღირსენ შტატში ჩარიცხვას. საყუდში დიდ ორთქლმავლებზე თანამშრომლების გარდა ცეცხლის ფარეშებიც მუშაობდენ, მაგრამ ეხლა ცეცხლფარეშების მაგიერ დღიურ თანამშრომლებს უხდებათ მუშაობა. ცეცხლის ფარეშები შტატში ჩარიცხეს და თანამშრომლებათ გადაიყვანეს, ხოლო დღიური თანამშრომლები ისევ ისე დარჩენ. იმ ყოფილ ზეინკლებს, რომლებიც თანამშრომლებათ მუშაობენ, უპირატესობა უნდა მიეცეთ შტატში ჩარიცხვის დროს.

კ. ო.

პროფკავშირებში

კავშირების ყველა ცენტრალურ გამგეობებს

თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა უკვე დაამთავრა 1927-28 საბიუჯეტო წლის საკონტროლო ციფრების დამუშავება, 1927-28 წ. ხარჯთაღრიცხვის შესადგენათ.

ამ დღეებშივე იწარმოებს მუშაობა ცალ-ცალკე დარგებისა და აღმასკომების წარმოებების სამეურნეო ხარჯების განხილვის შესახებ.

გატყობინებთ რა ამას საქართველოს პროფკავშირთა საბჭო წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ თბილისის აღმასკომის სათანადო განყოფილებებს და მიიღოთ მონაწილეობა ბიუჯეტის შედგენაში.

ყველა უთანხმოებანი, რომლებიც გექნებათ ხარჯთაღრიცხვის გარშემო ბიუჯეტის შედგენაზე წერილობით უნდა წარმოადგინოთ საქართველოს პროფსაბჭოში, რომ ამ უკანასკნელს საშუალება ექნეს დაიცვას თავისი მოთხოვნები შესაფერის ორგანიზაციებში.

ს. პ. კ. ს. თავმჯდომარე გ. ყურულაშვილი.

მუშების ექსკურსიები მოსკოვში

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება მიმდინარე საზაფხულო პერიოდში აწყობს მოსკოვში ექსკურსიას. ექსკურსიის მთავარი მიზანია თბილისის მუშებს გააცნონ საწარმოო და კულტურული მიღწევები ცენტრში.

პირველი ექსკურსია განზრახულია მოეწყოს პირველ ივლისს შემდეგი მარშრუტით: თბილისი—მოსკოვი—თბილისი. ექსკურსია გაგრძელდება 14 დღეს. მგზავრობა თვითეულ ექსკურსანტს დაუჯდება 72 მანეთი.

საამშენებლო კანტორის გახსნა აჭარისტანში

რესპუბლიკის ზოგიერთ ადგილებში პროფორგანიზაციები საამშენებლო საქმეს იჯარით სცემენ კერძო პირებზე. ასეთ შემთხვევას ამ უკანასკნელ ხანში ადგილი ჰქონდა აჭარისტანში. ამ არანორმალობის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობამ საჭიროდ სცნო ყველა ის აღმშენებლობითი საქმიანობა, რომლებიც განზრახული აქვს დაიწყოს ან და ამ ჟამად ასეთებს კერძო მოიჯარადრეები აწარმოებენ, მთლიანად გადაეცეს სამეურნეო ორგანიზაციებს.

კერძოთ აჭარისტანში განზრახულია გაიხსნას საამშენებლო კანტორა, რომელიც გაერთიანებს აჭარისტანის ფარგლებში აღმშენებლობითი მუშაობას.

ზაჰესის საზეიმო გახსნა

ზაჰესის საზეიმო გახსნა დანიშნულია კვირას 26 ივნისს. საზეიმო გახსნაში რესპუბლიკის სხვა დასახვა კუთხის ფართო მასის მონაწილეობის მიღების მიზნით პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ უკვე დაუგზავნა აჭარისტანის პროფსაბჭოს, ფოთის და ქუთაისის სამაზრო პროფბიუროებს, ხაშურის საუბნო პროფკავშირს, ჭიათურის სამთომადნო კავშირის ცენტრ. გამგეობას, სამტრედიის საშუბნოს და ბორჯომის პროფბიუროს ცირკულიარული მიმართვა, რომ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს ევალებათ ამ დღისათვის მოაწყონ ზაჰესში მუშების ექსკურსიები. ექსკურსანტებისათვის დანიშნული იქნება სპეციალური მატარებელი, რომელიც გამოვა ბათომიდან შაბათს 25 ივნისს, ხოლო მცხეთიდან უკან დაბრუნდება კვირას საღამოს.

შრომის კოლექტივები

შრომის სახ. კომისარიატი უახლოეს მომავალში შეუდგება თბილისში არსებულ შრომის კოლექტივების მდგომარეობის გამოკვლევას. ამ მიზნით გამოყოფილია კომისია ამხ. გოგინაშვილის, ქართველიშვილის და ფედოროვის შემადგენლობით. კომისიას დაევალა 1 ივლისამდე გამოიკვლიოს თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული შრომის კოლექტივების მდგომარეობა. კოლექტივებში დაბანდებულ უმუშევართა რაოდენობა და შემადგენლობა, ხელფასი, შრომის კოლექტივების ნივთიერი მდგომარეობა, წარმოების ხასიათი და სხვა.

ტრიკოტაჟის ქარხანა

შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა შრომის კოლექტივის მოსაწყობათ აამუშაოს ტრიკოტაჟის ქარხანა. ქარხნის საბრუნავ თანხის გასაძლიერებლად შრომის კომისარიატმა უმუშევართა ფონდიდან გადასდო 3,000 მანეთი. ქარხნის მოსაწყობათ და ასამუშავებლად გამოყოფილი იქნა განსაკუთრებული სამეული, რომელშიაც შედიან: თბ. შრომის ბირჟის გამგე ამხ. არეშიძე, კოლექტივების მმართველი ამხ. **ფედოროვი** და შრომის ბირჟიდან ამხ. **ამირბეგოვი.**

ინგლისის პროვოკაციის წინააღმდეგ

გორის ექიმები ინგლისის პროვოკაციის შესახებ

1927 წლის 13 ივნისს, გორში შესდგა გორის ექიმთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. **შ. ნუცუბიძის** მოხსენება თანამედროვე მომენტზე და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

ევროპის იმპერიალიზმი, რომელსაც მეთაურობს ინგლისი, ჩავარდა რა გამოუვალ ჩიხში, თავისი აგრესიული პოლიტიკით ცდილობს სისხლში ჩაახრჩოს ძლევამოსილი ჩინეთის ოთხას მილიონიანი მშრომელი ხალხის რევოლიუცია, რომელიც მიმართულია ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ: საბჭოთა კავშირის არსებობა და მისი სოციალისტური აღმშენებლობის ზრდა, რამაც დიდი სიმპატია და ავტორიტეტი მოუპოვა საბჭოთა კავშირს, როგორც ევროპის მუშათა კლასში აგრეთვე აღმოსავლეთის ჩაგრულ ერებში თავის თავად ზრდის რევოლიუციონურ მოძრაობას, მიმართულს ყველა მჩაგვრელების წინააღმდეგ, ინგლისის იმპერიალიზმი, მეთაურობს რა ევროპის მჩაგვრელებს, სხვადასხვა ხრიკებით ცდილობს ჩაითრიოს საბჭოთა კავშირი ომში. ამ მიზნით ინგლისის კონსერვატორები შეუდგენ სამზადისს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გართულებისათვის, მათ დაიწყეს პროვოკაცია ყალბი დოკუმენტების შეთხზვით და დაამთავრეს დიპლომატიური წარმომადგენლობაზე თავდასხმით პეკინში და თვით ინგლისში, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით საბჭოთა კავშირთან და ამხ. ვოიკოვის საზიზღარი მკვლელობის მოწყობით პოლონეთში. ყოველგვარი ასეთი ცდა ინგლისის იმპერიალისტებისა არის ცდა თავდასხმის მოწყობისა საბჭოთა კავშირზე.

გორის ექიმთა საერთო კრება, საბჭოთა კავშირის სხვა მშრომელებთან ერთად, გამოსთქვამს თავის აღშფოთებას და ღრმა პროტესტს ინგლისელ იმპერიალისტების ავანტიურის და პროვოკაციის წინააღმდეგ. გორის ექიმები მოუწოდებენ ყველა ქვეყნის მშრომელებს აღსდგენ იმპერიალისტების წინააღმდეგ და უკანასკნელის მიერ ომის საფრთხის მომზადებას რევოლიუციონური სამზადისით და მოქმედებით უპასუხონ. ძირს საერთაშორისო იმპერიალიზმი! გაუმარჯოს მსოფლიოს პროლეტარულ რევოლიუციას!

ო. ფ—ლი.

ქ. სამტრედიის მოწაფეთა კონფერენციის პროტესტი ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო

13 ივნისს, სამტრედიის მოწაფეთა კონფერენციამ მოისმინა ამხ. **მ. ლორთქიფანიძის** მოხსენება პოლონეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის ვერაგულად მოკვლის შესახებ. მოხსენების გამო კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

სამტრედიის მოწაფეთა კონფერენცია სასტიკ პროტესტს გამოსთქვამს ამხ. ვოიკოვის ვერაგულად მოკვლის გამო.

ჩვენ ნათლად ვხედავთ კავშირს, რომელიც არსებობს ამხ. ვოიკოვის მკვლელობისა და იმ მთელ რიგ აქტებს შორის, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტას და ქმნიან ომის საფრთხეს. თავდასხმა საბჭოთა კავშირის პეკინის წარმომადგენლობაზე და შანხაის საკონსულოზე, პოლიციელთა თავდასხმა ლონდონში საბ. სავაჭრო წარმომადგენლობაზე, ინგლისის მხრივ დიპლომატიური ურთიერთობის პროვოკაციული შეწყვეტა,—ყველა ამ აქტებმა ფართო გასაქანი მისცა რეაქციონურ ჯგუფების პროვოკაციულ მოქმედებას.

ჩინეთის ძლევა - მოსილი ნაციონალურ - განმათავისუფლებელი და საბჭოთა კავშირის სოციალისტური აღმშენებლობის წარმატება ძირს უთხრის იმპერიალისტების ბატონობას. ევროპის იმპერიალიზმი გრძნობს მისი აღსასრულის მოახლოვების ჟამს. სიკვდილის პირზე მდგარი კაპიტალი უკანასკნელ ავაზაკურ ღონისძიებას მიმართავს, რათა რამოდენიმე წუთით მაინც გააახანგრძლივოს თავისი არსებობა. ინგლისის შოვინისტური კონსერვატორიული მთავრობა ყოველივე ხრიკებს და ინტრიგებს აწყობს მუშურ-გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ. მსოფლიო ბურჟუაზია ენერგიულად ცდილობს თავს დაატეხოს მსოფლიო პროლეტარიატს ახალი საშინელი ომი საბჭოთა მთავრობას არ სურს ომი, მაგრამ უკეთუ ომი თავს მოგვახვიეს, ჩვენ საბჭოთა კავშირის მთელ დანარჩენ მშრომელ ახალგაზრდობასთან მზად ვართ ღირსეული პასუხი გავსცეთ მტერს.

ძირს მსოფლიო იმპერიალიზმის მიერ ახალი სისხლის მღვრელი ომის მზადება. ძირს ინგლისის და პოლონეთის აღვირახსნილი პროვოკაციული მოქმედება მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს მსოფლიო მშვიდობიანობის საუკეთესო დამცველს — საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

ქ. ბებია.

ქუთაისის მშრომელთა პროტესტი

9 ივნისს, ქალაქის ბაღში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საპროტესტო მიტინგი საბჭოთა წარმომადგენლის ვოიკოვის მკვლელობის გამო პოლონეთში.

მოხსენებისა და მრავალ ორატორთა სიტყვების მოსმენის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა ცნობა ამხ. ვოიკოვის ვერაგულად მოკვლის შესახებ, რუს მონარქისტის მიერ, ქ. ქუთაისის მუშა - მოსამსახურეთა მიტინგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა მიმართულია მშვიდობიანობისა და მშრომელთა ინტერესების დაცვისაკენ.

მომაკვდავი ბურჟუაზია აწარმოებს ომის გამომწვევ პროვოკაციულ პოლიტიკას საბ. კავშირის წინააღმდეგ და ერთი წუთითაც არ შეუჩერებია ცდა შეექმნა კაპიტალისტური სახელმწიფოებს მთლიანი კონტრ-რევოლიუციონური ფრონტი ჩვენს წინააღმდეგ.

ქ. ქუთაისის მუშა - მოსამსახურეები და ახალგაზრდობა დაბეჯითებით აცხადებს, რომ ასეთი თავხედური გამოწვევის საპასუხოთ ისინი კიდევ უფრო გაათკეცებენ თავის ენერგიას მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის გასამტკიცებლად, გააძლიერებენ სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობას, კიდევ უფრო მეტი ენერგიით აწარმოებენ სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, კიდევ უფრო გაამაგრებენ ყველა ქვეყნის პროლეტარიატისა და ჩაგრულების საერთაშორისო სოლიდარობის ძაფებს და დაბოლოს ყოველ მხრივ გამტკიცებენ წ.-ა, ძლიერებასა და უნარს, რომ ღირსეული პასუხი გაეცეს გათავხედებულ იმპერიალისტების ყოველგვარ ცდას, მიმართულს საბჭოთა კავშირზე თავდასხმისაკენ.

ჩვენ ომი არ გვსურს, მშვიდობიანობა გვწყურია, მაგრამ თუ ძალით თავზე მოგვახვიეს ომი, როგორც ერთი კაცი ფეხზე დავდგებით ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად

მოუწოდებთ ყველა ქვეყნის პროლეტარებს ფხიზლად იდგნენ მშვიდობიანობის სადარაჯოზე.

მოუწოდებთ საქართველოს ყველა მუშებს და გლეხებს ფხიზლად იდგნენ რევოლიუციის სადარაჯოზე და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ საქართ. გამძარცველ მენშევიკ - ნაძირალების, ჯაშუშების წინააღმდეგ.

დაბეჯითებით ვთხოვთ საბჭოთა მთავრობას მიიღოს გადამწყვეტი ზომები მენშევიკ - ნაძირალების ასალაგმავათ და მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად.

ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ ამხ. ვოიკოვის სიკვდილის გამო და მოვითხოვთ პოლონეთისაგან, რომელიც გადაიქცა კონტრ-რევოლიუციის ბუდედ, რუს თეთრგვარდიელთა და მენშევიკთა გაძევებას.

გაუმარჯოს მშვიდობიანობის საუკეთესო დამცველს — საბჭოთა კავშირს. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

ბორჯომის წყალი

მხოლოდ წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ბორჯომის წყლების ექსპორტის და გასაღების საქმე ჩამოერთვა კერძო კონტრაგენტს და ეს საქმე მთლიანად ბორჯომის წყლების ახლად დაარსებულ სამართველოს გადაეცა.

რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში? შესძლო თუ არა სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციამ მაზე დაკისრებული ამოცანების შესრულება, შეიტანა თუ არა მან რაიმე გაუმჯობესება ამ მეურნეობის წარმოებაში?

ამას ნათლად ვეჩვენებს ქვევით მოყვანილი ცნობები.

ბორჯომის ყოფილმა კომბინატმა, რომელიც არსებობდა ბორჯომის წყლების სამართველოს დაარსებამდე, 133.000 მან. ზარალით დაამთავრა თავისი მუშაობა და ამ ზარალში საკმაო დამსახურება ეკუთვნის კერძო კონტრაგენტს. ახლად დაარსებულმა ბორჯომის წყლების სამართველომ კი თავისი მუშაობის პირველ შვიდ თვეშივე, ივნის-დეკემბრის განმავლობაში მიიღო 435.000 მანეთის წმინდა მოგება. მიმდინარე სეზონში წარმოების გაზრდასთან ერთად მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი მოგების მიღება. ეს უკვე ნათლად გვიჩვენებს ბორჯომის წყლების წარმოების ფინანსიური მდგომარეობის სიმტკიცეს.

ამავე წლის განმავლობაში მოხდა ქარხნების ტექნიკურად მოწყობილობის და შენობების შეკეთება, შეძენილ იქნა მთელი რიგი ახალი მანქანებისა, აგებული იქნა ახალი შენობები და სხვა. მთელი წლის განმავლობაში წარმოების ძირითადი კაპიტალის აღსადგენად დახარჯულ აქთ 200.000 მანეთი და მიმდინარე წელში ამავე მიზნისთვის გადადებულია 300.000 მანეთი. შენდება 14 ოთახიანი მუშათა სახლი 36.000 მანეთის ღირებულებით და სხვა.

ყოველდღიური წყლის ჩამოსხმა უდრიდა მხოლოდ 16—17.000 ბოთლს. ამ ჟამად კი 40—50.000 ბოთლს. ჭურჭელი მზადდებოდა 17—18.000 ცალი, ამ ჟამად კი 30.000 ცალი. საგრძნობათ მოიმატა აგრეთვე გაზის დამზადებამაც და საერთოდ მიღწეულია წარმოების ომის წინადროინდელი მდგომარეობის 110 პროცენტი.

ჩამოსასხმელი ქარხნის მექანიზაცია მშვენიერ შედეგებს იძლევა, საათში ჩამოისხმება არა ნაკლებ 3.000 ბოთლისა, მექანიკურათ ხდება ჭურჭლის გარეცხვა და სხვა. ამ გზით მიღწეულია 96.000 მანეთის ეკონომია წლიურათ. ახლად მოწყობილია პრობკის ქარხანა, რამაც შესაძლებელი გახადა პრობკის თვითღირებულების 25 პროცენტით შემცირება. განზრახულია შუშეულობის ქარხნის მექანიზაცია 1.100.000 მანეთის ღირებულებით.

განზრახულია კიდევ მთელი რიგი ტექნიკურ მოწყობილობათა შეტანა წარმოებაში და ამ გზით მომავალი წლისთვის მიღწეულ უნდა იქნას ყოველდღიურათ 20.000 ბოთლი წყლის ჩამოსხმა. მთელი ეს მუშაობა და წარმოების ტექნიკური გაუმჯობესება ხდება სამართველოს საკუთარი საშუალებებიდან, მიუხედავად ამისა წარსული წლის შვიდ თვეში მიღებულ იქნა 435.000 წმინდა მოგება.

წყლის ექსპორტი და გასაღება კარგათ არის მოწყობილი. ერთი წლის განმავლობაში თუმცა წყლის ჩამოსხმამ მოიმატა თითქმის 300 პროცენტი, მაგრამ არა თუ საღდება მთელი დამზადებული წყლის რაოდენობა, არამედ მოთხოვნილება წყალზე დაუკმაყოფილებელი რჩება თითქმის 25 პროცენტით.

წარსულში ბორჯომის წყალი საღდებოდა: საქართველოში 33,1 პროც., აზერბეიჯანში 4.8 პროც., სომხეთში 1,4 პროც., დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში 60.7 პროცენტი.

მოთხოვნილება ბორჯომის წყალზე განსაკუთრებით დიდი იყო მოსკოვში, სადაც საღდებოდა მთელი დამზადებული წყლის 26 პროცენტი. ამ ჟამად ბორჯომის წყლის გასაღებას მოსკოვში აწარმოებს „საქ. სახ. საპაიო ვაჭრობა“ და ბორჯომის წყლის სამართველოს განყოფილებები არც მოსკოვში და არც ლენინგრადში აღარ არსებობენ. ახლო მომავალში „ა.-კ. სახ. საპაიო ვაჭრობის“ საშუალებით განზრახულია ბორჯომის წყლის გატანა საზღვარგარეთ: რიგაში, ვარშავაში და სპარსეთში.

ასე შეუჩერებლივ იზრდება ბორჯომის წყლის წარმოება და მისი ექსპორტიც. წარმოების რაციონალიზაციასთან ერთად რამოდენიმედ იზრდება ამ წარმოებაში ჩაბმული მუშახელის რაოდენობაც და მათი ხელფასიც. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასმა მიმდინარე წელში საშუალოდ მოიმატა 17 პროც. და ამ ხელფასის მიღება თავის დროზე სწარმოებს, რაც წინა წლებში იშვიათად ხდებოდა. შესაფერი ყურადღება ექცევა მუშათა ბინებით უზრუნველყოფას და მათი ჯანმრთელობის დაცვასაც.

ველითელი.

ებრაელთა შრომის სკოლა

წინათაც და ამ ბოლო ხანებში როგორც პრესაში, ისე ხსვადასხვა ორგანოებში აღნიშნული იყო, რომ ებრაელობის ერთი ნაწილი დიდ სიღარიბეს განიცდის. განსაკუთრებით თვალსაჩინო სურათი ამისა იშლება 102-ე შრომის სკოლაში, სადაც თავმოყრილია 500-დე ებრაელი ბავშვი.

ასეთ სიღარიბეს უკვე მიექცა ყურადღება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან. ცაკთან არსებულ ღარიბ ბავშვთა დამხმარე კომისიამ გაიღო ამ სკოლისათვის 150 მანეთი ყოველთვიურად. ამ ფულით ეძლეოდა საუზმე 45 ღარიბს ბავშს. ის მეტად შემაძრწუნებელი სურათი, როგორიც იყო გაკვეთილების დროს შიმშილის გამო ბავშვების გადაქცევა. მხოლოდ მოსაგონებელი ღა დარჩა. ის ბავშვები, რომლებიც უნიჭონი გვგონებოდათ და არავითარ წარმატებას არ იჩენდენ სკოლაში, დღეს სრულიად გარდაიქმნენ და დიდ იმედებსაც იძლევიან.

ათიოდე ბავშს ამ თანხიდან დაურიგდა საჩუქრათ: ტანსაცმელი და საცვლები. განა შეიძლება აღწერა იმ სიხარულისა, რომელიც გამოიწვია პატარა მოქალაქეებში ამ ფაქტმა?!

მათთვის ეს მუდამ დაუვიწყარი დარჩება.

ყველა კარგად გრძნობს და განსაკუთრებით ამ სკოლის მასწავლებლობა, რომ ასეთი ყურადღება მოზარდი თაობისადმი მისცემს საქ. ებრაელობას ნამდვილი ცოდნით, ენერგიით და შრომის უნარით აღსავსე საზოგადოების წევრებს.

საქ. ებრაელობა უკვე ჩაება საერთო მუშაობის ფერხულში. მე-102-ე შრომის სკოლა ამის პირველი მერცხალია. საჭიროა დაწყებული საქმის ძველი ინტენსივობით გაგრძელება.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ზეიმი იყო სკოლის ცხოვრებაში, როდესაც სკოლას ეწვია სკოლასთან არსებული პიონერთა კოლექტივის შეფი, კავკასიის წითელდროშოვან არმიის სარდალი, ამხ. **ლევანდოვსკი.** ის მხურვალე სალამი და მედიდური „მზად ვარ“, რომელიც შესძახა ამ ახალგაზრდა რაზმმა წითელი არმიის მეთაურს, იყო ახალი სიტყვა ებრაელთა ქუჩაზე და ის სწრაფად მოედვა მთელს უბანს. ამხ. ლევანდოვსკიმ მიიღო კიდევ ერთი „პარადი“. მან დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ჩვენი სკოლის მიმართ. ამხ. ლევანდოვსკის ბრძანებით ჩვენმა სკოლამ მიიღო ერთდროულათ 300 მანეთი. გარდა ამისა მან განკარგულება გასცა ბავშთა ნახევრათ შიშველი რაზმი შეემოსათ ტანსაცმელით და ფეხსაცმელით. მხურვალე „ვაშა“, მიიღო მან პასუხად ასეთი მზრუნველობისათვის.

ბავშების წინ იდგა არა ეპოლეტიანი გენერალი, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც განირჩეოდა სხვებისაგან მხოლოდ სამხედრო ტანსაცმელით, ამრიგად გაიბა კავშირი ახალი რაზმელებისა და წითელი არმიის შორის.

ბენიამინ ფიჩხაძე.

სამკურნალო მცენარეები

სამკურნალო მცენარეთა მოშენებას ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ამ საქმის განვითარებას დიდად ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ნიადაგი და ჰავა.

საქართველოში, განსაკუთრებით შავი ზღვის ნაპირებზე, შეიძლება მოშენებული იქნას ისეთი ძვირფასი და ჩვენთვის აუცილებელი მცენარე, როგორიც არის ქინაქინის ხე.

ჩვენში მალარია ფართოთ არის გავრცელებული; ამის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის ქინაქინის დიდი რაოდენობა გვჭირდება, რაც იძულებული ვართ საზღვარ გარეთიდან შემოვიტანოთ; თუ ჩვენ მოვკიდებთ ხელს ამ ძვირფას მცენარის მოშენებას, ჩვენშივე მივიღებთ საჭირო ქინაქინის რაოდენობას.

ამასთან ჩვენს მინდვრებში და ტყეებში აუარებელი მცენარე ხარობს, რომელთაც აქვთ იშვიათი სამკურნალო თვისება; ჩვენ კი ამით სრულებითაც ვერ ვსარგებლობთ, რადგანაც ჯერ კიდევ არა გვაქვს შესწავლილი ეს მცენარეები. ამ საქმის მცოდნე სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო სამკურნალო ნივთიერებათა რაოდენობის 95 პროც. შეიძლება ჩვენშივე იქნას დამზადებული.

ჯანსახკომის ქიმიურ ლაბორატორიის გამოკვლევით ჩანს, რომ ბევრი მცენარეები, რომელთაც მედიცინაში ხმარობენ, ძვირფასი სამკურნალო თვისებებსაა. ამ საქმის სასურველ განვითარებას ჩვენში დიდი მნიშვნელობა აქვს.

საჭიროა მას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ეხლავე შეუდგეთ მის დამუშავებას, გამოკვლევას და შესწავლას.

ექ. გრ. კუნჭულია.

პროვინციაში მომუშავე

ექიმები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს შეიმუშავოს დებულება პროვინციაში საექიმო პერსონალის მუშაობის შესახებ. ახალი დებულებით აკრძალული იქნება საექიმო პერსონალის სამსახურიდან მოხსნა აჩქარებით, მათი გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე.

ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს დაევალება სათანადო პატივით მოეპყრან ექიმებს და არ დაუშვან დაუსაბუთებლად საექიმო პერსონალის ავტორიტეტის შებღალვა. ექიმების სამსახურიდან მოხსნა უნდა ხდებოდეს ხანგრძლივი და დაწვრილებითი გამოძიების შემდეგ.

ასეთი დებულების შემუშავების შესახებ ჯანსახკომში შუამდგომლობა შემოდის თვით ადგილებიდან.

სპარსეთის მთავრობის

მადლობა

სპარსეთის მთავრობამ მადლობა გამოუცხადა ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა სპარსეთის ტერიტორიაზე პირველად მოაწყო ხილის გახმობა კალიფორნიის წესით.

ა.-კ. საპაიო ვაჭრობის ამხანაგობის მიერ ამ წესის შემოღებამდე ხილის გახმობა სპარსეთში სწარმოებდა პრიმიტიული წესით, რაც საგრძნობლად ამცირებდა, როგორც პროდუქციის ღირებულებას, ისე ღირსებას, ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მიერ საოპერაციო წლის დამდეგიდან დღემდე კალიფორნიის წესით გახმობილია 30.000 ფუთზე მეტი ხილი. ჩეხო - სლოვაკიის, პოლონეთის და გერმანიის ფირმებიდან მოსულია შეკვეთები იმ სპარსულ ხილზე, რომელიც გახმობილია კალიფორნიული წესით.

კრედიტის გაცემა

კერძო პირებზე

(მ. გ. ინსპექციის მასალებიდან)

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია თბილისის კომუნალური ბანკის მიერ კერძო კლიენტურისათვის კრედიტის მიწოდების საქმე და აღმოაჩინა შემდეგი: ბანკი კერძო პირებისთვის კრედიტი უძლევია ისე, რომ მას არ ჰქონია ოფიციალური ცნობები კლიენტების კრედიტუნარიანობის შესახებ. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა დავალიანების არათავის დროზე დაფარვას და სესხის გადახდის ვადის გაგრძელებას წელიწადნახევრამდე.

ამასთან ერთად ყოფილა შემთხვევები სესხის გაცემისა საქონლის ოფიციალური შეფასების გარეშე და ნაკლებ სალიკვიდო საქონლის გირაოს ქვეშ. ამას გამოუწვევია დავალიანების დაგვიანებით გადახდა და სხვა.

ა. კ. და საქ. მ. გ. ინსპექციების კოლეგიათა გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა წინადადება მისცეს კომუნალური ბანკის გამგეობას ოთხი თვის განმავლობაში გამოასწოროს შემჩნეული დეფექტები.

ახალი სესხები

ამიერ-კავკასიის ფინსახკომში მიღებული ცნობებით, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გამოუშვას ახალი სახელმწიფო შინაური 12 პროცენტიანი სესხი შემდეგ საფუძვლებზე.

სესხი გამოშვებული იქნება 200 მილიონი მანეთის რაოდენობით; სულ იქნება 200 სერია თვითეული 1 მილიონი მანეთის რაოდენობით. ობლიგაციები იქნება 50, 100, 500 და 5.000 მანეთიანი.

სესხის ვადაა 10 წელიწადი მიმდინარე წლის 1 ივნისიდან.

ამასთანავე აუცილებლად იქნა ცნობილი 1927 წლის მე-3 სახელმწიფო 8 პროცენტიანი შინაური სესხის გამოშვება.

სესხი გამოშვებული იქნება 200 მილიონი მანეთის რაოდენობით; სესხის განაღდების ვადაა 1937 წლის პირველი მარტი.

სულ გამოშვებული იქნება 2.000 სერია თვითეული 100.000 მანეთის რაოდენობით; ობლიგაციები იქნება 50, 100, 500 და 1.000 მანეთიანი.

გამოსაშვებ კურსად დაწესებულია 96 მანეთი 100 მანეთზე, ე. ი. 100 მანეთიანი ობლიგაციის ყიდვა შეიძლება 96 მანეთად, სახელმწიფო დაწესებულებები კი მას მიიღებენ 100 მანეთის ანგარიშზე.

სესხის განაღდება დაიწყება 1933 წლის პირველი სექტემბრიდან; ყოველ ექვს თვეში დაფაროული იქნება მთელი სერიები.

კონფერენცია სკოლის ჰასაკამდე აღზრდის შესახებ

მესამე დღე

კონფერენციის მესამე დღის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **ქსენია ჯუღელის** მოხსენება.

საზოგადო-პედაგოგიური მუშაობის შესახებ

საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მუშაობის მიზანია,—ამბობს მომხსენებელი,—მოსახლეობის კულტურულ დონის ამაღლება და სკოლის ასაკამდე აღზრდის იდეების გავრცელება იმ წრეებში, რომელნიც ბავშვებს არტყავს გარშემო. მუშაობა იყოფა ორ ნაწილად: სოფლად და ქალაქად მუშაობა. ქალაქში მუშაობა სწარმოებს ორი მიმართულებით: მუშაობა ორგანიზაციებში დაურაზმავ მშობლებსა და ბავშვებს შორის და მუშაობა ორგანიზაციების დახმარებით— ქალთა განყოფილების, კომკავშირის, კომუნჯ-რედის საშუალებით.

სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მუშაკები ეცნობიან ბავშვების ოჯახებს, მათ ყოფა-ცხოვრებას, სწარმოებს ბავშვების მშობლებთან ინდივიდუალური და ჯგუფური საუბრები სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მნიშვნელობის, მისი დაყენების, მოწესრიგების შესახებ და სხვა. იმ მიზნით, რომ მშობლები და მუშა-ქალები უშუალოდ ჩაბმული იქნენ საბავშვო ბაღების და სკოლის ჰასაკამდე აღზრდის სხვა დაწესებულებებში,— საჭირო ხდება შემოღებულ იქნეს მშობლების,— ბავშვების ახლობელ მუშა-ქალების მორიგეობა საბავშვო ბაღებში. ასეთივე მეთოდებით უნდა სწარმოებდეს მუშაობა სოფლადაც, სადაც უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქალების ჩაბმას სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობაში.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **ტიგრანიანის** მოხსენება მოსკოვის და ლენინგრადის საბავშვო ბაღების შესახებ. მომხსენებელმა კონფერენციას გააცნო ზემოხსენებულ ბაღების საერთო მდგომარეობა და იქ წარმოებული პედაგოგიური მუშაობა.

სატყეო ტრესტის წარმომადგენელთა თათბირი

15 ივნისს ა.-კ; ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი სატყეო მასალების ექსპორტის საკითხების განსახილველად. თათბირს ესწრებიან ამიერ - კავკასიის სატყეო ტრესტების, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების, საგეგმო კომისიების და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირს ესწრება აგრეთვე ამერიკის სააქციო საზ-ბა „ამტორგ“-ის წარმომადგენელი ვ. მ. მაზური.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **შულიაცკის** მოხსენება ხე-ტყის ექსპორტისა და მისი პერსპექტივების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ომამდე ამიერ-კავკასიის ექსპორტში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ძვირფასი ჯიშების სატყეო მასალის გატანას საზღვარგარეთ. იმპერიალისტურმა ომმა ექსპორტის სხვა სახეებთან ერთად დიდი ხნით შეწყვიტა ხე-ტყის ექსპორტიც.

სატყეო მასალის გეგმაშეწონილი ექსპორტი ამიერ-კავკასიიდან დაიწყო 1925-26 წელში. სწორედ წლები უმთავრესად ძვირფასი ჯიშების გატანა; ამასთანავე ყველაზე მეტი შედეგები გაიღო ზრის და კაკლის ხის ექსპორტმა. ამიტომ მომავალში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ჯიშების გატანას.

თათბირზე უნდა გამოირკვეს, თუ რისი გატანა შეიძლება ამიერ-კავკასიიდან აღნიშნული ჯიშების გარდა და როგორია უცხოეთის ბაზრების ტევადობა. უცხოეთის ბაზარი დაინტერესებულია ჩვენი მუხის ტკეჩებით, ყუთების მასალებით და წიფლის ფანერით. უცხოეთის ბაზრების ტევადობა კი დამოკიდებულია ჩვენი კალკულიაციისაგან.

მომავალ საოპერაციო წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს განზრახული აქვს გაიტანოს საზღვარგარეთ 600.000 კუბ. ფუტი ყუთების მასალა, 3.000 კუბ. მეტრი წიფლის ფანერა, 5.000 კუბომეტრი მუხის ტკეჩები, 500 ტონა ბზა, 2.000 ტონა კაკლის ხე და 200.000 ცალი კაკლის ფანერა.

ყველა ეს მასალები დამზადებული იქნება ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ.

საგზაო კომიტეტის პლენუმი

მეორე სხდომა

დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. საბაშვილის მოხსენების გარშემო. გამოსული ამხანაგები შეეხენ კულტფონდის დეცენტრალიზაციის საკითხს, ნაჭრობითი სისტემის ზოგიერთ ცუდ მხარეებს და აღნიშნეს სამმართველოს სტატისტიკის დეცენტრალიზაციის საჭიროება.

საპასუხო სიტყვაში ამხ. საბაშვილმა აღნიშნა რომ კულტფონდის დეცენტრალიზაციის პრინციპად უნდა იქნეს აღიარებული კულტფონდის განაწილება. კავშირის წევრთა რაოდენობის მიხედვით. მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა კამათში მონაწილე ამხანაგებს, რის შემდეგ პლენუმმა ფრიად დამაკმაყოფილებლად სცნო პრეზიდიუმის მუშაობა. პრაქტიკულ წინადადებათა დასამუშავებლად პლენუმმა გამოჰყო კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

ამის შემდეგ პლენუმმა მოისმინა საგზაო შრომის ინსპექტორის ამხ. **სიზოტენკოს** მოხსენება. მომხსენებელმა აღნიშნა სამი მომენტი საგზაო ინსპექციის მუშაობაში. პირველი შეეხება შრომის კანონმდებლობის დაცვის საქმეს. ამ მხრივ ინსპექციას აღრიცხული აქვს შრომის კანონმდებლობის დარღვევის მრავალი შემთხვევები, მაგრამ ამის წინააღმდეგ მიღებულია ენერგიული ზომები.

მეორეს მხრივ აღსანიშნავია უბედური შემთხვევები რკინის გზებზე. რაც აიხსნება ჩვენი გზის ტექნიკური ჩამორჩენილობით. უკანასკნელ ხანებში უბედური შემთხვევების რიცხვი მცირდება. მცირდება აგრეთვე ზედმეტ საათების მუშაობაც. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. ბათმანაშვილმა გოგიბერიძემ, იარ-მამედოვმა, ბეჟანოვმა და სხვ.

ამხ. სიზოტენკოს საბოლოო სიტყვის შემდეგ დაიხურა, დილის სხდომა.

თათბირები მიწად-მოქმედების კომისარიატში

უმაღლეს ორგანოთა დადგენილებით წელიწადში ერთხელ მოწვეულ იქნება საქართველოს ყველა ავტონომიურ რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისართა თათბირები ამავე კომისარიატების სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის საერთო საკითხების განსახილველად და საოპერაციო გეგმების ძირითადი საკითხების შესათანხმებლად. საქართველოს მიწ. სახ. კომ-ნს განზრახვა აქვს ასეთი თათბირი მოიწვიოს ა. წ. 29 ივნისს თბილისში. მოწვეულ იქნებიან აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ ოსეთის მიწ. მოქ. სახ. კომისრები. ამ თათბირებზე განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: 1) სასოფლო-მეურნეობის პერსპექტიულ და საწარმოო გეგმების შეთანხმება, 2) საცდელ, აგრიკულტურულ და სხვა ღონისძიებათა შეთანხმება სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად, 3) ღონისძიებანი ტექნიკურ და ინტენსიურ კულტურების განსავითარებლად, 4) სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის საკითხები, 5) ტყის კულტურის, ტყის მელიორაციის და სატყეო საცდელ საქმის მოწყობა, 6) მიწათ სარგებლობის და მიწათ მოწყობის საკითხები, 7) სახალშენო საქმე, 8) საძოვრებით სარგებლობის მოწყობა, 9) სავეტერინარო საქმის ორგანიზაცია, 10) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მუდმივ წარმომადგენლობის მოწყობა.

საქართველოს მიწ. მოქ. სახ. კომისართა თათბირების შემდეგ ახლო ხანში მოწვეულ იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მიწ. მოქ. სახ. კომისრების თათბირი.

შინამრეწველობა საქართველოში

მოსკოვიდან მიღებულ ცნობით სრულიად საკავშირო შინა-მრეწველთა კოოპერატიულ კავშირის ეროვნულ ბიუროში შესდგა თათბირი საქართველოს შინამრეწველობისა და სამრეწველო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ. თათბირმა სცნო, რომ შინამრეწველობას საქართველოში აქვს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ორგანოები არ აქცევენ საკმარის ყურადღებას სამრეწველო კოოპერაციის განვითარებას. თათბირმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოში აუცილებელია დამოუკიდებელი შინამრეწველ სარეწაო კავშირის არსებობა. თათბირმა დაადგინა, სთხოვოს საქართველოს სადირექტივო ორგანოებს დაიცვან შინამრეწველთა კავშირის ინტერესები.

შემდგომისათვის კავშირმა უნდა გააძლიეროს მუშაობა შემდეგ ძირითად სარეწაოებში: საქსოვ საფეიქრო, ხის დამუშავების, ტყავის და ფეხსაცმლების წარმოების განსავითარებლად. კავშირის მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო ბიურომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საქართველოს სახკომსაბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ მიეცეს შინამრეწველთა კავშირს კოოპერატიული ფონდიდან 68.000 მანეთის სესხი. კავშირის ოპერაციების გასაძლიერებლად, სამრეწველო კოოპერაციისათვის ნედლეულობის თავის დროზე მისაწოდებლად და აგრეთვე სამრეწველო კოოპერაციის ნაწარმოებთათვის ბაზრის გამოსანახავად თათბირმა საჭიროდ სცნო შუამდგომლობა აღძრას საბანკო კრედიტების გადიდების შესახებ. სესხის გადახდის ვადა გადიდებული უნდა იქნეს ექვსი თვიდან ცხრა თვემდე.

დასასრულ ბიურომ დაადგინა სთხოვოს ცენტრალურ კოოპერატიულ საბჭოს დახმარება გაუწიოს სამრეწველო კოოპერაციის განვითარებას ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის
პროლეტარიატი

ამხ. ლადო სუხიშვილის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდში 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნიკო კიკნაძეს („კომუნისტ.“ რედაქ.), პავლე საყვარელიძეს, ილიკო მამულიას, ფანცულაიას, ტერ-ვართანოვს, მორჩილაძეს, მზარეულაშვილს, პროფ. შალვა ნუცუბიძეს, პროფ. ვირსალაძეს, პაოლიაშვილს, ალ. აბაშელს.

ლავრენტი ქართველიშვილი

შემომაქვს 10 მანეთი ამხ. სუხიშვილის გამოწვევით და ჩემის მხრივ ვიწვევ ათ-ათ მანეთზე ამხ. ფანცხავას, ბ. მაჩაიძეს, ს. ფირალოვს, ლ. ელბაქიანს, ი. ჭელიძეს, ს. ხვედელიძეს, ნ. ათოევს, ხ. ავეტისოვს, ლ. აღლაძეს, ანთაძეს, ნ. ნიკიტინს, კირ. სულავას (საუბკიტი), მარიამიძეს, გვარამაძეს.

გიორგი ყურულაშვილი

ამხ. სუხიშვილის გამოწვევით, შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ: აფციაურს, კურციკაშვილს, გას. ქურდაძეს, არჩილ გიორგაძეს, დიომიდე ქუჩულორიას, ფანცხავას, ნაზაროვს, ერასტი ლვამიჩავას, ვალოდია ფანცხავას, ვალოდია ხუტულაშვილს, ალექსანდრე ვაშაძეს.

ზ. მათიკაშვილი.

ამხ. სუხიშვილის გამოძახებით შემომაქვს ათი მანეთი და ჩემი მხრივ ვიწვევ: ამხ. რ. დუმბაძეს, მ. ბასილიას, ლეო თიკანაძეს, ბახტაძეს (სოხუმი), ჩხარტიშვილს, (ბათომი), ქ. თბილისის ბანკის ყველა თანამშრომლებს და ფილიალებს პასუხისმგებელ მუშაკებს.

ვარლამ მესხი.

ამხ. რედაქტორო! ამასთანავე გიგზავნით თვითმფრინავის „თბილისის პროლეტარიატი“-ს ასაშენებლად თბ. აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებაში შეკრებილ 21 მანეთს და 50 კაპიკს და ვიწვევთ აღმასკომის ყველა განყოფილებას, მათაც გამოიღონ თავიანთი წვლილი ამ დიადი საქმისათვის.

შემომწირველთა სია:

ლეჟავა	2 მ.
ფხალაძე	2 მ.
აღლაძე	2. მ.

რატკო	3 მ.
ჯაფარიძე	1 მ. 50 კ.
გვალია	3 მ.
ბარათელია	1 მ.
ვარდოსანიძე	50 კ.
ავალოვა	50 კ.
ჟორჟოლიანი	50 კ.
ფალავანდიშვილი	1 მ.
პალტარაცკაია	1 მ.
ხაზარაძე	50 კ.
არდაშელია	3 მ.
სულ	21 მ. 50 კ.

შემოწირულება მიიღება „კომუნისტი“-ს კანტორაში, რუსთაველის პროსპ. № 34.

ახალი რკინის გზა

ტყის მრეწველობის ტრესტმა შეადგინა და დაამუშავა გეგმა შამგონისა და ახალ-აბასთუმანს შორის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გასაყვანად. აღნიშნული რკინის გზით იწარმოებს ხე-ტყის მასალის გადაზიდვა მდინარე ინგურზე მოწყობილი სატივე ადგილიდან ახალ-აბასთუმანის (ზუგდ. მაზრა) სახერხ ქარხანამდე და შემდეგ ქარხნიდან დამზადებული მასალის გადმოტანა შავი ზღვის რკინის გზის ხაზამდე.

სულ სატყეო მრეწველობის ტრესტის გამოანგარიშებით აღნიშნული რკინის გზის გაყვანა დაჯდება 50.000 მანეთამდე; სამუშაოთა დასრულება შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში.

რკინის გზის გასაყვანი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა განსახილველად და დასამტკიცებლათ წარდგენილია ს. მ. უ. საბჭოში.

მეურნეობის აღსადგენათ

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სახალხო მეურნეობის 1927 წ. აპრილის კონიუნქტურული მიმოხილვა. მეურნეობის აღდგენის მიზნით საბჭომ საჭიროდ სცნო შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

1. დაევალოს საქართველოს მებამბეობის კომიტეტს შეისწავლოს საკითხი ბამბის ნათესების სივრცის მოსალოდნელი შემცირების შესახებ დაინტერესებულ უწყებებთან ერთად და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს 10 დღისა.

2. დაევალოს ს. მ. უ. ს. მიიღოს შესაფერისი ზომები: ა) შრომის დისციპლინის დაცემისა და გაცდენილ კაც-დღეთა რიცხვის ზრდის წინააღმდეგ, ბ) ზოგიერთ საწარმოო დარგებში (ტყავის მრეწველობა, საპნის ქარხანა) ნედლეულის ნაკლებობის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია პროდუქციის შემცირება; გ) ყველა დარგებში, გარდა თამბაქოს მრეწველობისა, საწარმოო გეგმის შეუსრულებლობისა და დ) შრომის ნაყოფიერების ახალ დაცემის წინააღმდეგ.

3. ვინაიდან ს. მ. უ. ს. ზოგიერთ ტრესტების ფინანსიური მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება, დაევალოს ს. მ. უ. ს. წარუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაწვრილებითი მოხსენება ტრესტების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ და ცნობა თუ რა ზომების მიღებას აპირებს იგი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

4. ვინაიდან ფასების დაკლების კამპანიის წარმატებით ჩატარებას დიდად უშლის ხელს ზოგიერთ საქონლის ნაკლებობა, რომელთა მარაგი მნიშვნელოვნად მცირდება, მიექცეს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ყურადღება.

ა) საქონლის გეგმიანი შემოტანის შემცირებას და გეგმის არადამაკმაყოფილებელ შესრულებას;

ბ) პურის ბაზრის მძიმე მდგომარეობას და პურის შემოტანის გეგმის ახალ შეუსრულებლობას;

გ) ბაზრის მომარაგების გაძლიერებას, როგორც სასოფლო-სამეურნეო საგნებით, ისე სამრეწველო ნაწარმოებით და განსაკუთრებით კი ქსოვილით.

მელიორაცია

თბილისის ელსადგურების სამმართველომ მიიღო თავის თავზე ზაჰესის დიდუბის ქვესადგურიდან თბილისის მთავარ სახელოსნოების სახარატო ცეხის სატრანსფორმატოროდე კაბელების გაყვანა.

ეს კაბელები გაივლის აგრეთვე სდურგლო ცეხის სატრანსფორმატოროშიც.

რადგან ეს კაბელები არ აკმაყოფილებენ გზის მოთხოვნილებას, ამის გამო გზათა გამგეობა მოითხოვს აგრეთვე მეორე კაბელის გაყვანას ზაჰესის ნაძალადევის ქვესადგურიდან.

მხოლოდ ორ კაბელის გამოყვანის შემდეგ იქნება უზრუნველყოფილი სახელოსნო ენერგიის საჭირო რაოდენობით. თუ რომელიმე მათგანი დაზიანდა, მეორე ყოველ შემთხვევაში მიაწვდის ენერგიას.

სატრანსფორმატოროები და მათთვის საჭირო ყოველგვარი მოწყობილობანი გზის გამგეობამ უკვე დაუკვეთა.

დაკვეთა მზად იქნება 10 თვის შემდეგ.

ორთავე კაბელის გაყვანა და ტრანსფორმატორების მოწყობა განზრახულია დამთავრდეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის.

აწგვარად მთელი სახელოსნოების ერთი-მესამედი გადაყვანილ იქნება ზაჰესის ენერგიაზე ამ შემოდგომისათვის. ამასთანავე შესაძლებელი გახდება ეხლა უმოქმედოდ მდგარ ზოგიერთ ძლიერ ჩარხების ამუშავება.

წყალსადენი სოფლად

წყალთა მეურნეობის სამმართველოში ამჟამად სწარმოებს მუშაობა გეგმების შედგენაზე რესპუბლიკის ზოგიერთ სოფლებში ახალი წყალსადენების გასაყვანათ. სულ დაწყებულია მუშაობა 40 ახალი წყალსადენის გასაყვანათ. ახალი წყალსადენების გასაყვანათ მუშაობა სწარმოებს სოფ. ურიათუბანში, ტოლაში, ასკანაში, ზემო და ქვემო ქედში, ამურიანში, წილკანში, აკეთში, ქვემო-ქალაში, ზინობიანში, ენისელში, აწყურში, თხინვალში, არგვეთში და სხვ.

ზოგიერთ სოფლებში წყალსადენების გაყვანა ნაწილობრივ უკვე დასრულებულია.

გარდა ამისა წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინიციატივით სწარმოებს ახალი სამელიორაციო ამხანაგობების მოწყობა. ამჟამად ეწყობა 13 ახალი სამელიორაციო ამხანაგობა.

წყალდიდობის და ნიაღვრისაგან მოსალოდნელი ზარალის თავიდან ასაცილებლად განზრახულია ყველაზე უფრო საშიშ მდინარეების ნაპირების გამაგრება.

პატარა ფელეტონი

ავარა—ავარესკუ

„რუმინეთის ყოფილმა პრემიერ - მინისტრმა ავერესკუმ გაფლანგა სახელმწიფო ფულები. ახალი მთავრობა უარს ამბობს ავერესკუს მთავრობის ანგარიშების მიღებაზე, რადგან ავერესკუმ გადადგომის წინ გაძარცვა ხაზინა“.

(დეპეშებიდან)

განა არის სადმე ერი
რუმინეთზე ბედნიერი?
განა არის სადმე ერი
ჰყავდეს მინისტრ-პრემიერი
ქურდი, წუწკი, კადნიერი
გაიძვერა და ცბიერი?
განა არის კიდევ ერი?
როგორ? არის კიდევ ბევრი?
რომ ქურდობდეს იქ მთავრობის
თავმჯდომარეც, ყველა წევრი?!
უნდა გითხრათ, მე მიონა:
ძნელი იყო ქვეყნის პოვნა,
სად მინისტრი პრემიერი
ჯიბგირია მშვენიერი!
მე მეგონა ბედნიერი
რუმინეთის იყო ერი.
მას ავარა - ავერესკუ
ჰყავდა მინისტრ-პრემიერი,

ხოზიკა.

ომის იმიტაცია ქუთაისში

კვირას, 12 ივნისს, დილის ათ საათზე, ქუთაისის ავიოქიმ-თავდაცვის ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ მოწყობილ იქნა საავიაციო - ქიმიური თავდასხმის იმიტაცია. იმიტაციის მიზანი იყო—ადგილობრივ მოსახლეობის გაცნობა მომავალი ომის საბრძოლო მეთოდებთან.

თავდასხმაში მონაწილეობა მიიღო თბილისიდან ამ მიზნით ჩამოფრენილ თვითმფრინავმა — „იუნკერსმა“. თვითმფრინავს ჩამოყვა თბილისიდან საქართველოს ავიოქიმთავდაცვის საზოგადოების წარმომადგენელი ამხ. ა. წილოსანი.

საავიაციო-ქიმ. თავდასხმის იმიტაციაში მონაწილეობა მიიღო: ავიაქიმრაზმმა, სამხედრო ნაწილებმა, მილიციამ. მეხანძრეებმა და სხვ.

ტყვიამფრქვევებიდან სროლამ ქალაქში, ყუმბარების აფეთქებამ, საკვამლო ფარდულმა, ცეცხლის ჩაქრობამ ლაზსაცავებში და სხვა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსახლეობაზე.

ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ავიაქიმის წევრების საჰაერო „მონათვლამ“. გაფრენის მსურველები ძალიან ბევრი იყო. ისინი თხოვნით ეხვეოდენ მფრინავებს. სულ აფრინეს 14 კაცი. მათ შორის ერთი მოწაფე გელაზონია 9 წლისა და ერთიც მოხუცი გლეხი—კობალია.

იქაური.

ჰიდრო-ელსადგური

აჭარისწყალზე

აჭარის წყალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა უფროსმა ინჟ. **მაშევსკიმ** საკავშირო ელექტრო - ტრესტთან დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალით ტრესტი ვალდებულია მიაწოდოს ელსადგურისათვის საჭირო ელექტრო-მოწყობილობანი. ხელშეკრულების თანახმად 1928 წლის აპრილისა და მაისის განმავლობაში ჰიდრო - ელსადგურისათვის გამოგზავნილი უნდა იქნეს ორი ტურბინი თვითეული 3.750 ძალოვანებისა და 4 მთავარი ტრანსფორმატორი; ხოლო ამავე წლის ივნის - ივლისისათვის ელექტროტრესტის მიერ გამოგზავნილი უნდა ქნეს [illegible] კილოვატ - ძალოვნების გენერატორები.

ამ შეკვეთების ღირებულება უდრის სულ 762.000 მანეთს.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა 14 მეტრიანი გადასაცემი არხის მოსაწყობად.

წყლის გადმოხეთქვა

გარდიმანჩაის არხში

გარდიმანჩაის არხში გადმოხეთქა წყალმა, რომელიც ემუქრება ქალაქ **აგდაშს** და მის მიდამოებს (აზერბეიჯანში). წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ მიღებულია სასწრაფო ღონისძიებები და ამ მიზნით ადგილზე სამუშაოთ გაგზავნილი არიან სპეციალისტები. ამ ჟამად თითონ არხთან სწარმოებს იმ ადგილების ჯებირებით გამაგრება, რომელთაც წყალი ემუქრება. სწარმოებს აგრეთვე ჯებირების ვაკეთება მდინარე მტკვარზე ქალაქ აგდაშის დასაცავად ხიფათისაგან. აზ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით გარდიმანჩაის არხის გასამაგრებლად წარმოებული მუშაობა გართულდა იმ მიზეზის გამო, რომ მდინარემ გამოიცვალა თავისი კალაპოტი. თვით საგუბარის წალეკვა გამოიწვია ამ გარემოებამ. მიმდინარე სასწრაფო სამუშაოების გარდა სწარმოებს კვლევა-ძიება წყლის ძველ კალაპოტში გადასაყვანად.

მეცნიერულ-პრაქტიკული ექსპედიცია

მიწადმოქმედების კომისარიატის მეცნიერულ პრაქტიკულმა ექსპედიციამ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განყოფილების გამგის **ვ. ხომერიას** ხელმძღვანელობით, მოიარა გურია (ოზურგეთის მაზრა) და დაათვალიერა იქაური ჩაის საცდელი სადგური. სადგურის გამგემ და ექსპედიციის ხელმძღვანელებმა დაწვრილებით გააცნეს ექსპედიციის წევრებს სადგურისა და საერთოდ ჩაის საქმის მდგომარეობა ჩვენში. ექსპედიციის წევრებმა ადგილობრივ შეამოწმეს მოშენებელთა ყველა ცნობები და საერთო კრებაზე განიხილეს ყველა ღონისძიებანი, რომელნიც მიღებულ უნდა იქნას ამ საქმეზე. შემდეგ დაათვალიერეს აბრეშუმის ძაფის ამომხვევი ფაბრიკა ოზურგეთში. ექსპედიციასთან მოვიდა ადგილობრივ გლეხთა დეპუტაცია თხოვნით, რომ მათთვის მიეცა საჭირო დარიგება როგორც ჩაის ბუჩქის გაშენების, ისე სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ. გლეხთა დეპუტაციის თხოვნა შეძლებისამებრ დაკმაყოფილებულ იქნა.

ჩაის დაჭაშნიკება (დეგუსტაცია) ჩაქვში

ჩაქვის მეურნეობის დათვალიერებისა და იქაურ ჩაის პლანტაციის და ჩაის წარმოების გაცნობის შემდეგ, მეცნიერულ პრაქტიკულმა ექსპედიციამ მოახდინა ადგილობრივ ჩაის დაჭაშნიკება (დეგუსტაცია) და შეადარა იგი ინდოეთის და ჩინეთის ჩაის. აღმოჩნდა, რომ ქართული ჩაი არ ჩამოუვარდება ინდოეთის ჩაის.

გრეხილ-აბრეშუმის ფაბრიკა

ცხინვალში

ცხინვალში განაგრძობს მუშაობას გრეხილ აბრეშუმის ფაბრიკა, რომელიც თავის წარმოებით მარელისის ახალი ფაბრიკის შემდეგ —პირველია მთელს რესპუბლიკაში. ფაბრიკა ამზადებს აბრეშუმს საუკეთესო ჯიშის წიფელისაგან. ფაბრიკის ნაწარმოები გადის არა მარტო ამიერ - კავკასიის, არამედ საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქების ბაზარზე (ოდესაში და სხვ.). მოთხოვნილება ცხინვალის ფაბრიკის პროდუქციაზე წლიდან - წლამდე იზრდება, რის დაკმაყოფილებაც ფაბრიკის ტექნიკური მოუწყობლობის გამო შეუძლებელი იყო. მხოლოდ მიმდინარე წლის მაისში სამხრეთ ოსეთის მეურნეობის საბჭო შეუდგა ფაბრიკის ტექნიკურ მოწყობას. პირველ რიგში სწარმოებს მუშაობა ფაბრიკის საელექტროფიკაციოდ. ელექტროფიკაცია გამოიწვევს არა მარტო დაზგების სრულს დატვირთვას, არამედ გაადიდებს პროდუქციის რაოდენობას და გააიაფებს ნაწარმოების ღირსებას. ფაბრიკის მოწყობა და ელექტროფიკაცია დამთავრდება შემოდგომამდე.

ხიდები სუფსაზე და ბჟუჟზე

მდ. სუფსაზე და ბჟუჟზე მიმდინარე სეზონში შენდება ახალი ხიდები.

სუფსის ხიდი აერთებს მჭიდროდ დასახლებულ ძიმითის და სილაურის თემებს და აქვს სამაზრო მნიშვნელობა. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა ამ. ხიდის ასაგებად სპეციალური ფონდიდან მიმდინარე სეზონის სამუშაოებისათვის გადასდო 1500 მანეთი და მუშაობის საწარმოებლად თავისი ხარჯით გაგზავნა ტექნიკური პერსონალი. ხიდის აგება მინდობილი აქვს სამაზრო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას.

მდ. ბჟუჟის ხიდი გააერთიანებს აღმოსავლეთ და დასავლეთ გურიის რაიონებს და ხელს შეუწყობს სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გაცვლა - გამოცვლას ამ რაიონებს შორის. ამ ხიდის ასაგებად სამაზრო აღმასკომმა სპეციალური ფონდიდან გადასდო 1500 მანეთი და გაიღო აგრეთვე საჭირო რკინისა და ხე-ტყის მასალა. ხიდის აგება დამთავრდება მიმდინარე ზაფხულზე.

ახალი სახერხი ქარხანა

აფხაზეთის სახ. მეურნ. საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, ახალშენებათა კომიტეტმა ვაგრისა და პიცუნდას რაიონებში (აფხაზეთი) მიავლინა ინჟ. **ბადიანსკი** აღნიშნულ რაიონში დიდი ხე-ტყის სახერხი ქარხნის ასაგებათ.

ახალმა ქარხანამ ყოველწლიურად უნდა დაამზადოს 1.500.000 კუბიკური ფუტი ხე-ტყის მასალა. ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობანი ნაწილობრივ შემოტანილი იქნება საზღვარგარეთიდან, ხოლო მოწყობილობების მეორე ნაწილი მოიპოვება ადგილობრივ.

ქარხანაში დაამზადებენ ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის მასალებს უცხოეთის ბაზარზე გასატანად. წინასწარი ვარაუდით, ქარხნის აგება დაჯდება ერთ მილიონ მანეთამდე.

რკინისგზებზე

რძე თბილისისათვის

თბილისის მოსახლეობისათვის რძის მიწოდების მიზნით, ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ ნება დართო კოოპერატიულ ორგანიზაციებს შემოზიდონ რკ. გზით რძე კახეთიდან (სად. ვაზიანიდან) სამგზავრო მატარებლებით, რომლებიც ჩამოდიან თბილისში დილით. ეს შეასუსტებს რძით მოვაჭრე კერძო პირების გავლენას რძის ბაზარზე და იმავე დროს ხელს შეუწყობს ფასების დაკლებას რძის პროდუქტებზე.

საკურორტო დახმარებისათვის

რკინისგზელებისათვის საკურორტო დახმარების გაძლიერების მიზნით რკინის გზელთა პროფკავშირის ცეკამ დაადგინა გადასდოს ერთი პროცენტი გასავლის ხარჯებიდან აღნიშნული თანხა მოხმარდება რკინის გზელების დასასვენებელ სახლებში გაგზავნის საქმეს. (კერძოთ ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს საშუალება აქვს ამ ანარიცხებით კურორტებზე დამატებით დაგზავნოს 330 კაცი.

შეღავათიანი ტარიფი

ა.-კ. რკ. გზის გამგეობის საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დადგენილებით შეშის შემოზიდვაზე დაწესდა 20 პროცენტიანი შეღავათიანი ტარიფი.

სატარიფო ქსელის გადასინჯვა

რკინის გზელთა კავშირის ცეკამ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გადასინჯოს რკ. გზებზე არსებული სატარიფო ქსელი. კომისიის მუშაობა დასრულდება ერთ თვეში. გადასინჯვის შემდეგ გამოიმუშავება მთლიანი სატარიფო ქსელი საბჭოთა კავშირის ყველა გზებისათვის.

ქრონიკა

ლენქორანის ბრინჯი

ა.-კ. კოოპერატიულმა კავშირმა გადაწყვიტა დაამზადოს აზერბეიჯანის კოოპერატიულ კავშირის—„აზერიტიფაკის“ საშუალებით ასი ათასი ფუთი ლენქორანის ბრინჯი ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის საჭიროებისათვის. ბრინჯის დასამზადებლად გადადებულია 150.000 მანეთი.

კურსების გახსნა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ახლო ხანში ცხიის-ჯვარში გახსნის ყველის და კარაქის დამზადების კურსებს.

ასეთივე კურსები გაიხსნება მიმდინარე ზაფხულზე ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრების ზოგიერთ რაიონებში.

ამხ. შავერდოვის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე სტამბოლში ამხ. შავერდოვი.

ინფუზორიტი

ინფუზორიტის მიწა, რომელიც ახალციხის [illegible] მოიპოვება დასამუშავებლად გადაეცა საქართველოს სამთომადნო მრეწველობის ტრესტს.

ტრესტი უკვე შეუდგა ინფუზორიტის მადნების დამუშავების რაციონალიზაციას. გადაწყვეტილია მადნების მიდამოებიდან ახალციხამდე გაყვანილი იქნას დიდი ხის ღარი, რომლითაც წყალის საშუალებით ინფუზორიული მიწა გადმოტანილი იქნება ახალციხეში ინფუზორიტის წისქვილზე დასაფქვავად.

ქართული წიგნი

საბიბლიოგრაფიო ინსტიტუტმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად მოაწყო საქართველოს მთავარ პოლი-განათლების სამმართველომ, უკვე დააგროვა და დაამუშავა ბიბლიოგრაფიული მასალები ქართული წიგნის შესახებ პირველი ქართული წიგნის გამოსვლის დღიდან უკანასკნელ დრომდე.

თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი აბანოები.** კომუნალურ განყოფილებამ გადასწყვიტა წელს ააგოს ორი ახალი საერთო აბანო.

◆ **ახალი ქარხნები.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის მიხედვით მაზრაში მოეწყობა 10 ახალი ქარხანა.

◆ **მექანიკური სახელოსნო.** ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან, საავადმყოფოს საჭიროებისათვის ეწყობა მექანიკური სახელოსნო—საზეინკლო, სამჭედლო და სახარაზო.

◆ **საბეითლო პუნქტებისათვის,** რომლებიც მოწყობილია მაზრის მთავარ თემებში, შეძენილი იქნა 2.000 მანეთის ხელსაწყო იარაღები.

◆ **ახალი მილიციონერები.** ამხ. ლადო სუხიშვილის სახელობის მილიციელთა სკოლა დაამთავრა 40 კაცმა.

განათლების კომისარიატში

◆ **გადასამზადებელი კურსები.** 15 ივნისს თბილისში გაიხსნა რაიონულ სკოლების მასწავლებელთა და 4 წლედის გამგეების გადასამზადებელი ერთ თვიანი კურსები.

◆ **მეცადინეობის შეწყვეტა.** 15 ივნისს ყველა ტიპის 4 და 7 წლედებში შეწყდა მეცადინეობა, ხოლო 20 ივნისს მეცადინეობა შეწყდება 9 წლედებში.

◆ **მისაბაძი მაგალითი.** მე-46 შრომის სკოლის დამხმარე მშრომელთა საბჭომ სკოლის შესაკეთებლად და მოსაწყობად შეაგროვა 6.000 მანეთი.

შემთხვევები

მოკლულის ვინაობის გამოცნობა

გუშინწინ შოვის ქუჩაზე მოკლული კაცის ვინაობა გამორკვეული იქნა. იგი აღმოჩნდა **გრიგოლ თოკმაშიანი** (საზოგადოებრივი ქ. № 4).

დახრჩობა

დონღუზარის ტბაში (სიღნაღის მაზრა) აღმოაჩინეს დამხრჩვალი კაცის გვამი. ვინაობა გამოურკვეველია.

ქურდების დაპატიმრება

სიღნაღის სამაზრო მილიციამ დააპატიმრა მიშა ხერხეულიძე, ვასო აბესაძე, ალექსი ტერტეროვი და გიორგი შენგელიძე.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ ქურდობა.

◆ **ღვინის სარდაფის გაქურდვა.** 15 ივნისს ბერლინის ქ. № 3 გაქურდეს არმენაკ ტერტეროვის ღვინის სარდაფი.

◆ **ქურდობის განზრახვისათვის** 15 ივნისს შეიპყრეს ივანე ნიკოლოზის ძე ჩერნიავსკი.

◆ **ოქროს საათის მოპარვა.** 15 ივნისს პლეხ. გამზირი № 58 გიორგი ახმეტელს მოპარეს ოქროს საათი.

◆ **შეპყრობა.** 14 ივნისს ქურდობისათვის დააპატიმრეს ალექსანდრე ერემიას ძე სარუხანოვი.

◆ **ქალაქის ხაზინაში** სალაროსთან რიგში დგომის დროს გერმანული საავადმყოფოს მოსამსახურე ფრიდრიხ ლოცს ჯიბიდან ამოაცალეს 220 მანეთი სახაზინო ფული.

სასამართლო

ალ. გრიქურაშვილის საქმე

ამ რამოდენიმე წლის წინად სოფ. ყანდაურში (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებმა **საქულა გრიქურაშვილმა** ცოლად შეირთო **ანდრია მენთეშაშვილის** ქალიშვილი და სიმამრის სახლში ზესიძედ შევიდა.

ერთ დღეს მენთეშაშვილს სტუმრად დაპატიჟებული ჰყავდა ნათესავი ქალი **მარუსა ლაბაძე.** ქალის მისვლისთანავე გაავრცელეს ხმები, რომ ს. გრიქურაშვილის ძმას — ალექსანდრეს კავშირი აქვს მ. ლაბაძესთან. ეს ამბავი მენთეშაშვილს ეწყინა და ალექსანდრე ჩხუბით გამოაგდო სახლიდან. იმავე დროს მენთეშაშვილი ემუქრებოდა მას სახლიდან გაგდებით.

ა. გრიქურაშვილმა მენთეშაშვილის მოკვლა გადასწყვიტა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ მან თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

წ. წ. ნოემბრის თვეში, ის ჩაუსაფრდა გზაში ა. მენთეშაშვილს და მახვილი იარაღით მიაყენა მას 15 ჭრილობა. დაჭრილი მენთეშაშვილი შველას ითხოვდა, მაგრამ გრიქურაშვილმა სიკვდილის მუქარით დააშინა დასახმარებლად მისული პირები. ბოლოს მან დაჰკლა მენთეშაშვილი.

მკვლელი დააპატიმრეს.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ბრალდებულმა გრიქურაშვილმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა წინასწარი განზრახვით.

სასამართლომ გრიქურაშვილს მიუსაჯა 6 წ. თავისუფლების აღკვეთა.

თავდამსხმელები

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ სიღნაღში გაარჩია **გიორგი ჯიბილაშვილის** და **გიგო ხოხონიშვილის** საქმე.

წ. წ. ორივე ბრალდებული სოფ. ველისციხეში თავს დაესხა გლეხებს და გაძარცვეს.

დაპატიმრებისას მათ აღმოაჩნდათ ნაძარცვი ნივთები.

სასამართლომ ჯიბილაშვილს და ხოხონიშვილს მიუსაჯა 3 წლით გამსახლში მოთავსება.

ამნისტიის ძალით ორივე მსჯავრდადებულს სასჯელი გაუნახევრდა.

100 მანეთის გულისათვის

პოღოს აირაპეტოვი და მანუკ ოგანესიანცი კარგი მეგობრები იყვნენ.

ოგანესიანცმა აირაპეტოვს ასესხა 100 მანეთი. გავიდა ხანი და აირაპეტოვმა ვალი არ გადუხადა მეგობარს. მან ფულის შენარჩუნების მიზნით გადასწყვიტა მეგობრის მოკვლა.

ერთ დღეს აირაპეტოვმა მიიპატიჟა ოგანესიანცი დაათრო და შემდეგ წაიყვანა სოფ. თეთრწყაროში ციხის ნანგრევების დასათვალიერებლად. აიყვანა იგი ციხის მწვერვალზე, ჰკრა ხელი და სიმაღლიდან გადააგდო. ოგანესიანცმა თავი დაახეთქა ქვებზე და იქვე გარდაიცვალა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

სასამართლომ აირაპეტოვს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციით.

ახალი ხიდი

ახალციხის მაზრის სოფელ ტოლოშის გლეხებმა საკუთარი ძალებით და საშუალებებით მდინარე მტკვარზე ააგეს დროებითი ხის ხიდი, რომლის სიგრძე 47 მეტრს უდრის. ამ ხიდით ახალციხის მაზრის დანარჩენ სოფლებსა და ცენტრს უერთდება სამი თემი. ხიდზე უკვე დაიწყო მიმოსვლა ქვეითი მგზავრებისა და დატვირთული ცხენების. სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა მუდმივი ხიდის ასაგებად თანხების გაღების შესახებ. ხიდის ასაგებად საჭირო საერთო ხარჯებიდან სამაზრო აღმასკომი და მაზრის მოსახლეობა კისრულობს 25 პროცენტს.

ბრძოლა ხანძართან

თბილისის ბრანდმაიორის ა. ბერიძის მიერ გადმოცემული ცნობებით თბილისის სახანძრო ინსპექციის მიერ 1925 წლის პირველი მაისიდან 1927 წლის 1-ლ მაისამდე ჩატარებულია 5.371 გამოკვლევა. გამოკვლევების მიზანი იყო ხანძრის გაჩენის შესაძლებლობების წინასწარ გათვალისწინება და მათი თავიდან ასაცილებლად ზომების გამომუშავება.

ამ ორი წლის განმავლობაში გამოიკვლიეს თბილისის ყველა ქარხნები, ფაბრიკები, წარმოებები, სახ. დაწესებულებები, კინო-თეატრები და დანარჩენი დიდი შენობები. გამოკვლევების ჩატარების დროს ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს ეძლეოდათ რჩევა დარიგებანი და ინსტრუქციები ხანძართან ბრძოლის საშუალებებისა და სახანძრო რაზმების მოწყობის შესახებ.

მთელ რიგ მსხვილ წარმოებებში ამჟამად უკვე დაწესებულია მეხანძრეთა განუწყვეტელი მეთვალყურეობა.

ახლო ხანში განზრახულია ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსდეს სახანძრო ინსპექტორის მოვალეობა, რომელსაც დაეკისრება ს. მ. უ. ს. ტრესტებისა და წარმოებების ხანძრისაგან დაცვის საქმის ხელმძღვანელობა.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 17 ივნისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი და პიონერების გამოსვლა—რუსულ და ქართულ ენებზე (7—7—20).

მუშათა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე (7—20—7—40).

კოოპერატიული განათლების ამოცანები ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავისათვის—ქართულ ენაზე (7—40—8).

ტექნიკური კონსულტაცია (8—8—20).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე (8—20—8—40).

კონცერტი ან და ტრანსლიაცია (8—40—11).

ხელოვნება

მოძრავი თეატრი

ხელოვნების განყოფილებაში შესდგა თათბირი მოძრავი თეატრის მოწყობის შესახებ. მოხსენება გააკეთა **შალვა დადიანმა,** რომლის პროექტის თანახმად მოძრავი თეატრი იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში შემდეგ ქალაქებში: ბათომში, ფოთში, ქუთაისში და ჭიათურაში.

მოძრავი თეატრის დრამატიული დასი ივლის ერთ ქალაქიდან მეორე ქალაქში და დადგამს რამოდენიმე წარმოდგენებს. მოძრავ თეატრს მომხსენებლის გამოანგარიშებით დასჭირდება წლიურად 244.000 მანეთი.

მოხსენებამ გამოიწვია აზრთა გაცვლა-გამოცვლა. თათბირის ზოგიერთი მონაწილე მოითხოვდა მოძრავი თეატრისათვის არა მარტო ერთი დრამატიული დასის, არამედ საოპერო და სინთეტიური დასის მოწყობას. კამათი მოძრავი თეატრის მოწყობის შესახებ გადატანილი იქნა შემდეგი სხდომისათვის.

საქართველოს მწერალთა კავშირში

— **კავშირის ათი წლის თავი.** ა. წ. 10 ოქტომბერს სრულდება ათი წელი სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის დაარსებიდან. კავშირის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ათი წლის თავზე მოაწყოს დღესასწაული.

იუბილეს საორგანიზაციო კომისიაში შედიან: **ტიციან ტაბიძე, ს. აბაშელი და კ. ლორთქიფანიძე.**

— **საშეფო მუშაობა.** მწერალთა კავშირმა მიიღო შეფობა სოფ. ქვიშხეთზე, სადაც კავშირს აქვს დიმიტრი ყიფიანისეული დასასვენებელი სახლი. საშეფო კომისიაში შედიან: **ს. აბაშელი, ვალ. გაფრინდაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე და დ. შენგელაია.**

— **ანდრეი ბელის ლექციები:** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მართავს რუსეთის ცნობილ მწერლის ანდრეი ბელის საჯარო ლექციებს 28 ივნისსა და 30 ივნისს სახელმწიფო კონსერვატორიაში. პირველ ლექცია: მკითხველი და მწერალი. ალექსანდრე ბლოკ: პიროვნება და შემოქმედება. 1 ივლისს ხელოვნების სასახლეში შესდგება საჯარო სხდომა მწერალთა კავშირის საბჭოსი, წაკითხული იქნება მოხსენებები ანდრეი ბელის შემოქმედებაზე.

— **გამომცემლობა.** მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა გამოჰყო საგამომცემლო სექცია შემდეგი შემადგენლობით: **პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, ნიკო მიწიშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, დემნა შენგელაია.**

— **ზაჰესის გახსნის დღეს,** ზაჰესის გახსნის დღისათვის მწერალთა კავშირი უშვებს მხატვრულ კრებულს, რომელშიდაც მოთავსებული იქნება ქართველი მწერლების ნაწერები „ზაჰესზე“.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **საგარეჯოს თეატრი.** თბ. აღმასკომის პოლიტგანათლების განყოფილებამ გადასწყვიტა ზაფხულის განმავლობაში საგარეჯოს თეატრში სამუშაოთ თავის ხარჯზე მიავლინოს გამოცდილი რეჟისორი.

◆ **აზერბეიჯანის დრამის თეატრის გასტროლები** თბილისში დაიწყება ივლისის პირველ რიცხვებში.

◆ **მოძრავი კინო.** პოლიტგანათლების მთავარმა სამმართველომ მაზრებში დააგზავნა 5 მოძრავი კინო.

◆ **საბავშო თეატრი.** „ჰაიარტუნმა“ გადასწყვიტა თავისი თეატრი გადააკეთოს საბავშო თეატრად.

◆ **თბილისის სომხური დრამის** მთავარ რეჟისორად მომავალ წლიდან მოწვეულია ბურჯალოვი.

◆ **სომეხ მწერალთა კავშირი** ახალი ხანში გამოსცემს თავის კრებულს.

— **„მეფე ლირი“.** გამომცემლობა „ქართულმა წიგნმა“ გამოუშვა უ. შექსპირის ტრაგედია, „მეფე ლირი“, ნათარგმნი ინგლისურიდან ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის მიერ, ფასი 1 მანეთი.

ბიბლიოგრაფია

აგრონომიულ საუბართა კრებული

ამხ. ვ. კანდელაკის წინასიტყვაობით

სახელგამი 1927 წ. გვ. 368. ფასი 1 მ. 60 კაპ.

საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაცია ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. მრეწველობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში სწარმოებს უკვე მოცვეთილ ტექნიკურ იარაღების გადახალისება, საფუძველი ეყრება საკუთარ საწარმოო საშუალებათა დამამზადებელ ფაბრიკა-ქარხნებს. ამ გაცხოველებულ მუშაობას აგვირგვინებს უძლიერეს ელექტრო სადგურების აგება.

[illegible] ეს დღის წესრიგში აყენებს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და რაციონალიზაციის საკითხს. სასოფლო-მეურნეობა ფეხდაფეხ უნდა გაჰყვეს მრეწველობას, ფართოდ გაუხსნას გზა ახალ რაციონალურ ტექნიკურ იარაღებს, გააუმჯობესოს მიწის დამუშავების წესები. ჩვენი მეურნეობა მთლიანად უნდა დაეყრდნოს ახალ რაციონალურ საფუძვლებს. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი პარტიისა და ხელისუფლების გენერალურ სამეურნეო ხაზის—ინდუსტრიალიზაციის ნამდვილად გატარება ცხოვრებაში.

ამისათვის კი საჭიროა პირველ ყოვლისა სოფლად აგრონომიული ცოდნის გავრცელება. აგრონომიული პუნქტებისა და სასოფლო-სამეურნეო სკოლების ქსელი, საცდელი მინდვრები, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები და წრეები და კოლექტიური მეურნეობანი—აი აგრონომიული განათლების მთავარი დასაყრდენი სოფლათ.

საჭიროა ამ ქსელის გაფართოება, მისი განმტკიცება, საჭიროა მათი უზრუნველყოფა შესაფერი ლიტერატურით, აგრონომიული სახელმძღვანელოებით. სახელგამის მიერ გამოცემული ვრცელი აგრონომიული კრებული დიდი დახმარებას გაუწევს ამ მხრივ სოფლის მეურნეობის რაციონალურათ დაყენების საქმეს.

წიგნი შეიცავს სულ 9 საუბარს. ამ საუბრებში საკმაო ვრცლათ განხილულია სოფლის მეურნეობის უმთავრესი დარგები—მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა. სასოფლო მეურნეობის სპეციალური დარგების განხილვას წინ უძღვის საუბარი სასოფლო მეურნეობის განვითარების შესახებ საერთოდ და კერძოთ საქართველოში. ცალკე თავშია განხილული სამხრეთის უმთავრესი კულტურული მცენარეები—განსაკუთრებით ჩაი და მანდარინი, რომლებსაც დიდი მომავალი აქვთ დასავლეთ საქართველოში.

საქართველოში ჩაის პლანტაციებისათვის გამოსადეგარი მიწა 30.000 დესეტინას აღემატება და შეუძლია დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის ერთი მეოთხედის მოთხოვნილება, მაშინ, როდესაც ნამდვილათ გამოყენებულია სულ მხოლოდ 900 დესეტინა მიწა. ასევე დიდი შემოსავლიან მეურნეობათ შეიძლება გახდეს მანდარინის მეურნეობა. კრებულში განმარტებულია თუ რამდენათ საზარალოა მოსახლეობისათვის იაფ-ფასიანი მცენარეების გაშენება, როდესაც მათ საშუალება აქვთ აწარმოონ კულტურული მცენარეების მოყვანა.

კრებულში ძლიერ ცოტაა ნათქვამი ტყის მეურნეობის შესახებ. სამაგიეროთ ვრცლათ განხილულია მებაღეობა, მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მებოსტნეობა და მევენახეობა. სამწუხაროთ, როგორც აღნიშნავს თავის წინასიტყვაობაში ამხ. ვ. კანდელაკი, სრულიად არაფერი არ არის ნათქვამი მეურნეობის კოოპერატიულ ფორმების შესახებ. კოლექტიურ მეურნეობის მნიშვნელობის გაშუქება ცხადყოფდა გლეხური მასისათვის კოლექტიური მეურნეობის უპირატესობას ინდივიდუალურ მეურნეობის წინაშე.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავათ წიგნის საგრძნობი მოცულობისა ის იაფ ფასში იყიდება და მისაწვდომი ხდება ფართე მკითხველისათვის.

გ. რ—ი.

მეცნიერება და ტექნიკა

მავნებელია თუ არა ფორთხვა ბავშვისთვის

ავსტრიელმა პროფ. **გასსმა** სპეციალურად შეისწავლა საკითხი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბავშვის ორგანიზმისათვის ფორთხვას, უნდა მიეცეს თუ არა ბავშვს ფორთხვის საშუალება, თუ ხელი უნდა შეუშალონ ამას. პროფ. გასსმა გამოარკვია, რომ ფორთხვა კარგი საშუალებაა ბავშვის ხერხემლის გამრუდების წინააღმდეგ. მფორთხავი ბავშვის ზურგისა და კისრის კუნთები ძლიერ დაჭიმულია (შემოკლებულია), თავი მაღლა არის აწეული, გული გამოზნექილია წინ, —და ამრიგად ბავშვის რბილ ძვლებს თანდათანობით ეძლევა ჯანსაღი, ნორმალური ფორმა, ხერხემალი მაგრდება. იმის მაგიერ, რომ ასწავლონ ბავშვს რაც შეიძლება ადრე დგომა და სიარული, პირიქით, მშობლებმა ხელი უნდა შეუწყონ, რომ ბავშმა, რაც შეიძლება მეტი დროის განმავლობაში იფორთხოს. მაშინაც კი, როცა ბავშმა უკვე ფეხი აიდგა, მშობლები უნდა შეეცადონ, რომ ბავშმა ყოველდღე, რამდენიმე წუთის განმავლობაში იფორთხოს. ეს ყველაზე უფრო შეეხება რახიტიან, რბილძვალიან და საერთოდ იმ ბავშვებს, რომელთაც აქვთ ხერხემლის გამრუდების მიდრეკილება. პროფ. გასსი საჭიროდ თვლის ისეთ სათამაშოების და გასართობების გამოგონებას, რომ ბავშვისათვის საჭირო იყოს ფორთხვა.

ახალი საშუალება ხეების „სამკურნალოდ“

ფურფუროლს უწოდებენ „მფრინავ“ სითხეს. მზადდება იგი შვრიის ქატოდან. ის ფაქტი, რომ ის ვარგისიანია დაზიანებულ ან დალპობის პროცესში მყოფ ხეების სადეზინფექციოდ, შემთხვევით აღმოაჩინეს. ფურფუროლის დიდი რაოდენობა ინახებოდა ერთ-ერთ ქარხანაში, ხის კასრებში. რამდენიმე ხნის შემდეგ რაღაც საქმისათვის დასჭირდათ ფურფუროლის მცირე რაოდენობა. როცა ზედი-ზედ გახსნეს ყველა კასრები, არც ერთ მათგანში აღნიშნული ნივთიერება არ აღმოჩნდა. ყურადღებით დაათვალიერეს კასრები, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ ყველა მთელი იყო. ცდა გაიმეორეს, ფურფუროლი სხვა კასრებში მოათავსეს, მაგრამ შედეგი იგივე მიიღეს—ნივთიერება გაქრა. ამრიგად გამოარკვიეს, რომ ფურფუროლი თავისუფლად ატანს მუხის ფიცრებში.

შემდგომმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ იგი ანადგურებს მიკრობებს, რომლებიც ხეს აფუჭებენ. გარდა ამისა, მისით სარგებლობა უფრო ადვილია, ვიდრე ფისით, რადგან ფურფუროლის წასობის შემდეგ ავადმყოფ ხეს გაწმენდა არ ესაჭიროება—ნივთიერება თავისით ქრება. ფურფუროლით სარგებლობენ აგრეთვე კაუჩუკის დამზადების დროს.

უკანასკნელ დრომდე ფურფუროლი მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა ბაზარზე, ახლა კი მისი დამზადება შეუჩერებლად იზრდება: 1921 წ. ძნელი იყო რამდენიმე გირვ. ფურფუროლის შოვნა 60 მ. გირვანქის, ახლა კი ფურფუროლს იყიდება ასეულ ფუთობით, 30 კაპ. გირვანქა.

იურიდიული დახმარება

ბინის ქირის შესახებ

პროფკავშირელს (წიგნ. № 155) გ-ძეს.

პასუხი

ბინა ეკუთვნის იმას, ვინც იგი დაიქირავა და ვინც მის ქირას იხდის დანიშნულ ვადებში. მარტო საერთო ბინადრობა ბინის დამქირავებელთან არ ჰქმნის თქვენთვის ისეთ უფლებებს, რომ თქვენ შეგეძლოთ ბინის ნაწილი მოითხოვოთ. ასეთ უფლებებს ჰქმნის მხოლოდ ბინის ქირის გადახდაში თქვენი უშუალო მონაწილეობა. (ე. ი. თუ კი იხდით ბინის ქირის ნაწილს თქვენს მიერ ფაქტიურად დაჭერილ ფარდების მიხედვით).

სოფ. კვარცხეთელის (რაჭის მაზრა) მცხ. მალაქია ტ. საგანელიძეს

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 24-ისა მიმართეთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას, რათა მან დაგიცვას კანონიერ ფარგლებში მოძალადეებისაგან.

სტუდ. ჩიტაიას და ოყროშიძეს.

პასუხი

თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 157. 158. 120 და 171-ისა, გაქვთ უფლება მიმართოთ სათანადო განცხადებით სასამართლოს და სახლის პატრონს, როგორც ხელშეკრულების პირობათა დამრღვევს, რის გამო თქვენ მოგაყენათ ზიანი, მოსთხოვოთ მთელი ზარალის ანაზღაურება და ზედმეტად მიცემული ფულის დაბრუნებაც.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ბიქტორ რაჟდენის ძე რუხაძეს და გიორგი ეჯუბოვს გამოცხადდნენ 18-ივნისს დილით ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24. მესამე სართული, ოთახი № 12).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. მიხეილის ძე ვოლკოვს გამოცხადდეს 17 ივნისს დილის 8 საათზე ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 12).

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს, 17 ივნისს საღამოს 6 საათზე ავლაბრის მუშათა კლუბში შესდგება მესამე რაიონის **მუშათა ფართე კონფერენციის** გაგრძელება.

სავალდებულოა ყველა დელეგატების დასწრება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ პარასკევს, 17 ივნისს საღამოს 6 საათზე რაიკომის აგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება მესამე რაიკომის აგიტპროპკოლეგიის სხდომა.

საქ. უნივ. ა. ლ. კ. კ. ბიუროკოლექტივის სხდომა შესდგება 17 ივნისს 4 საათზე. დასწრება სავალდებულოა წევრთა და კანდიდატთათვის.

გულმოკლულნი მშობლები—დედა ალათი, მამა ბესარიონ, თავზარდაცემულნი დები ნეოლინა და ძაძუ, ძმა პეტრე და ბიძაშვილი მერი ქაჯაიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა-წ. 14 ივნისს უდროოდ გარდაიცვალა ქ. თბილისში

ილია (სიმონ) ბესარიონის-ძე ქაჯაია

წასვენება სოფ. ოხოლიაში მოხდება 17 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან. დაკრძალვა 18 ივნისს, სოფ. ონოლიაში. 1—1 3063

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორთა საბჭო და სტუდენტობა გლოვობენ ინსტიტუტის მე-3-ე კურსის სტუდენტის

მატრონა (ჟიჟუ) ძაგანიას

უდროოდ გარდაცვალებას. 1—1 3056

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ვასილი სიმონის-ძე ხიმშიაშვილი, შვილები დათიკო და ანეტა, შვილი-შვილები: საშა, ლენა და ლილი, ძმები: თედორე, ვასილი და ლუარსაბი ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 15 ამა ივნისს უეცრივ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და მუდმივ სახსოვარი

მარიამ (მაია) ოქროპირის ასული ჩოგაძე-ხიმშიაშვილისა

დაკრძალვა მოხდება სოფელ კლდეეთში (შორ. მაზრა) ამა წლის 18 ივნისს, შაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. 1—1 3055

თავზარდაცემულნი მშობლები დედა ესმა ივანეს ასული, მამა ლაზარე გიორგის-ძე ჭალაგანიძეები, ღრმად დამწუხრებული მეუღლე კესარია ივანეს ასული, გულმოკლული შვილები: გოგუცა, ქენია, შალიკო და გუგულია, სიძე კოტე გორდეზიანი, ძმები ბიქტორი და ვანიჩკა, რძლები: ეფროსინე და ვარინკა შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

აბესალომ (ჭიჭიკო) ლაზარეს-ძე ჭალაგანიძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის) პარასკევს, 17 ივნისს, საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 1—1 3059

ღრმად დამწუხრებულნი ანნა ივანეს ასული და შილა ევსევის-ძე ჩიხლაძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი და საყვარელი შვილი

გენრიხ შილას-ძე ჩიხლაძე

რომლის გამოსვენება მოხდება პარასკევს 17 ივნისს საღამოს 5 საათზე ლენინის ქუჩა № 3. 1—1 3065

დიდი წარმატების გამო გრძელდება ჩვენება სურათის

მისი უდიდებულესობის სოლისტკა

კინო თეატრებში

საზაფხულო „ეთერი“
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

საზაფხულო „დარბაზი“
(ბაღში, პლეხანოვის № 19), ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ეხლად შეკეთებულ შენობაში.

დადგმის მეორე კვირა! ყოველდღიური ანშლაგები! იჩქარეთ ნახოთ! პირველი სეანსის დასაწყისი 8 საათზე.

მალე საუკეთესო სურათი „ჰ ა მ ბ უ რ გ ი“.

ნ. 1340

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

0—15 ნ. 1289

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს

„მისი უდიდებულესობის სოლისტკა“

(ყოფ. იმპერატ. თეატრების, ბალეტის სკოლების, კულისების და სცენის ცხოვრება).

ამ მოკლე ხანში ნაჩვენები იქნება: ეთერში—„ბანდიტი ქალი“ მილტონ სილსის მონაწილეობით, დარბაზში—„გრაფი კალიოსტრო“ კონრად ვეიდტის მონაწილეობით.

გარი ლიდკე, ჟენი პორტენ და ვერიდო კრაუზ სეზონის ახალ სურათში

„ვენეციელი ვაჭარი“

ანონსი: მალე უკრაინის ფოტო-კინოს სამმართველოს უდიდესი ნაწარმოები „ჰ ა მ ბ უ რ გ ი“.

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.

(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) **სპეციალისტი.**

ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე.

ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

ექიმი

მეგრაბიანცი

ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 25—1

გამოვიდა ამხ. „ქართული წიგნის“ მორიგი გამოცემა

უილიამ შექსპირის 5 მოქმ. ტრაგედია

„მეფე ლირი“

ფასი 1 მან.

მოიკითხეთ ყველა წიგნის მაღაზიებში. მთავარი საწყობი: თბილისი, ჯორჯაძის ქ. № 1. ამხ. „ქართული წიგნი“.

2—1 ნ. 1332

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ

სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ

„თანამედროვე მედიცინა“-ზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.

ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:

თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.

თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ჟურნალის ფასი:
1 წლით . . 10 მან.
½ წლით . . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.

რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

3062 25—1

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება ამით აცხადებს, რომ ა. წ. 23 ივნისს ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სოფ. გუნია-კალას საავადმყოფოს შეკეთებაზე და გაფართოებაზე, რის ღირებულებაც შეადგენს 20.072 მან. 73 კაპეიკს. ვაჭრობა იწარმოებს დახურულ კონვერტების საშუალებით.

ვაჭრობის მონაწილეთა განცხადებებს თანდართული უნდა ექნეს ქვითარი თბილისის აღმასკომის სალაროში ბეს შეტანის შესახებ განცხადებულ თანხის 5 პროცენტის რაოდენობით.

საჭირო ცნობების, კონდიციების მიღება შეიძლება კეთილ-მოწყობის განყოფილების კანცელიარიაში, ოთახი № 338.

კეთილმოწყობის განყოფილების გამგის მოადგილე მთავარი ინჟინერი ქურდიანი.

ნის. 1335.

ქ. თბილისის 1-ლი რაიონის სასამართ. აღმასრულებ.

ბ. გ. ბარუტჩევი

ამით აცხადებს, რომ ის 20 ივნისს 1927 წლ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალი ბაირამოვის ქონებას: 1) 1-ლ საათზე სასამართლოს ქ. № 16, სასადილო მაგიდას, შკაფს, წიგნების ეტაჟერკას, მუზიკის შკაფს, ტუალეტის მაგიდას და ხუთ სურათს, შეფასებულს 560 მანეთად და 2) 2 საათზე კომინტერნის ქ. № 3 საკომისიო მაღაზიაში—ორი რკინის კასას, შეფასებულს 560 მან. თევატროს კოლმახოვის ვალის დასაკმაყოფილებლათ, თანახმათ ქალ. თბილისის 1-ლ უბნის სახალხო სასამართლოსაგან 21 მაისს 1927 წლ. თარიღით №№ 1707 და 1708 გაცემულ სასამართლოს ბრძანებებისა. 3058

ა.-კავკასიის რკ. გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1927 წლ. 21 ივნისიდან დილის 10 საათიდან თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქ. № 34, რკ. გზის ფარგლებში)

აუქციონით გაიყიდება

ამ.-კავკ. რკ. გზ. სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთი და ბარგი.

მეორე ვაჭრობის დაწყების და პირველ საჯარო ვაჭრობისას გაუყიდავ ტვირთზე საჯარო ვაჭრობის დამთავრების დროს გამოაცხადებს კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს საჯარო ვაჭრობას.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში სამუშაო საათებში, ხოლო საჯარო ვაჭრობის დღეებში ვაჭრობის დაწყებამდე.

დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში. ნ. 1336

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის ა-წ. 20 ივნისს 3 საათზე კლარა ცეტკინის ქუჩაზე № 65 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ქვითქირის სამსართულიან სახლს, რომელიც ეკუთვნის მოქ. ოვანეზ მელიქ-აკოპოვს და რომელიც შესდგება 34 ბინისაგან თავისი დამხმარე ოთახებით ამავე ეზოში აგებულ ერთსართულიან ფლიგელით. დახურულია თუნუქით, შეფასებულია 15.000 მანეთად. გაიყიდება „ზაკპოგრუზ“-ის, „ზაკავტოპრომტორგ“-ის და სხვათა ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აჭარისტანის უზენაეს სასამართლოს 26-10—1925 წლ. № 4591, 3-9—1926 წლ. № 3908, ბათომის შრომის სასამართლოს ა-წ. 27-1 № 7, თბილისის შრომის სასამართლოს ა-წ. 12-5 № 1586 და მე-4-ე უბნის სახ. სასამართლოს ა-წ. 24-2 № 2239 აღმასრულებელ ფურცლებისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასებიდან და ჩატარდება თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-312 მუხლების დაცვით. 1—1 ნ. 1337

ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

პ. კობალაძე

აცხადებს, რომ 25 ამა ივნისს დღის 12 საათზე ფოთის სახალხო სასამართლოს დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა გარდაცვალებულ გაიოზ გაბუნიას მემკვიდრეების: დესპინე მურზახანის ასული გაბუნიას, მინადორა გაიოზის ასული ზოდელავასი და ივანე გაიოზის-ძე გაბუნიას მხოლოდ უმემკვიდროდ გარდაცვალებულის მიხეილ გაიოზის-ძე გაბუნიას ქონება, რომელიც მდებარეობს ქ. ფოთში პირველ სამილიციო უბანში ერთი ერთ სართულიანი ხის სახლი შვიდი ოთახით, ორი ხის საზარეულო აგებული ნინოშვილის ქუჩაზე № 6 შეფასებული 1500 მან., რომელ თანხიდან დაიწყება ვაჭრობა.

ვინც ისურვებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარმოუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს სამ. საპრ. შ. 311 და 312 მუხ. გათვალისწინებული ცნობები, გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საწინდარი შეფასებული ჯამის 10%.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

სათვალეების მორგება

უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირ. № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 13—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ხიდის მახლობლად. 25—2

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—5

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 290, მოცემული გან. მუშ. კავშირიდან, ლევან პეტრეს-ძე გოკიელის სახელზე, ჩ. გ. 3064

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 154, ხელოსანთა კავშირის წიგნაკი № 84, ალექსანდრე ხარატოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1338

დავკარგე განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი, ალექსანდრე გიორგის-ძე მალალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3061

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული სურამის აღმასკომიდან გიორგი ორჯონიკიძეს სახელზე, ჩ. გ. 3060

დაკარგულია ქალაქის ლომბარდის კიროვის ბილეთი № 10052, ბოლქვაძეს სახელზე, ჩ. გ. 3057

დავკარგე მეტრიკული მოწმობა გაცემული ა. წ. 7 ივნისს „მმაჩის“ განყოფილებიდან გრიგოლ გრიგოლის-ძე კოშკაძის სახელზე, ჩ. გ. 3054

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 98, ბაგრატ გრიგოლის-ძე კეტენჯოვის სახელზე, ჩ. გ. 3053

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.